სადამ ჰუსეინის ოჯახი სირიაში არ იმყოფება A4

ვირუსი „სარსი" სწრაფად ვრცელდება A5

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 1 აპრილი, 2003 წელი. №89 (301)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### აურზაური „თანხმობის" დარბაზში

*მოღალატენო, თქვენ ესროლეთ ზვიად გამსახურდიას! ვინ მოგცათ უფლება, ზვიადზე რომ ლაპარაკობთ? გაგვაგებინეთ, რა სტატუსით ზის აქ ბაკურ გულუა, როინ მეტრეველი და მისი მსგავსი პუტჩისტები?.. - ყვიროდნენ ჟურნალისტის სახლში მიჭრილი "ზვიადისტები".*

A2

## უცხოეთი

### ევროკავშირის სამხედრო დებიუტი

გუშინ ევროკავშირმა თავისი პირველი სამხედრო ოპერაცია დაიწყო. სამშვიდობო მისია მაკედონიაში, რომელსაც აქამდე ნატო ასრულებდა, ორშაბათიდან ევროკავშირმა აიღო თავის თავზე.

A5

## ეკონომიკა

### „ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზს" ორი კვირა მისცეს

*"ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზმა" უკვე ოფიციალურად მიიღო შეტყობინება სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციისაგან რეისების განხორციელების ნებართვის ორი კვირით (15 აპრილამდე) გაგრძელების შესახებ. ამას გარდა, "ბრითიშ ეარვეიზის" ფრანჩიზული პარტნიორისაგან მოითხოვენ რეისების რაოდენობის შემცირებასაც.*

A6

## სამართალი

### ქისტ განსასჯელთა პროცესი კვლავ გადაიდო

*საზღვრის დამრღვევ ჩეჩნებთან ერთად, 2002 წლის აგვისტოში დაპატიმრებული ორი დუისელი ქისტის სასამართლო პროცესი, გუშინ საოლქო სასამართლოში კიდევ ერთხელ გადაიდო. ამის მიზეზი ბრალდების მხარის, პროკურორ ედიშერ ქარჩავას სურვილი გახდა.*

A7

## საზოგადოება

### "ძველი ქალაქი" ქართულ პოლიტიკას ემსხვერპლა

*28 მარტს, საღამოს 10 საათზე ქუთაისში რუსთაველის გამზირისა და მიმდებარე ქუჩების მოსახლეობამ რადიო "ძველი ქალაქის" გადამცემი ანძა დააზიანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტმა" პრესკონფერენცია მოაწყო.*

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 14 |
| ქუთაისი | 14 |
| ბათუმი | 12 |
| სოხუმი | 13 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 9 |
| ზუგდიდი | 14 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 10 |
| ჭიათურა | 12 |
| გაგრა | 12 |
| სამტრედია | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1200 |
| ევრო | 2.3008 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3377 |
| რუბლი | 0.0677 |

# შავი ორმო

რევაზ საყევარიშვილი
სპეციალურად "24 საათისთვის"

*"კომუნიზმი, ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია," - განაცხადა გასული საუკუნის გარიჟრაჟზე კომუნისტებისთვის უკვდავმა ვ.ი. ლენინმა. "ქვეყნის სრული ენერგომომარაგების გარეშე საბაზრო ეკონომიკის აშენება წარმოუდგენელია," - ეს კი უკვე ამ საუკუნის გარიჟრაჟზე ჩვენმა "ენდემურმა" უკვდავმა, ედუარდ შევარდნაძემ დაასკვნა. მოკლედ, საუკუნეები გადის და საჭიროებები არ იცვლება: ელექტროენერგია როგორც კომუნიზმის, ისე კაპიტალიზმის აშენებას თანაბრად სჭირდება. მეტიც: უშუქოდ ერთიც და მეორეც განწირულია. უფრო მეტიც: ერთის დანგრევა უშუქობით დაიწყო, მეორის აშენებას კი სწორედ უშუქობა აფერხებს. რატომ? - მიზეზი ბევრია. თუმცა, ერთი მაინც არსებითია და იქამდე მიდის, რომ დღევანდელ საბაზრო ენერგეტიკას სწორედ ისინი აშენებენ, ვინც "პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის" მოდელს ნერგავდა. აქედან გამომდინარე, დასკვნების გაკეთებაც შედარებით იოლდება. უბრალოდ, თვალი რომ გადავავლოთ დღევანდელი ენერგოსისტემის პირველ პირებს და შესაბამის უწყებებს, უკვე საკმარისზე მეტი საფუძველი გაგვიჩნდება დასკვნისთვის, რატომ არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს საჭირო რაოდენობის ელექტროენერგია საჭირო დროის მანძილზე.*



*ჩაბნელებული თბილისი*

### ჩვენებური ჩინიანები

დარგის დღევანდელი პირველკაცი, ბატონი დავით მირცხულავა სისტემისთვის სულაც არ არის შემთხვევითი კადრი. უფრო პირიქით: ბატონი დავითი არა მხოლოდ პროფესიით, არამედ გენეტიკითაც ენერგეტიკოსია და მამისგან - ბატონ ცოტნე მირცხულავასგან ეს საქმიანობა მემკვიდრეობითაც ერგო. ისტორია დუმილს ამჯობინებს დავით მირცხულავას წინა საქმიანობაზე, რომლის ერთი მონაკვეთი უცხოეთში მოღვაწეობასაც მოიცავს. საქართველოში მისი სახელი ფართოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც უეცრად ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე გახდა. მოგვიანებით კი, მაშინდელი მინისტრის, თემურ გიორგაძის თანამდებობიდან უმძიმესი დარღვევების გამო აბარგების მერე, მირცხულავა მინისტრი ისე გახდა, თითქოს ეს დარღვევები მისი საქმიანობის დროს არ ხდებოდა.

მინისტრად დამტკიცების დროს დადებული მირცხულავას პირობა - 2004 წელს სიტყვა "ენერგოკრიზისი" არავის ეხსომებაო, დროთა განმავლობაში ჯერ სასაცილო დაპირებად იქცა, მერე - უკბილო ხუმრობად, მოგვიანებით - ბოროტ ირონიად, სადღეისოდ კი აშკარა ცინიზმის ელფერი დაჰკრავს. ამიტომაც არის, რომ დავითის "გალობანი სინანულისანი" აღარავის ულბობს გულს და მისი იმპიჩმენტის საკითხი, დროდადრო, ახალ-ახალი ძალით იფეთქებს ხოლმე. თუმცა, საბოლოოდ, ეს აფეთქებები, როგორც წესი, მირცხულავას ფიგურას გვერდს უვლის და მის თანამდებობრივ აღსასრულს, ბევრის სურვილის მიუხედავად, ვერავინ მოესწრო. ბატონი დავითისთვისაც, როგორც ჩანს, მინისტრული სული ძალიან ტკბილია და მას იმის ვაჟკაცობაც არ ჰყოფნის, რომ აღიაროს: დღეს სისტემის სამართავად მას არანაირი ბერკეტი აღარ გააჩნია. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ მან ეს არც უნდა აკეთოს და დარგის პოლიტიკა უნდა განსაზღვროს, ესეც აბსურდია: დღეს დარგის პოლიტიკას ბაზრის ყველა მოთამაშე - "ეი-ი-ეს"-ი, "იტერა", "ვინგფილდი" თუ, თქვენ წარმოიდგინეთ, "არმენენერგოც" კი - გაცილებით მეტად განსაზღვრავს, ვიდრე მირცხულავა და მთელი მისი სამინისტრო, ერთად აღებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვის გადმოსვენებას აპირებს ქვემო ქართლის გუბერნატორი მოსკოვიდან?

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ინფორმაცია, დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის მოსკოვიდან საქართველოში გადასვენების შესახებ, მოსკოვის ქართველობამ ინტერნეტგამოცემა "საქართველო.რუ"-ს მეშვეობით შეიტყო. ინფორმაციაში ეწერა:

**"მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი მეორისა და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის თანხმობით, ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ნეშტს აპრილის დასაწყისში მოსკოვიდან მწერლის მშობლიურ, ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში გადაასვენებენ. როგორც სააგენტო "რია ორეანდას" ქვემო ქართლის (აღმოსავლეთ საქართველო) რეგიონის ადმინისტრაციაში უთხრეს, სულხან-საბა ორბელიანის ნეშტის საქართველოში გადასვენების იდეა ოთხმოციან წლებში გაჩნდა, როცა მოსკოვის ვსეხსვიატსკოეს მონასტრის ტერიტორიაზე სწავლულებმა სულხან-საბა ორბელიანის საფლავს მიაგნეს."**

მავანნი ამ ისტორიული მოვლენისთვის სამზადისსაც შეუდგნენ, მაგრამ საქმეში უფრო ღრმად ჩახედული არქეოლოგები და ისტორიკოსები შეჩოჩქოლდნენ: კი, მაგრამ სულხან-საბას საფლავს ქართველ არქეოლოგთა რამდენიმე თაობა დაეძებს და ვერ უპოვიათ, ვინ შეძლო მისი ამოჩენა და დადგენაო?

დიდი ქართველი მეიგავის მშობლიურ ტანძიაში გადასვენება ქვემო ქართლის გუბერნატორის ლევან მამალაძის ინიციატივაა, მაგრამ მოსკოვში, ვსეხსვიატსკოეს ეკლესიის ეზოში, სადაც, სავარაუდოდ, უნდა დაეკრძალათ სულხან-საბა, ჯერჯერობით მხოლოდ რუსი მღვდელმთავრების საფლავებია მიკვლეული.

ვსეხსვიატსკოეს ეკლესიის მღვდელმთავარმა მამა იოანემ ქართველი მწერლის სახელის ხსენებაზე მხრები აიჩეჩა.

რუსეთის საინფორმაციო სააგენტო "რია ორეანდას" თანამშრომელმა ოლეგმა, ჩვენთან საუბარში

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჩივაძე გადადგა B4



## შეტევა ერაყზე: მეტისმეტად შორს, მეტისმეტად სწრაფად, მეტისმეტად მსუბუქად

ბლიცკრიგი ჩაიშალა. ახლა ამერიკული ჯარები სანგრებს თხრიან და ლოდინისათვის ემზადებიან. გზა კუვეიტის საზღვრიდან ფრონტის ხაზამდე მეტისმეტად გაიწელა.

იმედი, რომ შოუ, ზუსტი დამიზნების ბომბების მონაწილეობით, მოწინააღმდეგეს დანებებისაკენ უბიძგებდა, არ გამართლდა. ომის მეთორმეტე დღეს ბაღდადში მაღაზიები ისევ იხსნება. მტერი ჯერ კარიბჭესთან არ მოსულა.

ბაღდადამდე ჯერ კიდევ 100 კილომეტრი რჩება. ანგლოამერიკულ კოალიციას ამ მანძილის გასავლელად აშკარად არ ყოფნის ძალა.

"ისინი მეტისმეტად მსუბუქად შეიარაღებული შევიდნენ. ახლა მათ გადაუდებლად ესაჭიროებათ დამატებითი ძალები," – ამბობს ფრანგი სამხედრო ექსპერტი ფრანს გერი.

"მათ არასათანადოდ შეაფასეს მოწინააღმდეგის გასამხედროებული ფორმირებების პოტენციალი, განსაკუთრებით, სოფლებსა და პატარა ქალაქებში," – აცხადებს ავსტრალიის თავდაცვის მინისტრი, რობერტ ჰილი. ამერიკასა და ინგლისთან ერთად, ავსტრალია კოალიციის წევრია.

სადამის ფაედინებმა 1996 წელს მნიშვნელოვანი რეფორმა განიცადეს და უწესრიგო, ნახევრადკანონიერი დაჯგუფებიდან დისციპლინირებულ და კარგად შეიარაღებულ დანაყოფებად იქცნენ. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის თქმით, მათი რიცხვი 100 ათასამდე აღწევს.

აშშ-სა და ბრიტანეთს ამჟამად ერაყში სამი დივიზია ჰყავთ, მათგან ერთი ფრონტის ხაზზეა და მძიმე ბრძოლებშია ჩართული. იგი საკმაოდ ღრმადაა შესული ერაყის სიღრმეში და ამიტომ, მომარაგების თვალსაზრისით, პრობლემები ექმნება.

"რესპუბლიკური გვარდიის სამი დივიზიის დასამარცხებლად ეს ძალა აშკარად არ არის საკმარისი," – განაცხადა საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტის წარმომადგენელმა უილიამ ჰოპკინსონმა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## კვორუმს ბიუროც ვეღარ კრებს

გიორგი ასანიშვილი

*"ბიუროს წევრები, როგორც ჩანს, მაჰათმა განდის მიმდევრები გახდნენ და პასიური პროტესტის გზას დაადგნენ", - იხუმრა გუშინ კოტე კემულარიამ, როდესაც დაინახა, რომ კვორუმის არარსებობის გამო, ბიუროს სხდომის ჩატარება ვერ ხერხდებოდა. არადა, არც თუ დიდი ხნის წინათ, საკანონმდებლო ორგანოში სრულიად განსხვავებული სურათი იყო. საპარლამენტო უმრავლესობის დაშლის პირველ ხანებში, როდესაც ფრაქციების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო კომიტეტებს ახალი თავმჯდომარეები დაეპატრონნენ, ბიუროს ოთახი დეპუტატებს ვერ იტევდა და სკამებს სხვა კაბინეტებიდან ეზიდებოდნენ - "ახალ საპარლამენტო სახეებს" "ახალი ხილის" გემო აინტერესებდათ. მოგვიანებით, ჟვანიას უმრავლესობიდან ნაბარტყმა ახალმა უმრავლესობამ ხელისუფლებაში ყოფნით გამოწვეული ჟინი ოდნავ რომ მოიკლა, ბიუროს სხდომებზე დამსწრეთა რაოდენობამ გეომეტრიული პროგრესიით იწყო კლება. დღეს საქმე იქამდეა მისული, რომ კვორუმის შეგროვება და სხდომის ჩატარება უკვე სერიოზულ პრობლემად არის გადაქცეული. ისე, მაჰათმა განდი აქ არაფერ შუაშია: საკითხი პარლამენტართა უპასუხისმგებლობისა და უდისციპლინობის ჭრილშია განსახილველი.*

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 პოზიცია A3 ინფორმაცია A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## „წაიკითხეთ საკუთარი ქვეყნის კანონები, ბატონო პრეზიდენტო!"

სოფო ბუკია

საქვეყნოდ განთქმული რადიო-ფანატები ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი გუშინ, ჩვეულებისამებრ, რადიომიმღებს მიუსხდნენ. გულდასმით მოისმინეს პრეზიდენტის რადიო-ინტერვიუ და ძალიან ბევრიც იცინეს და იხალისეს. თუმცა, მიუხედავად **"პრეზიდენტის საუბარში გაპარული ბევრი სახალისო ტყუილისა,"** ტრადიციული რადიო-განხილვა მაინც არ მოაწყვეს.

შევარდნაძე მორიგი სასტიკი მხილებისგან ზვიად გამსახურდიას დაბადების დღემ და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ეროვნულმა მნიშვნელობამ იხსნა.

მრავალწლიანი დაკვირვების შემდეგ, ზვიად ძიძიგურს შეუმჩნეველი არ დარჩა, რომ საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი ეროვნულ დღესასწაულებს ერთობ ორიგინალურად აღნიშნავს. 31 მარტს, 26 მაისს, 9 აპრილს პრეზიდენტი, თურმე, ისე ღელავს, რომ მის დასაწყნარებლად დედაქალაქის ქუჩების პოლიციელებით დამშვენება ხდება აუცილებელი. **"ეს დღეები მისთვის ზეიმის კი არა, კოშმარის დღეებია, მართლა ძალიან ნერვიულობს,"** – შეეცოდა ძიძიგურს პრეზიდენტი.

როგორც მთავარი რადიო-ფანატი აღნიშნავს, 2003 წელს ახალი პარლამენტის მოწვევისთანავე, იგი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შემსწავლელი კომისიის დაარსების ინიციატივით გამოვა. გუშინვე გამოცხადდა იმ საპატიო ადამიანთა სია, ვისაც გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით დაკითხავენ: ედუარდ შევარდნაძე, ანზორ ბალუაშვილი, ავთანდილ მარგიანი, ავთანდილ იოსელიანი და სხვა.

ამ ინიციატივას დღევანდელ პარლამენტში რომ არ გაახარებენ, კობა დავითაშვილს ეჭვიც არ ეპარება. **"ბევრს აეწვება კუდი, თუ გამსახურდიას მკვლელობის შემსწავლელი კომისია შეიქმნება, რადგან ამ საქმეში გარეულია ბევრი დღევანდელი პარლამენტარიც,"** – აცხადებს იგი.

სამტრედიის ყოფილი პრეფექტი აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან დაკავშირებით მას საკმაოდ კომპეტენტური ინფორმაცია აქვს. **"საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის ორგანიზება სწორედ შევარდნაძემ ითავა. ეს ცარიელი სიტყვები არ არის, ამას ფაქტები ადასტურებენ,"** – აცხადებს ძიძიგური. მისი თქმით, ამის შესახებ ინფორმაციას ფლობს უშიშროების ექს-მინისტრი იგორ გიორგაძე და ასევე, გია გულუა და ბადრი ზარანდიაც ამაზე საუბრობდნენ.

ძიძიგურის განცხადებით, სწორედ შევარდნაძის დაუღალავი შრომის შედეგია ის მრავალტომიანი საქმე, რომელიც გენერალურ პროკურატურაში "შეკერეს" და გამსახურდია ბანდიტად გამოიყვანეს.

მიუხედავად ყველაფრისა, "საყვარელი რადიო-ინტერვიუს" ხსენების გარეშე პრესკონფერენციას მაინც არ ჩაუვლია. პრეზიდენტს ცოდვად ჩაეთვალა ის ფაქტი, რომ რადიო-ინტერვიუში საგადასახადო კოდექსზე თხუთმეტი წუთი ისაუბრა, თამბაქოს წარმოების შეზღუდვაზე და ისნის ამბოხებაზე საუბრისასაც ამდენივე წუთით გაცდა. 31 მარტის ისტორიულ რეფერენდუმსა და ზვიად გამსახურდიას კი მხოლოდ ორი წინადადება აკმარა.

**"ეს ფაქტი სავსებით ბუნებრივია, რადგან შევარდნაძეს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ხმა არ მიუცია. შევარდნაძისთვის საქართველო არასოდეს არ იყო სამშობლო, ის თავის სამშობლოდ საბჭოთა კავშირს მიიჩნევდა,"**– ამბობს ძიძიგური.

და კიდევ ერთი: პრეზიდენტმა გუშინდელ რადიო-ინტერვიუში აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულო დედაქალაქში ორხელისუფლებიანობის დამკვიდრებას ცდილობს და გადაწყვეტილებებსაც კანონის დარღვევით იღებს.

კობა დავითაშვილი დაეთანხმა პრეზიდენტს და განუმარტა, რომ "ნაციონალური მოძრაობა" ალტერნატიული ხელისუფლების შექმნას მართლაც ცდილობს, რისთვისაც საპასუხისმგებლო თანამდებობებს საკუთარ კადრებს ანდობს. **"ბატონმა პრეზიდენტმა იცოდეს, რომ ასე ნაბიჯ-ნაბიჯ "ნაციონალური მოძრაობა" მას მართვის სადავეებს ჩამოაცილებს".**

რაც შეეხება საკრებულოს მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებებს, დავითაშვილმა პრეზიდენტს ხანდახან კანონების გადაკითხვა ურჩია: **"წაიკითხეთ საკუთარი ქვეყნის კანონები, ბატონო პრეზიდენტო, და მერე მიხვდებით, რა არის უკანონო და რა - კანონიერი".**

## არის თუ არა დეპუტატი ადამიანი?

"ძალიან მაინტერესებს გავიგო, ადამიანი ვარ თუ არა," – ამ საჭირბოროტო კითხვამ "ნაციონალური მოძრაობის" წევრს კობა დავითაშვილს საოლქო სასამართლოში საჩივრის შეტანა აიძულა.

საქმე ის გახლავთ, რომ 18 მარტს დავითაშვილმა საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა, სადაც პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ პრეზიდენტის განკარგულების გაუქმებას ითხოვდა. საოლქო სასამართლომ პარლამენტარის სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ იგი პარლამენტის წევრია. მას აქვს მხოლოდ პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებები, რაც არ აძლევს საშუალებას, პრეზიდენტის განკარგულების გადახედვის მოთხოვნით საერთო სასამართლოს მიმართოს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ნებისმიერ ადამიანს აქვს, ადვილად მივხვდებით, ესოდენ სამწუხარო კითხვა კობა დავითაშვილს რატომ გაუჩნდა.

იგი აცხადებს, რომ სასამართლომ ამ შემთხვევაში "დრაკონული პრეცედენტი" დაუშვა და პარლამენტის წევრის, როგორც ადამიანის, უფლებები შეზღუდა.

თუ გავიხსენებთ, "ლეიბორისტმა" კახა ძაგანიამ ამ ცოტა ხნის წინ სასამართლო მსგავსი საკითხის გამო შეაწუხა. საკრებულოს წევრი პრეზიდენტის იმ განკარგულების გაუქმებას ითხოვდა, რომელიც თბილისში სტაციონარული დაწესებულებების რესტრუქტურიზაციას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ ძაგანიაც დეპუტატია, სასამართლომ მას გული არ დასწყვიტა და სარჩელი მიიღო.

"ხომ ხედავთ - "ლეიბორისტებისთვის" ყველაფერი შეიძლება, "ნაციონალებს" კი ყველა ფრონტზე გვებრძვიან," – აცხადებს დავითაშვილი.

*24 საათი*

## ალექსანდრე ჭაჭიათი გერმანელები დაინტერესდნენ

თბილისში შეერთებული შტატების საელჩოსთან „ერთობის" მიერ ჩატარებული საპროტესტო აქციის შემდეგ გავრცელდა ცნობა, რომ გერმანიის კანცლერი გერხარდ შრიოდერი მოხიბლულია აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორით – ალექსანდრე ჭაჭიათი.

როგორც ცნობილია, ერაყში ამერიკის პოლიტიკის დამგმობ „ერთობელებს" ხელში თანამოაზრეების - რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის, გერმანიის კანცლერის გერხარდ შრიოდერისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის პორტრეტები ეჭირათ. ამის გათვალისწინებით, გერმანიის კანცლერის კანცელარიიდან მოქალაქე ჭაჭიას სახელზე მოვიდა წერილი, რომელშიც გერმანელები ჭაჭიას სამი-ოთხზე ფოტოსურათის გაგზავნას სთხოვენ. მიზეზი მარტივია: ჭაჭიას ფოტოს გაადიდებენ და გერმანიაში ანტისაომარ მიტინგებზე გამოიყენებენ.

„ბოროტი ენების" თქმით, ანალოგიური თხოვნა ჭაჭიას რუსეთიდან არ მიუღია – მისი სურათი ისედაც ექნებათო. **მედია-ნიუსი**

## ვეტერანებს სამხედრო გადატრიალებას აბრალებენ

როგორც ჩანს, თანდათან ნათელი ეფინება თბილისის ისნის რაიონში არმომხდარ სამხედრო გადატრიალების დეტალებს.

დაკავებულ გვარდიელთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მათ ამბოხი დააბრალეს.

უბრალოდ, შეზარხოშებული ვეტერანები „ამის პატრონმა რა ქნას" თამაშობდნენ და ერთ-ერთი ნივთის პატრონს ტანკზე ამძვრალს სიმღერა დაევალა. ისიც თურმე ამდგარა და ჯერ ხმამაღლა დაუმღერია – „ცივი ომის დამქაშებს არ ვაჭამოთ ხინკალიო", შემდეგ კი უფრო ხმამაღლა – ამ მთას რომ ფეხს დავკრავ, იმ მთას ავატრიალებო...

ამ ხმაურზე გაღვიძებია ნაწილის მორიგეს და ცრუ განგაში აუტეხია, არიქა, სამხედრო გადატრიალებას გვიწყობენ. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცის. **მედია-ნიუსი**

## რუსი სამხედროები ამტკიცებენ, რომ ქართველებმა კაბელი მოჰპარეს

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებმა თბილისში საერთაშორისო სატელეფონო კავშირის 1700 მეტრის სიგრძის მაგისტრალური კაბელი მოიპარეს, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფებას ეკუთვნოდა.

ამის შესახებ განაცხადა რუსეთის საჯარისო დაჯგუფების პრესსამსახურის უფროსმა ალექსანდრე ლუცკევიჩმა.

მისი თქმით, რუსმა სამხედროებმა ნაქურდალით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კავშირგაბმულობის კვანძის სამხედრო მოსამსახურეები დაიჭირეს, რომლებიც მოპარული კაბელის გატანას ცდილობდნენ.

ალექსანდრე ლუცკევიჩის თქმით, რუსეთის საჯარისო დაჯგუფების ხელმძღვანელობა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაგან განმარტებებსა და ზარალის ანაზღაურებას ელოდება. **პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებით, ისნის რაიონში ყოფილი მეთერთმეტე ბრიგადის ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტი - ვეტერან გვარდიელთა ამბოხი, იყო "კრიმინალური ამბიციისა" და "კრიმინალური განზრახულობის გამოვლინება". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ამ დღეებში მადლობის ბარათი გამოუგზავნა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს, რომელშიც ის კმაყოფილებას და აღფრთოვანებას გამოხატავს ედუარდ შევარდნაძის გამოსვლით თბილისის ბაპტისტურ ეკლესიაში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ ზუგდიდის რაიონის გამგეობის შენობის წინ "გაერთიანებული დემოკრატების" ზუგდიდის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მიტინგის მიზეზი რაიონში ელექტროენერგიის დეფიციტი გახდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოსა და რუსეთის ექსპრეზიდენტების მიერ სოჭში მიღწეული შეთანხმების თანახმად, ქართულმა მხარემ პრაქტიკულად დაასრულა მუშაობა ექსპერტთა ჯგუფების შექმნაზე და ახლა მოსკოვისგან ელის ანალოგიურ ქმედებას, რათა „მკვდარი წერტილიდან" დაიძრას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამშვიდობო პროცესი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში გაიმართა რუსეთის ფედერაციის საელჩოს და ჩეჩენი ლტოლვილების არაოფიციალური შეხვედრა, რომელზეც ლტოლვილთა ჩეჩნეთში დაბრუნების შესაძლებლობის საკითხი განიხილებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ერთიანმა კომუნისტურმა პარტიამ გუშინ თბილისში აშშ-ს საელჩოს შენობის წინ საპროტესტო აქცია გამართა და ერაყში ომის შეწყვეტა მოითხოვა. აქციაში დაახლოებით 30 კაცმა მიიღო მონაწილეობა. **პრაიმ-ნიუსი**

## კვორუმს ბიუროც ვეღარ კრებს

პირველი გვერდიდან

ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დეპუტატთა სიხალვათის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ მიმდინარე კვირაში პლენარული სხდომები არ ტარდება. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აპრილის პირველ კვირაში საკანონმდებლო ორგანოში სიწყნარე იქნება. სიმშვიდეს და იდილიას აუცილებლად დაარღვევს კანონპროექტი "სპეციალური ეკონომიკური ზონის შესახებ", რომლის საკომიტეტო მოსმენები ამ დღეებში ჩატარდება და, სავარაუდოდ, დიდ ვნებათაღელვას გამოიწვევს.

ამ საკითხით დაინტერესებული ყველა პოლიტიკური ძალა ოპონენტებს, ჯერჯერობით, მშვიდი განსჯისა და გონიერებისკენ მოუწოდებს, მაგრამ საეჭვოა, ამან ნაყოფი გამოიღოს - აჭარის დეპუტაციის მიერ ინიცირებული კანონპროექტი საკმაოდ წონადია, გავლენიანი ფინანსურ-ეკონომიკური ჯგუფების ინტერესებს ეხება და, აქედან გამომდინარე, დიდი პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნია.

სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნის მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც საკითხის განხილვის დაწყებამდე ზედმეტ ხმაურსა და თავისი კარტის გახსნას ერიდებიან. როგორც ჩანს, "რკინის არგუმენტების" მოყვანა და ოპონენტების მტკიცებულებათა "გაქარწყლება" უშუალოდ საკომიტეტო მოსმენებისას დაიწყება. ბიუროს გუშინდელ "არალიცენზირებულ" სხდომაზე კი, მომავალმა არბიტრმა - პარლამენტის თავმჯდომარემ მხარეებს სთხოვა - ძალის დემონსტრირებას ნუ შეეცდებიან და ლელოს გატანას მხოლოდ უმრავლესობა-უმცირესობის პრინციპით ნუ მოინდომებენ.



ბიუროს სხდომაზე სიხალვათე იყო.

**"სპეციალური ეკონომიკური ზონის შექმნა საკმაოდ დელიკატური საკითხია და სასურველია, რომ ის საერთო შეთანხმების საფუძველზე გადაწყდეს",** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ეკონომიკური პროფილის საპარლამენტო კომიტეტებთან ერთად, მიმდინარე "არაპლენარულ კვირაში" დიდი ჯაფა დაადგება, აგრეთვე, ინტერფრაქციულ ჯგუფს, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობს. ჯგუფის ხელმძღვანელი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი დეპუტატებს შეახსენებს, რომ ცაიტნოტი ახლოვდება და გადაწყვეტილებების მიღება დროულად არის საჭირო. იგი სულაც არ იკვებება ილუზიით, რომ ახალი საარჩევნო კოდექსის ძირითად დებულებებზე შეთანხმება იოლი საქმე იქნება, მაგრამ გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველი გააჩნია. გიგი წერეთლის თქმით, ინტერფრაქციული ჯგუფი ამ კვირაში მუშაობას დაასრულებს საარჩევნო სიების შედგენისა და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების საკითხებზე და მზად იქნება, თავისი პოზიცია პლენარულ სხდომაზე წარმოადგინოს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პოლიტიკურ საზოგადოებას ახლო მომავალში ააფორიაქებს, ორი სახელისუფლებო შტოს ურთიერთობებს უკავშირდება: გუშინ პრეზიდენტმა პარლამენტში წარმოადგინა მთავრობის ანგარიში 2002 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ეს დოკუმენტი უახლოეს დღეებში გადაეგზავნება კონტროლის პალატას, რომელიც, საკანონმდებლო ორგანოს თავის დასკვნას ორი კვირის ვადაში წარუდგენს.

ამის შემდეგ კი პარლამენტი ბრალმდებლის როლში აღმოჩნდება, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება - ბრალდებულის. მთავრობას ნამდვილად გაუჭირდება არგუმენტების მოხმობა იმის გასამართლებლად, თუ რატომ ვერ შესრულდა გასული წლის ისედაც "მსუბუქი" ბიუჯეტი. მტყუან-მართლის განსჯისას, ოპოზიციური ძალები მთავრობის პასუხისმგებლობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა ეშელონის წარმომადგენელთა იმპიჩმენტის საკითხს აუცილებლად დააყენებენ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ პროცესის დაწყება გარკვეულ დროს საჭიროებს და აღმასრულებელ-კანონმდებელთა "ჯახს", სავარაუდოდ, მხოლოდ აპრილის ბოლოსთვის უნდა ველოდოთ.

## ეუთო-ს დელეგაციის ზოგადი შეფასებები

თამარ ხორბალაძე

**"არაერთი სერიოზული წინადადებაა შემუშავებული კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით, მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი ეს ქაღალდზე რჩება. ამ წინადადებებს რეალურ ცხოვრებაში გადატანა სჭირდება!"** – განაცხადეს გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ეუთო-ს დელეგაციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც საქართველოში ოთხდღიანი ვიზიტის შედეგები შეაჯამეს.

ეუთო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრის კომენტირებისას კი, გუშინ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ მას მოუხდა აეხსნა დელეგაციის წევრებისთვის, რომ სოჭის დოკუმენტი არა თუ ეწინააღმდეგება, არამედ გულისხმობს როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს, ასევე ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ყველა გადაწყვეტილების შესრულებას, რომელთა შორის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ლტოლვილების დაბრუნება იგულისხმება.

საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრის შემდეგ, დელეგაციის წევრებმა საზღვრის მონიტორინგის საგუშაგოები მოინახულეს. გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ ეუთო აპრილის დასაწყისში, სოფელ ნაფარეულში, საქართველო-რუსეთის საზღვრის 152-კილომეტრიანი დაღესტნის მონაკვეთის მონიტორინგის ბოლო - მეოთხე პუნქტს გახსნის.

კვირას და ორშაბათს დელეგაციის წევრებმა ცხინვალი და სოხუმი მოინახულეს და, როგორც აღვნიშნეთ, გუშინ, დღის ბოლოს ჟურნალისტების წინაშეც წარდგნენ, თუმცა, ძირითადად, "ზოგადი ფრაზებით" შემოიფარგლნენ: განაცხადეს, რომ სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან არც სტამბულის ხელშეკრულების შესრულებაზე, ანუ ბაზების გაყვანაზე, არც ე.წ. ბოდენის დოკუმენტზე, ანუ სტატუსის განსაზღვრაზე არ უსაუბრიათ. თქვეს, რომ მათ დახვდათ ადგილებზე "შესრულებული საშინაო დავალება", რომელსაც ამოქმედება სჭირდება. აღნიშნეს, რომ ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და დევნილთა დაბრუნებას გარკვეული დრო და ძალისხმევა დასჭირდება. ხაზი გაუსვეს სოჭის შეხვედრისა და ჟენევაში მეგობარი ქვეყნების შეხვედრის მნიშვნელობას.

**"საფუძვლის შექმნაში წამყვანი როლი გაერო-მ და მეგობარმა ქვეყნებმა შეასრულეს, თუმცა პროცესის ადგილიდან დასაძვრელად მხარეების კეთილი ნება აუცილებელია,"** – დაასკვნეს ბოლოს.

## „მოღალატენო, ვინ მოგცათ ზვიადის ხსენების უფლება!„

### აურზაური "თანხმობის" დარბაზში

ვერიკო თევზაძე

*მოღალატენო, თქვენ ესროლეთ ზვიად გამსახურდიას! ვინ მოგცათ უფლება, ზვიადზე რომ ლაპარაკობთ? გაგვაგებინეთ, რა სტატუსით ზის აქ ბაკურ გულუა - როგორც გამსახურდიას გზის მიმდევარი, თუ როგორც პრეზიდენტ შევარდნაძის მეხოტბე?.. ვინ მოიწვია ზვიადის დაბადების დღეს როინ მეტრეველი და მისი მსგავსი პუტჩისტები?.. პუტჩისტებო და მამაძაღლებო, განა თქვენ თვითონაც არ იცით, რომ სისხლში იხრჩობით, მაგრამ ხანდახან მაინც გჭირდებათ ჩვენგან ამის შეხსენება, აი, მოვედით კიდეც! მო-ღა-ლა-ტე-ნო! მო-ღა-ლა-ტე-ნო! მო-ღა-ლა-ტე-ნო!*

აურზაური "ეროვნული თანხმობის დარბაზში" მაშინ შეიქნა, როცა ჟურნალისტთა ფედერაციის გადაჭედილი აუდიტორიის კარი "მრგვალი მაგიდის" წარმომადგენელმა განრისხებულმა მანდილოსნებმა (მათ მოგვიანებით რამდენიმე მამაკაციც შეუერთდა) შემოაღეს...

მანამდე კი ბაკურ გულუამ რიხიანად წაიკითხა წინასწარ დაწერილი მოხსენება, რომელშიც დაასკვნა, რომ **"ხელისუფლება სისტემურ კრიზისს განიცდის, ქვეყნის სოციალური სტრუქტურა დეფორმირებულია, კრიმინოგენული მდგომარეობა გამწვავებულია. ეს ხელისუფლება კანონიერი გზით უნდა შეიცვალოს. სხვა გზას რევოლუციისა და ნგრევისკენ მივყავართ."**



"ზვიადისტმა" ქალბატონებმა პრეზიდიუმში დაიკავეს ადგილი.

გულუას მოხსენება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ "მრგვალი მაგიდის" ქალბატონებმა აუდიტორიის კარს მიღმა ჩოჩქოლი ატეხეს. აუდიტორიიდან ვილაცამ საბედისწეროდ წამოიძახა - აქ მიტინგი არ არის საჭირო. მიტინგის გაგონებაზე მანდლოსნებმა თავი ვეღარ შეიკავეს და "თანხმობის" საზეიმო სხდომაზე შეიჭრნენ. **"მრგვალი მაგიდა" გარეთ დატოვეთ და ზვიადის დაბადების დღეს ბაკურ გულუა, როინ მეტრეველი, ვახტანგ გოგუაძე, ავთო მარგიანი და სხვა გამცემლები მოიწვიეთ! ესენი ყველანი ციხეში უნდა ჩაყარო... ვინ მოგცათ თქვენ უფლება, ასე თამამად რომ ახსენებთ ზვიადს, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას! თქვენ არ დაანგრიეთ ზვიადისდროინდელი პარლამენტი?"**

**"სირცხვილია, ხალხო, გაჩერდით, გაჩერდიიიით!"** - ბოლო ხმაზე ყვიროდა აკაკი სიხარულიძე. **"ამ ხალხმა არ მოიშალა ავადმყოფობა",** - ჩხუბსა და აყალმაყალში ძნელი გასარჩევი გახდა, ვინ ვის "ამკობდა."

სხდომა თავდაპირველად თედო პაატაშვილმა დატოვა, მას თანდათანობით მიჰყვნენ ნოდარ ნათაძე, როინ მეტრეველი, გოგი ქავთარაძე, ვახტანგ გოგუაძე, ავთანდილ მარგიანი... რესან კონცელიძე მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა და ადგილიდან არ იძვროდა. ბაკურ გულუა ჯიუტად არ ტოვებდა პრეზიდიუმს. სხდომის წამყვანი აკაკი სიხარულიძე წარბებშეკრული და იმდენად გაბრაზებული იყო, პროტესტის ნიშნად საერთოდ არ იღებდა ხმას...

ამასობაში, ორიოდე პოლიციელი გამოჩნდა. ერთ-ერთმა მათგანმა ამიხსნა, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილებიდან იყო. პოლიციის დანახვაზე ერთ-ერთმა მანდილოსანმა წამოიყვირია: **"12 წელია, რაც ესენი გვირტყამენ!"** "ესენი" კი დაწესებულების ხელმძღვანელობას ეძებდა....

როგორც ჩანს, "მრგვალი მაგიდის" წევრებმა "ორთქლი გამოუშვეს", თანაც, პოლიციის დანახვაც არ ესიამოვნათ და თანდათანობით დარბაზის დატოვება იწყეს. უმრავლესობისგან განსხვავებით, "მრგვალი მაგიდის" წარმომადგენელი სამიოდე ქალბატონი "დაწინაურდა", ისინი "გუნდს" ჩამოშორდნენ და პრეზიდიუმში მოკალათდნენ. მანდილოსნებს მალე კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. აკაკი სიხარულიძემ გამოაცხადა - საზეიმო სხდომის მთავარი ნაწილი დამთავრდა, ახლა კონცეფციაზე ხელმოწერები იწყებაო.

**"სხდომაც ამას ქვიოდა და თანაც საზეიმოო",** - ჩაიქირქილა ერთ-ერთმა ზვიადისტმა ქალბატონმა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილების პოლიციელი საქართველოს დროშის ქვეშ მდგარ სკამზე იჯდა და იშვიათი მოთმინებით ელოდა, როდის დატოვებდა აუდიტორიას ბოლო ადამიანი....

## ვის გადმოსვენებას აპირებს ქვემო ქართლის გუბერნატორი მოსკოვიდან?

პირველი გვერდიდან

განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია მათ თბილისიდან სააგენტოს საკუთარმა კორესპონდენტმა ალბერტ ერემიანმა მიაწოდა. "თავიდანვე ჩვენც რაღაცამ დაგვეეჭვა, მაგრამ თბილისურ წყაროს მაინც ვენდეთ. თუ ხვალ გადმორეკავთ, ჩვენ ერემიანთან გავარკვევთო." მეორე დღეს ერემიანთან საქმე გაირკვა - მასაც ეს სენსაციური ინფორმაცია ვილაცამ მიაწოდა ქვემო ქართლის გუბერნატორის აპარატიდან.

საქართველოს ელჩმა რუსეთის ფედერაციაში ბატონმა ზურაბ აბაშიძემ ამ ინფორმაციას არაზუსტი უწოდა და ჩვენთან საუბარში სევდიანად დასძინა - სუფთად, ქართველების ამბავიაო...

მოსკოვის ქართული დიასპორის ვიცე-პრეზიდენტი დავით ბერიტაშვილი ამტკიცებს, რომ მოსკოვში სულხან-საბა ორბელიანის საფლავი არ არსებობს. ბერიტაშვილი იმასაც ამბობს, რომ მას არ მოსწონს მეფეების სამშობლოში გადასვენების მთელი ეს კამპანია, რადგან ახლა სულ სხვა საზრუნავი უნდა გვქონდესო.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი კომპეტენტური მოსაზრება გამოთქვა საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული კულტურული ძეგლების კვლევების ხელმძღვანელმა ბატონმა გივი ღამბაშიძემ:

**"კატეგორიულად მსურს განვაცხადო, რომ საჭიროა აკადემიური, დინჯი, ღრმა მეცნიერული კვლევის ჩატარება წყაროთმცოდნეთა, არქეოლოგთა და ანთროპოლოგ-ბიოლოგთა მონაწილეობით. მხოლოდ მათ, აჟიოტაჟისგან თავისუფალ თვალსაზრისზე დაყრდნობით შეიძლება საზოგადოების ინფორმირება. საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პატრიარქის ხელმძღვანელობით, უახლოეს დღეებში შეიქმნება უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა მემორიალური ადგილებისა და ისტორიულ-რელიგიური ძეგლების მოძიების, მოვლა-პატრონობისა და მათი სახელების უკვდავყოფის მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც უხელმძღვანელებს ამ დიდი ეროვნული მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას. ამ ხაზით ა.წ. 8 აპრილს საქართველოს საპატრიარქოსა და მეცნიერებათა აკადემიის სამკაციანი დელეგაცია მიემგზავრება ქალაქ ასტრახანში საქართველოს მეფეების - ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის ნეშტების საქართველოში გადმოსასვენებლად. რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანის საფლავს, იგი ამჟამად ჩათვლილია დაკარგულად, თუმცა, ქართველ მეცნიერთა ძიებებით დადგინდა, რომ იგი, სავარაუდოდ, შეიძლება, დასაფლავებული იყოს მოსკოვის ვსეხსვიატსკოეს მონასტერში, რომელიც დარეჯან დედოფალმა 1733-1736 წლებში ააგო."**

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ინტერნეტგამოცემა "საქართველო.რუ", არასანდოობის გამო, პირველი აპრილიდან ამ ინფორმაციის ამოღებას აპირებს.

მაგრამ ქვემო ქართლის გუბერნატორი თავისას არ იშლის და ჯიუტად აპირებს დიდი წინაპრის ნეშტის სამშობლოში დაბრუნებას, თანაც აპრილის პირველ რიცხვებში.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# შავი ორმო

**პირველი გვერდიდან**

"საშტატო განრიგით" საქართველოს ენერგოსექტორში დღეს ყველაზე დიდი "სამთავრო" სემეკი გახლავთ, ყველაზე ძლევამოსილი ენერგოჩინოსანი კი - ელიზბარ (სემეკის) ერისთავი. დასავლური, უფრო ზუსტად კი, ამერიკული დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიის ანალოგიით შექმნილი სემეკი თავისი ოკეანისგაღმელი თანამოძმეების აშკარა კარიკატურაა, თანაც - საკმაოდ უნიჭო კარიკატურისტის შესრულებული. აქედან გამომდინარე, მისი დამოუკიდებლობიდან, სტატუსის გარდა, მხოლოდ "რქები და ჩლიქებია" დარჩენილი და დღეს სემეკი სხვათა დავალებების ისეთივე კარგი შემსრულებელია, როგორც ადრე, მაგალითად, "საქენერგო" იყო. დამკვიდრებული ტრადიციით, მასზე თანაბარი წარმატებით ძალადობს საკანონმდებლო ხელისუფლებაც და აღმასრულებელიც. შარშან, წლის ბოლოს, ამ ტანდემს სასამართლოც შეუერთდა, თან განა უბრალო - საკონსტიტუციო. ასე რომ, სემეკის სიმპათიური, ჭარმაგი ერისთავი თავის ნაზირ-ვეზირებთან (დემურ ჩომახიძე და პაატა ცინცაძე) ერთად, ძალიან ცუდ დღეშია. თანამდებობრივი უფლებამოსილების მიუხედავად, ბატონ ელიზბარ ერისთავის გავლენა საქართველოს ენერგეტიკაზე დღეს უფრო ნაკლებია, ვიდრე, ვთქვათ, ეგვიპტისაზე, სადაც ბატონი ელიზბარი, წლების მანძილზე, საბჭოეთის მეგობარ ეგვიპტელ ხალხს ჰესების მშენებლობაში ეხმარებოდა.

სემეკი ბოლო წლების ქართული ენერგორეფორმების მონაპოვარია. სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ მრავალწლიანი რეფორმების გზაზე ასეთი მონაპოვრები უხვად არის მიმობნეული. ერთ-ერთი მათგანი "საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემა" გახლავთ. კარგი მიმბაძველობა ყოველთვის დასაფასებელია: ეს სახელი რუსეთის ცეცხლისმფრქვეველი РАО "ЕЭС РОССИИ"-ს ანალოგიით არის შექმნილი. თუმცა, სემეკისა და ამერიკული მარეგულირებელი კომსიებისა არ იყოს, РАО "ЕЭС РОССИИ" და "საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემაც" მხოლოდ კარიკატურულ დონეზე თუ დაიყენება გვერდიგვერდ. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ჩვენებურ ენერგოსისტემებს ვერც ჩუბაისის დარი მენეჯერი უსარდლებს. ბატონი ვახტანგ ბეგიაშვილი ქართული საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ფიგურაა, ცხადია, არა ენერგომოღვაწეობით, არც რაიმე ტიპის განსაკუთრებული ტოპ-მენეჯერობით. მისი სახელი უფრო მეტად ადრინდელ "სამუშაო ადგილს - "საქართველოს მხედრიონს" უკავშირდება.

საერთოდ, "მხედრიონის" ხელისუფლებაში "შეზრდა" ცალკე საუბრის საგანია და აბსოლუტურად კონკრეტულ საფუძვლებს ეყრდნობა. თუ ხაჩიშვილის გამოშვება ურჩი პოლიტიკური სპექტრის დასაშინებლად, გელაშვილის გამოშვება კი მორჩილებიდან გამდგარი ბიზნესმენების "მწყემსვის" ინსტრუმენტად მოიაზრება, კარგი იქნებოდა, ანალოგიური "მხედრიონული" წარსულით ცნობილი ბეგიაშვილისთვის მთავარი "ენერგორუბილნიკის" ჩაბარება ურჩი გადამხდელების ან სულაც არგადამხდელების დასასჯელ მექანიზმად ქცეულიყო. თუმცა, ასე რომ არ არის, ფაქტია. ცხადია, სისულელეა იმის მტკიცება, რომ გადამხდელთა შეზღუდვის ხარჯზე არგადამხდელების წახალისების პრაქტიკა ბეგიაშვილის დროს დამკვიდრდა. თუმცა, რომ არ აღმოფხვრილა, ესეც ცხადზე უცხადესია, ასე რომ, "საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემა" და მისი ხელმძღვანელი, კორუმპირებული სისტემის ერთ-ერთ საკვანძო რგოლად რჩება.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ენერგოპოლიტიკაში ჩარევა სასამართლო ხელისუფლებამაც დაიწყო. თუმცა, მას ამ სფეროზე თანამდებობრივად გაპიროვნებული სუბიექტი ჯერ არ ჰყავს. სამაგიეროდ, ასეთები კარგა ხანია, მოეპოვება ორ სხვა ხელისუფლებას - პარლამენტს და მთავრობას.

საკანონმდებლო ხელისუფლებაში ენერგეტიკის ქვეკომიტეტს რევაზ არველაძე ხელმძღვანელობს. ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატს დღევანდელ სტატუსამდეც სერიოზული პროფილური წარსული აქვს - არველაძე პროფესიონალი ენერგეტიკოსია. თუმცა, როგორც უკვე არაერთხელ დავრწმუნდით, კარგი დარგობრივი პროფესიონალი ძალიან ხშირად არ ნიშნავს დარგის კარგ ადმინისტრატორს. არველაძემ ეს თავის თავზე გამოსცადა: დარგის უვარგისი ხელმძღვანელობის გამო, პრეზიდენტმა ის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროდან დავით ზუბიტაშვილთან ერთად (მაშინ არველაძე მინისტრის პირველი მოადგილე იყო) გაუშვა. თუმცა, კიდევ ერთი, უკვე კარგად დამკვიდრებული ტრადიცია ცხადყოფს, რომ საქართველოში ენერგეტიკოსები რეინკარნაციის სასწაულებრივი უნარით ხასიათდებიან. ასე მოხდა ამჯერადაც: უვარგისი ენერგოაღმასრულებელი არველაძე საუკეთესო ენერგოკანონმდებელ არველაძედ იქცა. დასკვნები თქვენ თვითონ გააკეთეთ.

რაც შეეხება ენერგეტიკის აღმასრულებელ კურატორს, ამ სარბიელზე მირცხულავასთან დუეტს არანაკლებ საინტერესო კადრი - სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლაიშვილი ქმნის. მათი ერთად ხსენება შემთხვევით არ გვიხდება: ნიკოლაიშვილი იყო ის სუბიექტი, ვისაც ენერგომინისტრის სავარძელი სწორედ მირცხულავას მერე უნდა ეხეხა. თუმცა,


დავით მირცხულავა


[illegible] ფოტო

ელიზბარ ერისთავი

საბოლოოდ ნიკოლაიშვილი სახმინისტრ ჯორბენაძის მოადგილე გახდა, რასაც ბატონი ავთო თავიდანვე ცუდად დაფარული უკმაყოფილებით შეხვდა.

ბევრჯერ თქმულა და გამეორებაც ზედმეტია, რომ ნიკოლაიშვილის მფარველი ანგელოზი შევარდნაძის დიდი ოჯახია, უფრო კონკრეტულად - "იუნესკოს" შეფარებული კრონპრინცი პაატა. მეტიც: პაატა შევარდნაძესთან დაახლოებული პირია ნიკოლაიშვილის სიმამრი ავთანდილ ქორიძეც, რომელიც განახლებადი ენერგიების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე გახლავთ.

აქედან გამომდინარე, ნიკოლაიშვილის მინისტრობის შანსები სულაც არ ჩანდა ურიგო, მაგრამ ეს ღონისძიება, როგორც ჩანს, "უკეთესი მომავლისათვის" გადაიდო. რაც შეეხება ნიკოლაიშვილის მარგი ქმედების კოეფიციენტს სახელმწიფო კანცელარიაში, ამაზე მხოლოდ ერთი ფაქტითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ: მიუხედავად იმისა, რომ ენერგეტიკის კურირება სწორედ მას ევალება, ამ საქმეს მისი ხან ერთი კოლეგა აკეთებს (გიორგი ისაკაძე), ხანაც - მეორე (აკაკი ზოიძე).

## ჩვენებური უჩინარები

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მამუკა ნიკოლაიშვილი არ არის ერთადერთი, ვისაც უჩინარ ენერგოჩინებზე გავყავართ. ცხადია, ეს გამოჩენილები თუ უჩინარები ყოველთვის პრეზიდენტის ოჯახის უშუალო წევრები ან მოყვრები არ არიან, მაგრამ საბოლოოდ, როგორც წესი, აქაც ყველა გზა რომისკენ მიდის და გზად პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაზე გადის.

პრინციპში, გასაკვირი არაფერია, რადგან ამასაც საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს - ოჯახი და მისი მეგობრები ყოველთვის ცდილობდნენ, სასურველ ენერგოპოსტებზე სასურველი კადრები ეხილათ. თუ ოთხი თვის წინ საკუთარი ძმაკაცის გამინისტრებას პაატა შევარდნაძე ლამობდა, ოთხი წლის წინ იგივეს მისი ბიძაშვილი ნუგზარ შევარდნაძე ცდილობდა. წარმატებითაც:

ზუბიტაშვილის მოხსნის შემდეგ მინისტრად გამწესებული თემურ გიორგაძე ბოლოს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი იყო. თუმცა, გუბერნატორობამდე მას გაცილებით "მაღალი" პოსტი ეკავა - კორპორაცია "ივერია პლუსის" დირექტორი იყო. იმ "ივერია პლუსის", რომელიც ნუგზარ შევარდნაძის კუთვნილებაა. ასე იყო ოთხი წლის წინ. ასეა დღესაც, ოღონდ მეთოდები დაიხვეწა: თუ მაშინ "ივერია პლუსი" თავის "ჯიბის ენერგომამას" ლობირებდა, დღეს 144 ათას ლარად "საქენერგოს" 166 მილიონის მოცულობის ვალებს ყიდულობს. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. დანარჩენი კი უბრალო კალკულატორითაც იანგარიშება: გადახდილი 144 ათასის სანაცვლოდ "ივერია პლუსმა" 166 მილიონის 1%-იც რომ ამოიღოს, გასაკვირი არ იქნება, რატომ არის პრეზიდენტის სანათესაოს ბიზნესი ასეთი მაღალრენტაბელური.

თან, გაითვალისწინეთ, რომ პრეზიდენტის გარემოცვიდან ენერგოსფეროში მარტო მისი ძმისწული არ მოღვაწეობს. მეტსაც გეტყვით: ნუგზარ შევარდნაძე პრეზიდენტის გარემოცვიდან პრაქტიკულად ერთადერთია, ვინც ენერგობაზარზე ღიად თამაშობს. სხვები განსხვავებული სცენარით მუშაობას ამჯობინებენ.

მაგალითისთვის, "რაიფაიზენბანკთან" მომხდარი ინციდენტის გახსენებაც კმარა. ამ საქმეში, რომელიც ასევე ენერგოსექტორს ეხებოდა, რატომღაც აქცენტი მხოლოდ პარლამენტარ ლევან პირველზე გაკეთდა და ყველა ჯოხის მასზე გადამტვრევა სცადეს. არადა, ყველამ კარგად იცოდა, რომ "რაიფაიზენის" პარტნიორ ქართულ ბანკში - "თბილკრედიტბანკში" - ლევან პირველზე მეტად პრეზიდენტის მძახლის, გურამ ახვლედიანის სახელი ფიგურირებდა. წრედის საბოლოოდ შესაკრავად კი შეიძლება რუსთავის ქიმკომბინატის ისტორია გავიხსენოთ, სადაც ასევე ენერგორესურსებით (ოღონდ არა დენით, არამედ გაზით) შევარდნაძის გარემოცვის მესამე ფრთა - "მაგთი ჯგუფი" და პირველსიძე გია ჯოხთაბერიძე მანიპულირებდა.

ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. მით უფრო, რომ ენერგეტიკაში სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პოსტებზე დასაქმებული ტიპები ყოველთვის შედიოდნენ ჩამოთვლილი და კიდევ სხვა დაჯგუფებების გავლენისა და მფარველობის ველში. სწორედ აქედან მოდის ცალკეულ ენერგომამათა, პრაქტიკულად, უკვდავი პროფესიული საქმიანობა და უკვე ნახსენები გასაოცარი რეინკარნაციის უნარი. მაგალითი წარსულიდან: "საქენერგოს" ყოფილი შეფი ვაჟა მეტრეველი თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ "ელექტროგადაცემის" სამეთვალეურეო საბჭოს თავმჯდომარის პოსტამდე ამაღლდა. მაგალითი აწმყოდან: ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციით, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეობიდან განთავისუფლებული გია ადეიშვილი "საქართველოს ერთიანი ენერგოსისტემის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ იქცა.

პრაქტიკულად, ერთადერთი, ვინც სისტემაში არ დარჩენილა, ყოფილი მინისტრი დავით ზუბიტაშვილი იყო. ვერც დარჩებოდა, რადგან ძალიან თვალნათელი გაფრთხილება მიიღო - მძიმე ჭრილობა და ფიზიკური ლიკვიდაციის მუქარა.

ცხადია, ზედმეტია იმის აღნიშნვა, რომ ეს საქმე არათუ არავის გამოუძიებია, საერთოდ ისე მიეცა დავიწყებას, თითქოს არც მოხდარა.

## ლეგიონერები

ასეთ "ღრმად ქართულ" ფონზე აშკარად ზედმეტებად მოჩანან ის ფიგურები, რომლებიც დღეს საქართველოში სხვადასხვა სტრატეგიულ ინვესტორებს თუ ოპერატორ კომპანიებს წარმოადგენენ. მათ რიცხვში უპირველესი, ცხადია, "ეი-ი-ეს"-ი და მისი კონკრეტული სახეებია. მაიქლ სქოული საქართველოდან დაუვიწყარი კვალით წავიდა - ცალი წარბი ალთას გაექცა, მეორე კი სულაც გაუშეშდა. უეჭველია, არანაკლები შთაბეჭდილებებით დახუნძლული დაგვტოვებს მარად შეშინებული სახის მქონე მისი მემკვიდრე - იგნასიო ირიბარენი, რომელსაც მშობლიური ვენესუელური რია-რია აქაურთან შედარებით სამოთხედ მოეჩვენება. თუმცა, თუ "ეი-ი-ეს"-ი, როგორც დიდი გამოცდილების მქონე წარმატებული სტრუქტურა, პირველ რიგში საკუთარ შეცდომებს დაუწყებს ძებნას, ნამდვილად არ შეცდება. რაც არ უნდა ამტკიცონ დღეს საწინააღმდეგო მისმა მესვეურებმა, ფაქტი ძალზე ჯიუტია: მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ენერგოკორპორაცია საქართველოში ისე შემოვიდა, რომ პრაქტიკულად არანაირი ან ძალიან ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ სად და რა პირობებში უნდა ეწარმოებინა ბიზნესი. სწორედ ეს იყო და არის თავი და თავი ყველა იმ პრობლემისა, რაც "ეი-ი-ეს თელასს", ეი-ი-ეს მტკვარს" თუ "ეი-ი-ეს ხრამს" ხვდებოდა და ხვდება ყოველ ნაბიჯზე. სწორედ ამიტომ უხდება "ეი-ი-ეს"-ის ქართულ წარმომადგენლობას ქართულ ენერგობოსობასთან ბრძოლა ყველა დროს და ყველა დონეზე.

განვლილი პერიოდის ზედაპირული ანალიზიც გვაძლევს საშუალებას, გამოვთქვათ პროგნოზი, რომ "ეი-ი-ეს"-ის მდგომარეობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დამძიმდება - მის წინააღმდეგ ხომ სულ უფრო მეტი ბერკეტით აღჭურვილი მანქანა მუშაობს. ამდენად, ამერიკულ კორპორაციას და მის ქართულ ფილიალებს მუდმივად ანტიკრიზისული მენეჯმენტის რეჟიმში მოუწევთ მუშაობა და კაცმა არ იცის, როდემდე შეიძლება ეყოთ რესურსები.

ქრონოლგიურად "ეი-ი-ეს"-ის შემდეგ საქართველოში შემოსული მეორე მსხვილი უცხოელი ენერგოსუბიექტი ესპანური "იბედროლაა" - ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ოპერატორი. "იბედროლას" შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო რთულად არის. მას სამართავად ჩააბარეს სტრუქტურა, რომელსაც შექმნის დღიდან ყველა მისი სუბიექტი თუ სხვა დარგობრივი რგოლი დაუნდობლად არბევს და ანგრევს და ეს თანაბრად ეხება საბითუმო ბაზრის როგორც ინსტიტუციონალურ, ასევე ფინანსურ საქმიანობას.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ის იშვიათი ორგანიზაციაა, რომელიც კი არ გაბანკროტდა, არამედ ბანკროტად დაიბადა. დაარსების დღიდან დღემდე მას საკუთარი სხეულის სიდიდესთან შედარებით განუზომელი ვალები სრესს.

სწორედ ამიტომ არის, რომ მის ანგარიშებს 24-დან 23 საათის მანძილზე ყადაღა ადევს და თითქოს რიგიც კია დაწესებული: როგორც კი ერთი ახსნის, მეორე ადებს. რეალურად, სისტემაში მსხვილი ინექციის შეშხაპუნების გარეშე, რომელიც "იბედროლას" ბორბალს დაატრიალებინებს, ეს სისტემა განწირულია.

ფული კი იმ რაოდენობით, რომ კრედიტორებიც დააკმაყოფილოს და სისტემამაც ამუშაოს, არც არის და არც არასდროს იქნება. შესაბამისად, საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი მომავალშიც დღევანდელივით დარჩება ენერგოსასაფლაოს დირექტორის ამპლუაში, ერთადერთი რეალური პერსპექტივით - მისდამი რწმუნებული სასაფლაოს მოცულობა დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტად გაიზრდება.

საქართველოს ენერგეტიკაში მოღვაწე უცხოური კომპანიების - "ეი-ი-ეს"-ისა და "იბედროლას" - სქემას სამკუთხედად ირლანდიური "ი-ეს-ბი ინტერნეშენელი" კრავს. ბაზრის ეს მოთამაშე ყველაზე ხანმოკლე "ნამსახურობის ნუსხას" ფლობს, რადგან "საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში" სამართავად სულ ერთი თვის წინ შევიდა. თუმცა, მისი მენეჯერის - ბრაიან ქრონლის ჭკუიდან გადასაყენებლად უკვე საკმარისი საფუძვლები არსებობს. სისტემაში ჯერ კიდევ გაუშინაურებელ ირლანდიელებს ვერაფრით გაუგიათ, რატომ ეკარგებათ თითქოს აღრიცხული ენერგია ისე, როგორც წყალი ქვიშაში. ასეთი რებუსები, რაც დრო გავა, მათ სულ უფრო მეტი შეხვდებათ. შესაბამისად, მათი წარმატებული საქმიანობა ისეთივე ძნელად წარმოსადგენია, როგორც სხვა უკვე ჩამოთვლილი უწყებების თუ კომპანიებისა. ასე რომ, "ი-ეს-ბი"-ც, ისევე როგორც სხვები, საუკეთესო შემთხვევაში ქართული ენერგოქელეხის რიგით მეინახედ დარჩება და მხოლოდ საკუთარ წილ შესანდობარს თუ მიითვლის.

## დასკვნის მაგიერ

ცხადია, ისეთი მსხვილი და მრავალპლანიანი დარგის ბედს, როგორიც ენერგეტიკაა, ცალკე აღებული კონკრეტული პირები თუ უწყებები არ წყვეტენ.

თუმცა, თავად სისტემის რეფორმას და მის გეზს, უპირატესად, სწორედ კონკრეტული პირები და მათი გუნდები განსაზღვრავენ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ქართულ ენერგოსისტემაში არც ერთი მოქმედი რგოლი არ იძლევა იმ ოპტიმიზმის საფუძველს, რომ ისინი დარგის რეფორმას თუ არ განახორციელებენ, დაიწყებენ მაინც.

ასე რომ, შეკითხვა, რატომ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს შუქი საჭირო დროს და საჭირო ოდენობით, ალბათ, სრულიად ზედმეტი ცნობისმოყვარეობის სფეროდან არის.


**ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ვაკანსიები**

სს "მინა" — [illegible] მინის ტარის ქარხანა (30 კმ თბილისიდან) იწვევს ახალგაზრდა და მოტივირებულ კანდიდატებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

**ინჟინერ მექანიკოსი**

ფუნქციები და ვალდებულებები:

- მანქანა-დანადგარების სწორი ექსპლუატაციის, ტიპიური ინსპექტირებისა და სარემონტო რეჟიმის უზრუნველყოფა;
- სათადარიგო ნაწილების, ხელსაწყოების, საჭირო ინსტრუმენტების შეძენაზე განაცხადების მომზადება, ინსტრუმენტების შენახვისა და ხმარებაზე კონტროლი
- ახალი მოწყობილობა-დანადგარების მონტაჟის სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის მიღება;
- დანადგარების დაზიანების და მოცვეთის მიზეზების გამოვლენა;
- საპოხ-საზეთი მასალების მეურნეობაზე ზედამხედველობა;
- სარემონტო-ტექნიკური განყოფილების თანამშრომლების ხელმძღვანელობა.

**მინის წარმოების ინჟინერ ტექნოლოგი**

ფუნქციები და ვალდებულებები:

- პროდუქციის წარმოებისათვის ტექნოლოგიური რეჟიმის და გეგმების შემუშავება.
- ძირითადი და დამხმარე მასალების მოხმარების ნორმირება და კონტროლი
- ტექნიკური ნორმების, ინსტრუქციებისა და პროდუქციის ხარისხის რუქების შედგენა, ტექნიკური დოკუმენტაციის განახლება;
- საამქროებისათვის ტექნიკური დავალებების მიცემა და შესრულებაზე კონტროლი;
- მასზე დაქვემდებარებული პერსონალის მართვა.

**ელექტრონული ტექნიკის ინჟინერი**

ფუნქციები და ვალდებულებები:

- საკონტროლო-საზომი, ავტომატური და ელექტრონული მოწყობილობების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა;
- გეგმიური და არაგეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოების აღრიცხვა და ანალიზი;
- სარემონტო სამუშაოების ხელმძღვანელობა;
- სათადარიგო ნაწილებისა და დამხმარე მასალების მოხმარების კონტროლი;
- მასზე დაქვემდებარებული პერსონალის მართვა.

**მოთხოვნები:**

1. უმაღლესი განათლება (შესაბამისი განხრით)
2. უპირატესობა მიენიჭება პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს.
3. სასურველია ინგლისური ან თურქული ენის ცოდნა.
4. კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა მომხმარებლის დონეზე
5. ასაკი - 30 წლამდე
6. მაღალორგანიზებულობა, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

**საკონტროლო საზომი ხელსაწყოების, ავტომატიკის და ელექტრონული ტექნიკის გამმართველი**

**მოთხოვნები:**

1. საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლება (შესაბამისი განხრით)
2. უპირატესობა მიენიჭება პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს.
3. ასაკი - 30 წლამდე
4. მაღალორგანიზებულობა, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

სტაბილურ ხელფასთან ერთად უზრუნველყოფილია უფასო კვება და საწარმოს კუთვნილი ტრანსპორტით მომსახურება მარშრუტით ქ. თბილისი [illegible] — [illegible].

სს "მინა" იწვევს ახალგაზრდა და მოტივირებულ კანდიდატებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

**მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის თანამშრომელი**

ფუნქციები და ვალდებულებები:

- როგორც მთლიანად ბაზრის, ასევე მისი ცალკეული სეგმენტების კვლევა
- პოტენციური კლიენტების გამოვლენა და მათთან კონტაქტის დამყარება
- პროდუქციის შეთავაზება, წინასწარი მოლაპარაკების წარმოება
- რეგულარული კონტაქტი კლიენტებთან, მიმდინარე სიტუაციის ანალიზი
- პერიოდულად წერილობითი ანგარიშების წარმოდგენა ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და ჩატარებული სამუშაოს შესახებ
- საექსპორტო ბაზრების შესწავლა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენებით, აგრეთვე პოტენციურ კლიენტებთან უშუალო კონტაქტის დამყარება
- როგორც შიდა, ასევე საექსპორტო გაყიდვების ორგანიზება, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და სხვა
- ბაზრის ცალკეულ სეგმენტზე ან კლიენტთა ცალკეულ ჯგუფზე მიმდინარე გაყიდვების კონტროლი და სამომავლო გაყიდვების პროგნოზირება
- წინადადებების შემუშავება სარეკლამო, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და მხარდაჭერის (ფრომოუშენ) მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ
- ხელმძღვანელობის დავალებით სხვადასხვა სამუშაოს შესრულება

**მოთხოვნები:**

უმაღლესი განათლება (მარკეტინგისა ან საფინანსო ეკონომიკური განხრით)

1. უპირატესობა მიენიჭება პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს.
2. სავალდებულოა რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ცოდნა; სასურველია თურქული ენის ცოდნა.
3. კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა (WINDOWS, MS OFFICE 2000, Word, excel, PowerPoin, Internet, Outlook)
4. ასაკი 22-დან 30 წლამდე
5. მაღალორგანიზებულობა, შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

თუ თქვენ თვლით რომ აკმაყოფილებთ ზემოთჩამოთვლილ მოთხოვნებს:
წარმოადგინეთ თქვენი რეზიუმე და რეკომენდაციები (სასწავლებლიდან დაწესებულებიდან ან წინა დამსაქმებლიდან) მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 37 მე-3 სართული ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე mina@mina.com.ge, ან ფაქსით 94-15-84

## არაბული რაკურსი

### სადამ ჰუსეინის ოჯახი სირიაში არ იმყოფება

სირიულმა და ერაყულმა წყაროებმა კატეგორიულად უარყვეს გავრცელებული ცნობები იმის თაობაზე, რომ სადამ ჰუსეინის ოჯახი და ახლობლები თავშესაფრის მოსაძებნად სირიაში გადავიდნენ. სირიის მთავრობის პასუხისმგებელ პირთა განცხადებით (რომელიც დღეს საუდის არაბეთის საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნდა) აღნიშნული ცნობები, როგორც ჩანს, ისრაელის სააგიტაციო სამსახურთან დაახლოებულმა წყაროებმა გაავრცელეს და ისინი რეგიონში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებაში სირიის ჩათრევას ისახავენ მიზნად.

სხვათა შორის, დღეს ერაყის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში აბას ხალაფმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ერაყის ლიდერი სადამ ჰუსეინი და მისი ოჯახის წევრები, რა ვითარებაც არ უნდა იყოს, სამშობლოს არასოდეს დატოვებენ.

*გაზეთი "ალ-აჰრამი",*
*ეგვიპტე*

### კოალიციის ჯარებმა მეჩეთი დაბომბეს

გუშინ ქალაქ ან-ნასირიაში გამაგრებულმა შეიარაღებულმა ერაყელებმა და ამერიკის ქვეითთა ორმა დივიზიამ, რომლებიც მდინარე ევფრატის დასავლეთ სანაპიროზე ქალაქ ან-ნასირიის პირდაპირ და ამ ქალაქის სამხრეთ ნაწილში არიან დაბანაკებულნი, ერთმანეთს რამდენჯერმე გაუხსნეს ცეცხლი.

ტელეკომპანია "ბი-ბი-სი"-ს სპეციალურმა კორესპონდენტმა, რომელიც თან ახლავს საოკუპაციო ჯარებს რეგიონში, აღნიშნა, რომ ან-ნასირიაში გამაგრებულმა ერაყულმა ძალებმა მდინარე ევფრატის აღმოსავლეთ სანაპიროზე დისლოცირებულ ამერიკელი ქვეითთა პოზიციების მისამართით ორგანიზებული შეტევა განახორციელეს, როდესაც ამ უკანასკნელებმა იმ საცხოვრებელი რაიონის ფართომასშტაბიანი დაბომბვები განაგრძეს, რომელიც მხარეთა შორის ერთკვირიანი უსასტიკესი ბრძოლების შემდეგ აგრესორთა ხელში გადავიდა.

სხვათა შორის, ღამეულ ვარსკვლავთა ნათების ფონზე შეუიარაღებელი თვალითაც კი შესანიშნავად ჩანდნენ ამერიკულ-ინგლისური "კობრას" ტიპის თვითმფრინავები, მათ ჭურვები ჩამოყარეს რამდენიმე საცხოვრებელი შენობის თავზე, რომლებშიაც მათი აზრით, მოწინააღმდეგეთა ნაწილები იყვნენ გამაგრებულნი. "ბი-ბი-სი"-ს მიმომხილველმა გუშინდელი შეტევა კვირის უსასტიკეს ბრძოლად შეაფასა. ამას გარდა, ამერიკელმა სამხედროებმა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი გაჩხრიკეს და თავიანთი ქმედება იარაღის საწყობების ძიებით გაამართლეს.

აღსანიშნავია, რომ კოალიციის ჯარებმა გასულ შაბათს ან-ნასირიაში მეჩეთი დაბომბეს მას შემდეგ, რაც ტაძარში გამაგრებულმა შეიარაღებულმა ერაყელებმა ცეცხლი გახსნეს. მეჩეთის დაბომბვა რამდენიმე აფეთქებით დაგვირგვინდა. ამერიკელთა შეფასებით, აღნიშნული მეჩეთი იარაღის საწყობად იყო გამოყენებული.

*გაზეთი "ალ-აჰრამი"*
*ეგვიპტე*

### ახალი დარტყმები ბაღდადზე

დღეს ერაყის დედაქალაქ ბაღდადისა და მისი გარეუბნების სასტიკი დაბომბვები გაგრძელდა. საინფორმაციო სააგენტო ალ-ჯაზირას სპეციალური კორესპონდენტი ბაღდადიდან იტყობინება, რომ გამაყრუებელი აფეთქებების ხმა ერაყის დედაქალაქის რამდენიმე რაიონში დილით ერთდროულად გაისმა. კოალიციის ჯარების უმთავრეს სამიზნეს ერაყის ინფორმაციის სამინისტროსა და ამ ქვეყნის ტელევიზიის შენობები წარმოადგენდნენ. თვითმხილველთა განცხადებით, ერაყის ტელევიზიის შენობის ნაწილი სერიოზულად დაზიანდა.

დღეს დილიდან, ერაყის ტელევიზიას შეწყვეტილი ჰქონდა მაუწყებლობა, თუმცა არავინ იცოდა, ეს ინფორმაციის სამინისტროს დაბომბვასთან იყო კავშირში, თუ სხვა რომელიმე უწყების დაზიანებასთან.

ალ-ჯაზირას კორესპონდენტის ცნობით, მოიერიშე თვითმფრინავებმა ამჯერად მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო ქსელები ამოიღეს მიზანში, რის შედეგადაც ბაღდადის რამდენიმე რაიონსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში სატელეფონო კავშირი მოიშალა.

ერთი თვითმხილველის თქმით, გუშინ ბაღდადის მახლობლად მდებარე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის დაბომბვისას, ოცი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, თერთმეტი ბავშვი დაიღუპა.

გვიან ღამიდან, იერიშები ერაყის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მოსულზე გრძელდებოდა. ამ ქალაქს, ომის დაწყების დღიდან, დაბომბვათა მესამე უძლიერესმა ტალღამ გადაუარა. თვითმხილველთა ინფორმაციით, რამდენიმე ძლიერი აფეთქების შემდეგ მთელი ქალაქი კვამლის სქელ ნისლში იყო გახვეული.

*ალ-ჯაზირა,*
*საუდის არაბეთი*

### ჰუსეინი სამუდამოდ დაიმალება

*მუჰამად შაირი, ეგვიპტელი ჟურნალისტი*

ავღანეთში ომის დაწყების წინ ამერიკის ადმინისტრაციამ ბინ ლადენის თავი უპირველეს სამიზნედ გამოაცხადა. ეს თერთმეტი სექტემბრის შემდეგ იყო... ავღანეთის ომის შემდეგ კი, ესე იგი, მას მერე, რაც შეერთებული შტატების სამხედრო- შეიარაღებულმა ძალებმა მსოფლიოს ამ რეგიონში მტკიცედ მოიკიდეს ფეხი, ბინ ლადენი გაუჩინარდა და მისი სახელი ოფიციალურ პირთა განცხადებებიდანაც ნელ-ნელა გაქრა. თითქოს, მთავარი მიზანი - მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის გაუჩინარება მიღწეულ იქნა და ვნებათაღელვაც მიყუჩდა.

მსგავსი ვითარებაა ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინთან დაკავშირებითაც. ამერიკელთა განცხადებებში მისი სახელი მუდმივად გაისმის. შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ამჟამინდელი ომის უმთავრეს მიზანს ამ კაცის ფიზიკური განადგურება წარმოადგენს, ერაყის პრეზიდენტი კი ამ დროს თავისი ქვეყნის სატელევიზიო კამერათა წინ მშვიდად პოზირებს, რათა ყველას დაუმტკიცოს, რომ - ჰოპლა, იგი ჯერ კიდევ ცოცხლობს! ამის მიუხედავად, მოვლენათა ლოგიკა გვკარნახობს, რომ, თუ ამერიკელები ერაყშიაც საბოლოოდ განმტკიცდნენ, სადამი საუკუნოდ დაიმალება და არა მხოლოდ ამერიკელთა განცხადებებიდან, არამედ პოლიტიკური რადარების ეკრანებიდანაც გაუჩინარდება, რათა თვალსა და ხელს შუა ბინ ლადენის ბედი გაიზიაროს.

ამ მოსაზრებას რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორის ანალიზი ამყარებს. თუ ომის წინა პერიოდში ერაყის პოლიტიკური პოზიციის გააზრებას შევეცდებით, ნათლად დავინახავთ, რომ სადამ ჰუსეინს ჯერ კიდევ მაშინ მოეძალა მღელვარე გრძნობები, როცა ალყა მის გარშემო ნელ-ნელა დავიწროვდა და ერაყის სახელგანთქმული "უძლეველი მეთაური" ქვეყანაში საერთაშორისო ექსპერტების შეშვებას დათანხმდა, მერე მან სამუდ-2-ის ტიპის რაკეტების ლიკვიდაციაზეც განაცხადა თანხმობა, მას შემდეგ, რაც გამოირკვა რომ, ამ რაკეტათა გავრცელების მანძილი გაერო-ს მიერ დადგენილ და დასაშვებ ნორმას აღემატებოდა. ბოლოს კი, ოფიციალურმა ბაღდადმა განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული ქიმიური იარაღი სრულად გაანადგურა.

მომხდარი მოვლენები ამტკიცებს, რომ სადამმა ყველა ღონე იხმარა, რათა ომის აჩრდილი თავისა და ქვეყნისათვის აეცილებინა, თუმცა ეს აჩრდილი საიდანღაც მაინც გამოტყვრა და ახლა რაღა რჩება, როგორ დაიცვას თავი ერაყის მეთაურმა?

როცა სადამ ჰუსეინი საპასუხო რეაქციაზე მუქარანარევი ტონით საუბრობდა, როგორც ჩანს, ომის დაწყებას მაინც არ ელოდა, რადგან მას მოწინააღმდეგის ყველა მოთხოვნაზე თავისებური პასუხი უკვე გაცემული ჰქონდა. ეს პასუხი მოვლენათა განვითარების ერთ სცენარში იყო ჩაწერილი. მეორე სცენარის მიხედვით კი, ომის დაწყების შემთხვევაში, სადამი საიმედოდ გადაიმალებოდა და მისი ადგილ-სამყოფელი არავის ეცოდინებოდა, მისი ვაჟის ქუსაის გარდა, რომელსაც ერაყის შეიარაღებული ძალების მეთაურობა დაევალებოდა. ამით ჰუსეინი დროებით მაინც შეინარჩუნებდა სიცოცხლეს და ომის პერიოდიც შეძლებისდაგვარად გაიწელებოდა. ეს ორი ფაქტორი კი ხელს შეუწყობდა ამერიკის წარუმატებლობას. სხვათა შორის, ამ სცენარის რეალურობის ალბათობას, ომის დაწყების შემდეგ, სადამ ჰუსეინის ეკრანებზე გამოჩენა სულაც არ ამცირებს. საქმე ისაა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, როდისაა ეს კადრები გადაღებული - წინათ თუ ახლა, გუშინ თუ დღეს.

*გაზეთი "ალ-აჰრამი"*
*ეგვიპტე*

*არაბულიდან თარგმნა გიორგი ლოგუანიძემ*

# ომში გამოცხადებული პაუზა სამხრეთ ერაყს არ ეხება

ლევან ღირსიაშვილი

ბაღდადზე შეტევის შეჩერების მიუხედავად, გუშინ, ერაყის დედაქალაქიდან სამხრეთით 80-100 კილომეტრის დაშორებით, ბრძოლები მაინც გრძელდებოდა. საომარი მოქმედებების ველიდან, სააგენტო "როიტერი" იუწყებოდა, რომ მოწინააღმდეგე ძალებს შორის გააფთრებული შეტაკებები არტილერიისა და მძიმე ტექნიკის გამოყენებით მიმდინარეობდა. დამკვირვებელთა აზრით, ბაღდადის სამხრეთში ბრძოლები, შესაძლოა, მოკავშირეთა სტრატეგიული მიზნით აიხსნას, რომელიც დედაქალაქის ალყაში მოქცევას ითვალისწინებს. ამის შემდეგ კი, კოალიცია ბაღდადზე შეტევას დროებით შეაჩერებს და აშშ-დან დამატებითი სამხედრო კონტინგენტის – 120 ათასი ჯარისკაცის ჩამოსვლას დაელოდება. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, გუშინდელ ბრძოლაში ორივე მხრიდან იყო მსხვერპლი. კოალიციის სარდლობა ერთი ამერიკელი ჯარისკაცის სიკვდილს ადასტურებს.

როგორც ჩანს, კოალიციის ხელმძღვანელები ბაღდადზე საჰაერო იერიშების ესკალაციას ახდენენ. გუშინ მთელი ღამის განმავლობაში მოკავშირეთა ავიაცია ინტენსიურად განაგრძობდა ბაღდადის შემოგარენის და სტრატეგიული წერტილების, ძირითადად, რესპუბლიკური გვარდიის პოზიციების დაბომბვას. შედეგად, ინფორმაციის სამინისტრო უკვე მთლიანად არის განადგურებული. ასევე ძლიერ დაზიანდა ჰუსეინის შვილის – ქუსაის სასახლე.




### ნასირია

აშშ-ს სამხედრო წარმომადგენლების ცნობით, ერაყის სამხრეთში ქალაქ ნასირიისაკენ კოალიციის დამატებითი ძალები მიემართებიან. ეს სწორედ ის ქალაქია, სადაც გააფთრებული ბრძოლები, უკვე კვირაზე მეტია, გრძელდება. ამასთანავე, "ბი-ბი-სი"-ს ინფორმაციით, ვიდრე მოკავშირეების 5 000-კაციანი შენაერთი ნასირიაში მყოფ ძალებს შეუერთდება, ქალაქში დისლოცირებულმა ამერიკულმა საზღვაო ქვეითებმა ბრძოლებში გარდატეხის შეტანა შეძლეს. მათ ნასირიის სიღრმეში შეღწევა და ევფრატზე კიდევ ერთი ხიდის აღება მოახერხეს. როგორც ცნობილია, ნასირიაში გამარჯვებას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამის შემდეგ, ბაღდადთან მიახლოებული ძალების ზურგის უზრუნველყოფა შესაძლებელი გახდება.

ნასირიაში შესულმა ამერიკულმა საზღვაო ქვეითმა ერაყელი სამხედროების საწვრთნელი ბანაკი აღმოაჩინა. "ბი-ბი-სი-"ს ცნობით, კოალიციის ჯარებმა ბანაკში დიდი რაოდენობით საარტილერიო ჭურვები, ნაღმსატყორცნები, ხელყუმბარები და საბრძოლო მასალები იპოვეს. აქვე ინახებოდა აირწინაღები და ინექციები, სავარუდოდ, შესაძლო ქიმიური შეტევისათვის. აშშ-ს საზღვაო ქვეითების კაპიტნის განცხადებით, ეს აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს.

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციამ ნასირიაში სრული კონტროლის დამყარება, ჯერჯერობით, ვერ მოახერხა, ქალაქის სიღრმეში შესულმა ამერიკულმა საზღვაო ქვეითმა ჰუმანიტარული მისიის განხორციელება უკვე დაიწყო. ისინი მოსახლეობას საკვებ პროდუქტებს, მედიკამენტებს და ტანსაცმელს ურიგებენ. ამით მოკავშირეები მშვიდობიანი მოქალაქეების გულის მოგებას ცდილობენ. ამერიკელი სამხედროები აღნიშავენ, რომ ნასირიის მოსახლეობა მათ მიმართ მკვეთრად ნეგატიურად არის განწყობილი.

მოკაშირეებს იმედი აქვთ, რომ დამხმარე ძალის მოსვლის შედეგად, ქალაქის მთლიანად გაკონტროლება ხელს შეუწყობს ჰუმანიტარული ტვირთის განაწილების გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობის მტრულ განწყობას გაანეიტრალებს.




*წუთშესვენება.*




*მორიგი საჰაერო იერიში იწყება.*

### კოალიციის წარმატებები

გუშინ დილით, ქალაქ ჰინდიაში აშშ-ს 64-სატანკო პოლკის მე-4 ბატალიონი შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ერაყელებმა მათ ნაღმტყორცნებით და ავტომატური იარაღით საგრძნობი წინააღმდეგობა გაუწიეს, შეიძლება ითქვას, რომ ეს ქალაქი უკვე კოალიციის ხელშია. ამჟამად, ჰინდიაში ქუჩის ლოკალური ბრძოლები და გამწმენდი ოპერაციები ხორციელდება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ამ ქალაქშიც უმკასრის ვარიანტი განხორციელდეს და ბრძოლები კვირეების მანძილზე გაგრძელდეს. როგორც იტყობინებოდნენ, ამერიკელებს რესპუბლიკური გვარდიის ერთ-ერთი ელიტარული ბრიგადის, "ნაბუქოდონოსორის" მებრძოლებმა გაუხსნეს ცეცხლი. ამ ბრიგადის ძირითადი დისლოკაციის ადგილი სადამის მშობლიური ქალაქი – ტიქრითია.

გარდა ამისა, გუშინვე, აშშ-ს 82-ე და 101 საჰაერო-სადესანტო დივიზიებმა და მე-3 ქვეითმა დივიზიამ ალყაში მოაქცია ქალაქი ნაჯაფი. ქალაქის მისადგომებთან მოკავშირეებმა 100-ზე მეტი ერაყელი გაანადგურეს.

### ბასრასთან ბრიტანელები 30-მა ერაყელმა შეაჩერა

გუშინ ბრიტანული ჯარების შეტევა სამხრეთის სტრატეგიულ ქალაქ ბასრაზე მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ჯერ კიდევ დილით იუწყებოდნენ, რომ ბასრას მისადგომებთან ბრიტანელებმა 30 ერაყელი მებრძოლი ჩაიგდეს ტყვედ და წარმატებით აგრძელებდნენ სვლას. თუმცა ამის შემდეგ, ბასრაში გამაგრებულმა ერაყის არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგეს ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს და ქალაქისკენ ბრიტანელების სვლა შეაჩერეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბი-ბი-სი-"ს ცნობით მოწინააღმდეგის შეჩერება სანგრებში გამაგრებულმა 30-მა ერაყელმა მოახერხა. ისინი შავ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი და ბრიტანულ ნაწილებს ნაღმტორცნებიდან უხსნიდნენ ცეცხლს. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბრიტანელებმა მათი წინააღმდეგობა დაძლიეს, რის შედეგადაც ერაყელებმა პოზიციები მიატოვეს და უკან დაიხიეს.

### რიცინი ერაყშიც გამოჩნდა

აშშ-ს არმიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ერაყში მოკავშირეები მიტოვებულ ბანაკს წააწყდნენ, სადაც ერაყელები მომწამლავ ნივთიერებებს, მათ შორის - რიცინს, აწარმოებდნენ. სამხედროების განმარტებით, ირანის საზღვართან ახლოს განლაგებული ბანაკი ისლამურ რადიკალურ დაჯგუფებას "ანსარ ალ-ისლამს" ეკუთვნოდა. ეს ორგანიზაცია, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მტკიცებით, "ალ-ქაიდასთან" მჭიდროდ თანამშრომლობს.

აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელის გენერალ რიჩარდ მაიერსის განცხადებით, ამერიკელმა სამხედროებმა და ქურთმა ფეშმარგებმა ავიაციის დახმარებით ბანაკში შეჭრა შეძლეს. დღეს მას მთლიანად კოალიციის ძალები აკონტროლებს. მაიერსის თქმით, ბანაკში მრავალი მიწისქვეშა გვირაბია გათხრილი. კოალიციის ძალებს ტერიტორიის სრულად გამოკვლევისათვის, სულ ცოტა, ერთი კვირა მაინც დასჭირდებათ. გენერალმა განაცხადა, რომ ბანაკში ნაპოვნი მოკლულ მებრძოლთა გვამები არც ერაყელებს და არც ირანელებს არ გვანან. ამერიკელები დარწმუნებულნი არიან, რომ ბანაკში "ალ-ქაიდას" მებრძოლები იყვნენ გამაგრებულები.

### შახიდების რაოდენობა იზრდება

გუშინ "ნიუ-იორკ ტაიმსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 23 არაბული ქვეყნიდან, უკვე 4 ათასმა მოხალისემ ერაყში ამერიკელების წინააღმდეგ თვითმკვლელური ტერაქტების განხორციელების სურვილი გამოთქვა. გაზეთის ცნობით, ამის თაობაზე ერაყის შეიარაღებული ძალების გენერალმა ჰაზიმ არ-რავიმ განაცხადა. მან თავის გამოსვლაში ახსენა ალი ჰამად ანნამანი - ჯარისკაცი, რომელმაც შაბათს ნაჯაფთან ახლოს თავი აიფეთქა და სამი ამერიკელის სიცოცხლეც შეიწირა. გენერალმა განაცხადა, რომ მის მაგალითს სულ მალე ათასობით ერაყელი და მოძმე მუსულმანი მიბაძავს. **"მათ დაიფიცეს, რომ არასდროს დაბრუნდებიან სამშობლოში და, მოწამეობრივი აქტის აღსრულების შედეგად, თავიანთ გვამებს ერაყში დატოვებენ. ჩვენი ვალია, ნებისმიერ ფასად მტერი ერაყიდან გავაძევოთ,"** - განაცხადა გენერალმა რავიმ.

ტერაქტიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ერაყელ კამიკაძეს სიკვდილის შემდეგ პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიანიჭა და მის ოჯახს 35 ათასი დოლარი გადასცა. სადამმა განაცხადა, რომ ერაყელების და სხვა არაბების ბატალიონები მზად არიან, მის მაგალითს მიბაძონ.

**"აშშ შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ერაყში, შესაძლოა, ტერაქტების ტალღა აგორდეს ამერიკის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, რომლებიც, მართალია, უფრო სრულყოფილ იარაღსა და ტექნოლოგიებს ფლობენ, მაგრამ ფანატიკოსების წინააღმდეგ უძლურნი არიან,"** - ნათქვამია "ნიუ-იორკ ტაიმსში."

# შეტევა ერაყზე: მეტისმეტად შორს, მეტისმეტად სწრაფად, მეტისმეტად მსუბუქად

პირველი გვერდიდან


REUTERS

*ერაყის მარშით გავლა არ გამოვიდა*

ძალების ნაკლებობამ ვაშინგტონში მწვავე დებატები გამოიწვია იმის თაობაზე, ვისი ბრალია ომისათვის არასათანადოდ მომზადება. კრიტიკოსთა პირველი სამიზნე აშშ-ს თავდაცვის მინისტრი, დონალდ რამსფელდი გახდა.

ერაყში განლაგებულ მოკავშირეთა ზოგიერთ ქვედანაყოფს განუცხადეს, რომ მათ მოცდა მოუწევთ, შესაძლოა - რამდენიმე კვირითაც კი. შეყოვნების მიზეზად ერაყელთა მხრიდან წინააღმდეგობა და მომარაგების ხაზების გაწელვა დასახელდა.

"ეს პაუზა არ ნიშნავს იმას, რომ საქმე ცუდადაა, – განაცხადა ჰოპკინსონმა, - მაგრამ აშკარაა, რომ ყველაფერი არც ისე კარგად მიდის, როგორც რამსფელდი იმედოვნებდა".

ამერიკული ქვეითთა მეოთხე დივიზია, რომელიც არმიის ყველაზე თანამედროვე დანაყოფს წარმოადგენს, ამჟამად კუვეიტისაკენ მიემართება, მაგრამ ბრძოლის ველზე ან ზურგის დასაცავად მის დისლოცირებას ორი კვირა მაინც დასჭირდება.

ზოგიერთი ქვედანაყოფი იძულებული გახდა, ფრონტის წინა ხაზიდან უკან დაეხია და იმ ქალაქებზე კონტროლის დასამყარებლად ჩაბმულიყო ბრძოლაში, რომლებიც მათ უკვე გაიარეს. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ერაყელები გამათავისუფლებლებს სიხარულით არ შეხვედრიან.

"აშკარაა, რომ ამერიკელები სერიოზულ გადაჯგუფებებს ახორციელებენ. მათ ახლა უწევთ იზრუნონ იმაზე, რასაც ადრე ყურადღება არ მიაქციეს," – ამბობს გერი "ცხადია, რომ ერაყელები მოკავშირეებს მნიშვნელოვან წინააღმდეგობას გაუწევენ".

ბრიტანელი სამხედრო ექსპერტი, ფილიპ მიჩელი აცხადებს, რომ არანაირი შეყოვნება არ ყოფილა და ეს ყველაფერი მედიის გამოგონილია.

"საჰაერო კამპანია გრძელდება, ნასირიასა და ნაჯაფის ირგვლივ აქტიური მოქმედება მიმდინარეობს. ალბათ, იყო რაღაც გადაჯგუფება, რათა მომარაგების გზები უკეთ ყოფილიყო დაცული, მაგრამ პაუზაზე საუბარი ზედმეტია," – ამბობს მიჩელი.

"დამატებითი ძალების გადასროლას ორი-სამი კვირა მაინც დასჭირდება. ის ძალები, რომლებიც უკვე დისლოცირებულია, შეტევის დაწყებას ამდენი ხნით ვერ გადადებენ".

ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება სარისკო საქმეა და საკმაო დრო სჭირდება. ასეულობით ამერიკელი საზღვაო ქვეითი ქალაქ ნასირიაში თითოეულ შენობას ამოწმებს, რათა მტრისაგან გაწმინდოს ქალაქი, რომელიც მოკავშირეებმა უკვე გაიარეს. ავიაციაც იძულებულია, უმეტესი დრო ზურგის გაწმენდას დაუთმოს.

ავიაციის მოქმედებას საგრძნობლად აფერხებს ის, რომ ძირითადი სამიზნეების შორიახლოს სამოქალაქო მოსახლეობა იმყოფება. იყო შემთხვევები, როდესაც მოკავშირეთა ჯარისკაცებს ცეცხლი საკუთარმა ავიაციამ გაუხსნა.

ავიაციამ კარგი გაკვეთილი ჯერ კიდევ იუგოსლავიაში მიიღო, როდესაც მან ვერ შეძლო კოსოვოში განლაგებული სერბული დანაყოფებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა. მაშინ ავიაციამ სულ რამდენიმე ტანკი გაანადგურა. სერბული ჯარების ძირითადმა ნაწილმა კოსოვოდან, პრაქტიკულად, ხელუხლებელმა დაიხია.

"ყველაზე იოლმა მეთოდმა არ იმუშავა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გეგმამ მარცხი განიცადა," – განაცხადა ბრიტანეთის სამხედრო კვლევების სამეფო ინსტიტუტის ექსპერტმა მაიკლ კოდნერმა.

"მაღალრისკიანი, მაგრამ მაღალშედეგიანი გეგმის გამოყენებას აზრი აქვს მაშინ, როდესაც გაქვს ალტერნატიული გეგმაც, რომელსაც შეგიძლია მიმართო, თუ პირველი, სარისკო გეგმა ჩავარდება. ამ პრობლემას ჩვენ კოსოვოშიც წავაწყდით. იმ შემთხვევისათვის, თუ საჰაერო კამპანია შედეგს არ გამოიღებდა, ჩვენ სახმელეთო ჯარები არ გვყავდა მზად," – განაცხადა კოდნერმა.

ერაყის რესპუბლიკური გვარდია მოკავშირეთა დაბომბვებს ბაღდადის ირგვლივ, სანგრებში ჩამჯდარი ხვდება. სანგრები და სხვა თავდაცვითი საშუალებები მას ჩვეულებრივი ბომბებისაგან იცავს. თუმცა, ამერიკას გაცილებით უფრო ძლიერი ბომბებიც აქვს, რომელსაც რესპუბლიკური გვარდიის პოზიციების განადგურება შეუძლია.

ჯერჯერობით, აშშ არ იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებას. იგი არ ანადგურებს ერაყში არსებულ ინფრასტრუქტურას.

ჯერ არავის უთქვამს, რომ ბაღდადის გადასარჩენად აუცილებელია მისი განადგურება, როგორც ამას ვიეტნამში ამბობდნენ. ამის გაკეთება ნიშნავს, რომ ბრძოლას ერაყელების გულებისათვის ამერიკელები საბოლოოდ წააგებენ.

"ყველაზე მოულოდნელი იყო ის, რომ ერაყელმა ხალხმა მოკავშირეების მხარე არ დაიკავა, – ამბობს ჰოპკინსონი – ამტკიცებდნენ, რომ ერაყის ქალაქების ქუჩებში ერაყელი ქალწულები ჩვენს ჯარისკაცებს ყვავილებით შეეგებებოდნენ. ეს არ მოხდა სამხრეთშიც კი."

"ეს, მითუმეტეს, არ მოხდება ბაღდადის სიახლოვეს," - დასძინა მან.

*როიტერი*

# ვირუსი „სარსი„ სწრაფად ვრცელდება


REUTERS

*ჰონგ-კონგში უსაფრთხოების უმკაცრეს ზომებს მიმართეს.*

მას შემდეგ, რაც მსოფლიომ პირველად შეიტყო ახალი ვირუსის "სარსის" (მწავე რესპირატორული სინდრომი) შესახებ, ამ ვირუსით უკვე 1500-ზე მეტი ადამიანი დაავადდა და 54 გარდაიცვალა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ საგანგებო გაფრთხილება დაავადების შესახებ ყველა ქვეყანაში გაავრცელა. ექიმები კვლავინდებურად აცხადებენ, რომ ვირუსის აგებულება და მისი წარმოშობა უცნობია. გუშინ პირველად გამოითქვა ვარაუდი, რომ ვირუსი, შესაძლოა, ცხოველური წარმოშობისა იყოს. მეორე მოსაზრებით, "სარსი" იმ ვირუსის მუტაციაა, რომელიც ჩვეულებრივ გაცივებას იწვევს. დაავადება მართლაც გაცივების სიმპტომებით იწყება.

დაავადების გავრცელების ეპიცენტრი ჰონგ-კონგია. "სარსის" პირველი შემთხვევა გასული წლის ნოემბერში სწორედ აქ დაფიქსირდა.

მართალია, ვირუსი უკვე გავრცელდა მსოფლიოს, სულ ცოტა, 15 ქვეყანაში, მის "ბუდედ" კვლავინდებურად ჩინეთი, უფრო ზუსტად ჰონგ-კონგი რჩება. დაავადების 213 შემთხვევა სწორედ ამ ქალაქის ერთ-ერთ უბანში, "ელოი გარდენში" დაფიქსირდა, მათი ნახევარი კი - მხოლოდ ერთ საცხოვრებელ კორპუსში.

ხელისუფლებამ ამ კორპუსს სანიტარული კორდონი შემოავლო და უმკაცრესი კარანტინი გამოაცხადა, თუმცა, მობინადრეთა უმრავლესობამ გაქცევა მაინც მოახერხა. მოსახლეობა შიშობს, რომ ვირუსი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს, მით უმეტეს, რომ ექიმებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს, რა გზით ხდება მისი გადაცემა.

"სარსი" პანიკას არა მხოლოდ ჩინეთში იწვევს. გუშინ არაერთი დასავლური გაზეთი გამოვიდა მოწოდებით - ჩინეთის მიმართულებით ყველა ავიარეისი გადაიდოს. ჩინეთის ხელისუფლებას ინფორმაციის გასაიდუმლოებაში ადანაშაულებენ, რაც ამ ვირუსის ბუნების შესწავლას ართულებს.

# ევროკავშირის სამხედრო დებიუტი


REUTERS

*ხავიერ სოლანა, ჯორჯ რობერტსონი და ბორის ტრაიკოვსკი.*

გუშინ ევროკავშირმა თავისი პირველი სამხედრო ოპერაცია დაიწყო. სამშვიდობო მისია მაკედონიაში, რომელსაც აქამდე ნატო ასრულებდა, ორშაბათიდან ევროკავშირმა აიღო თავის თავზე.

ოპერაცია "კონკორდია" მაკედონიაში სამასამდე მსუბუქად შეიარაღებული სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის განთავსებას გულისხმობს, რომლებიც ვითარებაზე დაკვირვებას მოახდენენ და, ალბანელებსა და მაკედონიელებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, მათ დაშორიშორებას შეეცდებიან.

ოპერაციაში ევროკავშირის წევრი და კანდიდატი 27 ქვეყნის ჯარისკაცები მიიღებენ მონაწილეობას, მას სათავეში ფრანგი გენერალი უდგას.

"კონკორდიას" დაწყების აღსანიშნავი საზეიმო ცერემონია გუშინ, მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში გაიმართა. "ეუფორ"-ის შტაბ-ბინაზე ევროკავშირის დროშა აღიმართა. მართალია, მისია თავისი მასშტაბებით საკმაოდ მცირეა, მაგრამ, ევროკავშირის წარმომადგენელთა განცხადებით, იგი გაცილებით უფრო მსხვილ და კომპლექსურ ოპერაციებს დაუდებს სათავეს.

"იმედია, რომ ჩემს ქვეყანაში ეს უკანასკნელი სამშვიდობო ოპერაცია იქნება," – განაცხადა საზეიმო ცერემონიალზე მაკედონიის პრემიერ-მინისტრმა.

"კონკორდიას" დაწყება იმის ნიშანიც იყო, რომ ბალკანეთის სტაბილიზაციისა და რეკონსტრუქციის ამოცანას ევროკავშირი თანდათანობით საკუთარ თავზე იღებს. 2004 წელს ევროკავშირს გადაეცემა ბოსნიის სამშვიდობო ოპერაციაც, რომელიც გაცილებით უფრო მასშტაბურია. ნახევარკუნძულზე ათი წლის მანძილზე მიმდინარე სისხლისმღვრელი ომების დროს, ევროკავშირმა, სამხედრო თვალსაზრისით, სრული არაკომპეტენტურობა გამოავლინა. ამის შედეგად, კონფლიქტების ჩახშობა ამერიკელებს მოუწიათ. ბალკანეთის ფიასკოს შემდეგ ევროკავშირში სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის იდეა გაჩნდა. ეს ინიციატივა, ევროპული 60-ათასიანი კორპუსის შექმნას გულისხმობს, რომელსაც შეეძლება, სამშვიდობო ოპერაცია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში განახორციელოს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს დამოუკიდებელი სამხედრო კომპონენტის შექმნა სურს, "კონკორდია" ნატო-ს გარეშე მაინც არ განხორციელებულა. მთელი სამხედრო ოპერაცია ნატო-ს შტაბ-ბინაში დაიგეგმა და მას საერთო ხელმძღვანელობას ნატო-ს გენერალი, გერმანელი რაინერ ფაისტი უწევს.

მაკედონიაში შეიარაღებული კონფლიქტი 2001 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ალბანელებმა მეტი უფლებები მოითხოვეს. ორმილიონიან ქვეყანაში ალბანელები მოსახლეობის მესამედს შეადგენენ. კონფლიქტი სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა. შეთანხმება, რომელიც დასავლეთის შუამავლობით შედგა, ქვეყნის კონსტიტუციის შეცვლას, ალბანელებისათვის მეტი უფლებების მიცემას და ყოფილი პარტიზანების ამინისტირებას ითვალისწინებდა. პარტიზანებიდან იარაღის ამოღების ოპერაცია მაშინ ნატო-მ განახორციელა.

შეთანხმების შემდეგ, პარტიზანების ნაწილი პოლიტიკოსი გახდა და დღეს ისინი, მაკედონურ პარტიასთან ერთად, ქვეყნის მმართველ კოალიციას შეადგენენ, მეორე ნაწილმა კი იარაღის დაყრაზე უარი განაცხადა. მათ კოსოვოდან გამოქცეული ალბანელები შეუერთდნენ. ახლა ისინი აცხადებენ, რომ პოლიტიკური მიზნებისათვის იბრძვიან, თუმცა მოსახლეობის უმეტესობა მათ ჩვეულებრივ ყაჩაღებად მიიჩნევს. შეიარაღებული ბანდები განსაკუთრებით აქტიურად ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მოქმედებენ. ქვეყნის ამ ნაწილის მოსახლეობა მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს.

ევროკავშირის სამშვიდობო მისია დასავლეთ მაკედონიაში იმოქმედებს. მცირე ჯგუფები, 4 კაცის შემადგენლობით, და უფრო დიდი რაზმები 8 კაცის შემადგენლობით ტერიტორიის პატრულირებას განახორციელებენ. საჭიროების შემთხვევაში, ისინი დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორებასაც შეეცდებიან.

*როიტერი,*
*ასოშეიტედ პრესი*

# რისი ეშინიათ ერაყის მეზობლებს

რეზო ბახტაძე

ერაყში საბრძოლო მოქმედებები, თითქმის ორი კვირაა, რაც მიმდინარეობს, მაგრამ ომს მისი მეზობლებისათვის ის საშინელი შედეგები ჯერჯერობით არ მოუტანია, რომლის შესახებ თავად რეგიონის სახელმწიფოები და დასავლელი ექსპერტები ლაპარაკობდნენ. ქუვეითის გარდა, ერაყს არც ერთ მათგანზე არ მიუტანია იერიში და მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება ვერც მისთვის შეძლო. რაც შეეხება ერაყელი ლტოლვილების უზარმაზარ ნაკადს, არც ეს პროგნოზი გამართლდა და ერაყელები მეზობელ ქვეყნებს არ მიწყდომიან. რეგიონში მხოლოდ მრავალათასიანი მიტინგები იმართება, რაც ავტორიტარული მმართველების შეშფოთებას იწვევს, რადგან ბევრი მათგანი ამერიკას ღიად ან ფარულად მხარს უჭერს.

უკანასკნელი სამი-ოთხი დღის განმავლობაში რეგიონში ომის გავრცელების შიში კვლავ გაჩნდა. ცოტა ხნის წინ აშშ-ს თავდაცვის მიისტრმა დონალდ რამსფელდმა ირანი საგანგებოდ გააფრთხილა, რომ ერაყის ომში არ ჩაერთოს. მოგვიანებით, რამსფელდმა სირიას მოუწოდა, რომ დამასკომ ერაყში იარაღის ექსპორტი შეწყვიტოს. "ჩვენ იარაღით ამგვარ ვაჭრობას მტრულ ნაბიჯად განვიხილავთ და სირიის მთავრობას პასუხს ვაგებინებთ", - დასძინა რამსფელდმა. სირიის მისამართით აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის განცხადებამ რეგიონში მღელვარება კიდევ უფრო გააძლიერა. რამსფელდის მსგავსად, დამასკო იარაღით ვაჭრობაში პაუელმაც დაადანაშაულა. "სირია... ახლა კრიტიკული არჩევანის წინაშე დგას", - ხაზგასმით აღნიშნა მან.

ირანისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა მმართველებმა რამდენჯერმე განაცხადეს, რომ ერაყში ომის შეწყვეტა სურთ, მაგრამ ამერიკა, ფაქტობრივად, არც ერთ მათგანს განსაკუთრებული სიმწვავით არ გაუკრიტიკებია. გაცილებით რადიკალური სტატიები იბეჭდებოდა არაბულ პრესაში, სადაც მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის ამსახველი სურათები კიდევ უფრო აძლიერებდა არაბებისა და ირანელების რისხვას, ერთი მხრივ, ომის და, მეორე მხრივ, თავიანთი მთავრობების მიმართ, რომლებმაც უფრო ხისტი პოზიცია არ დაიკავეს.

ქვეყანაში მიმდინარე მასობრივი დემონსტრაციების ალსაკვეთად, ეგვიპტემ უშიშროების ძალები გამოიყენა, ირანის მთავრობამ კი მიიჩნია, რომ საუკეთესო ტაქტიკა საპროტესტო აქციების სათავეში ჩადგომა იყო. ირანის ელიტა ვარაუდობს, რომ ამგვარი მოქმედებით ვითარებას უფრო იოლად გააკონტროლებს და საპროტესტო გამოსვლების ხელისუფლების წინააღმდეგ შემოტრიალებას არ დაუშვებს. ირანის ლიდერები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ისინი "აქტიური ნეიტრალიტეტის" პოლიტიკას აწარმოებენ "დიდი სატანის" – ამერიკის და სადამის მიმართ, რომელმაც 1980-1988 წლებში ირანის წინააღმდეგ ხანგრძლივი და სისხლიანი ომი წამოიწყო.

რეგიონის ლიდერებს რამდენიმე საკითხი აღელვებთ: 1. *რომელი რეჟიმის შეცვლის ჯერი დადგება ჰუსეინის შემდეგ?* ერაყის მეზობლები შიშობენ, რომ სადამთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, ამერიკის მომდევნო სამიზნეები, შესაძლოა, ისინი აღმოჩნდნენ. რამსფელდისა და პაუელის განცხადებებმა ამგვარი მოლოდინი კიდევ უფრო გაზარდა. ირანი ისედაც "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორისაა. ამას გარდა, ვაშინგტონი ეჭვობს, რომ თეირანი შიიტი ერაყელების პარტიზანულ მოძრაობას ეხმარება და ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობს. სირიამ და საუდის არაბეთმა 1991 წლის ომში ერთხმად დაუჭირეს მხარი ამერიკას, მაგრამ ამერიკა ეჭვობს, რომ ორივე სახელმწიფო საერთაშორისო ტერორიზმს აფინანსებს. ამდენად, ამ ქვეყნის მმართველების აზრით, ჯორჯ ბუშის "შავ სიაში" ისინიც არიან მოხვედრილები.

ომის შედეგად ჩამოყალიბებული *დემოკრატიული, პროამერიკული ერაყი,* სავარაუდოდ, რეგიონის სახელმწიფოების საზოგადოებებს მეტი სამოქალაქო უფლებების მოთხოვნის საბაბს მისცემს. ირანს ამჟამად პროდასავლური, მინიმალური დემოკრატიული მმართველობის მქონე ავღანეთი და ვაშინგტონის მოკავშირე თურქეთი ესაზღვრება. ერაყის გადემოკრატიულობის შემთხვევაში კი ირანი პროამერიკული რეჟიმებით გარშემორტყმული აღმოჩნდება. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება სირიაც. მართალია, ამჟამად მიმდინარე საპროტესტო აქციები ამერიკის წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ სადამის ჩამოგდების შემდეგ, არსებული კორუფციის, რეპრესიებისა და არაკომპეტენტურობის გამო, მოსახლეობა, შესაძლოა, საკუთარი მთავრობების წინააღმდეგ შეტრიალდეს.

ამის საპირისპირო სცენარის თანახმად, ახლო აღმოსავლეთში, შესაძლოა, ისლამური ფუნდამენტალიზმი აღზევდეს, რომელიც რეგიონის მთავრობებს ამერიკის მონურ მორჩილებაში დასდებს ბრალს. სირიის ლიდერმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ ახლა ამერიკის მტრობა ძალზე სახიფათოა, მისი მეგობრობა კი, შეიძლება, ფატალურიც აღმოჩნდეს. იორდანია ამერიკული დახმარების ერთ-ერთი უმსხვილესი მიმღებია და 6000 ამერიკელ ჯარისკაცსაც მასპინძლობს. საპროტესტო გამოსვლებმა ქვეყნის მონარქი აბდულა აიძულა, რომ ხალხისთვის ეთქვა, თითქოს, მათ შეხედულებებს ისიც იზიარებს.

პრობლემურმა უმცირესობებმა, შესაძლოა, ომის დროს რეგიონის მმართველებს სირთულეები შეუქმნან. რამდენიმემილიონიანი ქურთული უმცირესობების გარდა, რომლებიც თურქეთში, სირიასა და ირანში ცხოვრობენ, და შეიძლება, დამოუკიდებლობა გამოაცხადონ, რეგიონში მრავლად არიან შიიტი არაბები, რომლებიც სუნიტების მმართველობის ქვეშ ცხოვრობენ, მაგალითად - საუდის არაბეთში, ბაჰრეინსა და ქუვეითში. მათ, შესაძლოა, ფართო უფლებები მოითხოვონ, თუ სადამის ჩამოგდების შემდეგ ერაყში შიიტები გაიმარჯვებენ.

ომის შედეგად რეგიონში ეკონომიკური ზდის შენელების საფრთხეც აღელვებთ. ერაყის მეზობელთა უმრავლესობას, ამ თვალსაზრისით, პრობლემები უკვე აქვს. ერაყში ომის დაწყებამდე რეგიონის ზოგიერთი ქვეყანა სწორედ ერაყული იაფი ნავთობის მომხმარებელი იყო. ამას გარდა, ბევრ სახელმწიფოში ეკონომიკური კრიზისი, დიდი ხანია, დაიწყო. მათი ერთადერთი დონორი მხოლოდ ვაშინგტონი შეიძლება იყოს. ამერიკელთა მიერ გაწეული დახმარება კი სწორედ ვაშინგტონზე დამოკიდებულებას გულისხმობს, რაც რეგიონის ელიტებს მოსვენებას არ აძლევს.

სადამმა მეზობლებზე იერიში შეიძლება კვლავ მიიტანოს. მართალია, სადამს 1991 წლის ომის მსგავსად, "სკადის" ტიპის რაკეტები ჯერ არ გამოუყენებია, მაგრამ მეზობელი სახელმწიფოები დაბომბვას მაინც ელოდებიან.

დღემდე ერაყელ ლტოლვილთა ნაკადი არ დაძრულა, მაგრამ, თუ ომი გაგრძელდა ან მოკავშირეებმა საომარი ტაქტიკა შეცვალეს და მასობრივ დაბომბვაზე გადავიდნენ, მაშინ 1991 წლის მსგავსად, ერაყის მეზობლებს უზარმაზარი პრობლემები შეექმნებათ - დაიწყება ჰუმანიტარული კრიზისი, რაც რეგიონის სახელმწიფოთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას მკვეთრად გააუარესებს.

## საკრებულოს შენახვა დედაქალაქის ბიუჯეტს ძვირი უჯდება

თბილისის მეორე მოწვევის საკრებულოს შენახვა დედაქალაქის ბიუჯეტს უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე პირველი მოწვევის საკრებულოსი. წინა მოწვევის საკრებულოს შტატში 52 ადამიანი იყო, წლეულს კი 62-ია. საკრებულოს წლეულს ხელშეკრულებით 67 სპეციალისტი ჰყავს აყვანილი, ხოლო წინა მოწვევის საკრებულოში 54 იყო.

გარდა ამისა, მეორე მოწვევის საკრებულოში 6 მუდმივმოქმედი და 9 დროებითი კომისიაა.

ერთ-ერთ სხდომაზე საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელმა რომან გოცირიძემ თვითმმართველობის ორგანოში ასეთი მრავალრიცხოვანი დროებითი კომისიების შექმნა გააპროტესტა და „დროებითი კომისიების არათავმჯდომარეთა კომისიის“ შექმნის ინიციატივითაც გამოვიდა.

საკრებულოს ოთახების რემონტისთვის ბიუჯეტიდან 300 ათას ლარამდე დაიხარჯა. ამ მოწვევის საკრებულოს სამივლინებო ხარჯებმა 3 თვეში 9353 ლარი შეადგინა, შარშან კი - 5 თვეში სამივლინებო ხარჯები 6115 ლარი იყო.

ახალი მოწვევის საკრებულოს აპარატში სულ 129 საშტატო ერთეულია, ხოლო მერის აპარატში - 111.

*მედია-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** "ეი-ი-ეს თელასი" 2 აპრილიდან უმრიცხველო აბონენტებისთვის ელექტრომომარაგების შეწყვეტას გეგმავს. კომპანიის გენერალური დირექტორის იგნასიო ირიბარენის განცხადებით, "ეი-ი-ეს"-მა არაერთხელ მიმართა სემეკ-ს ამ ტიპის აბონენტთათვის მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე, თუმცა - უშედეგოდ. ამასობაში სემეკ-ის წევრი დემურ ჩომახიძე აცხადებს, რომ ამით "ეი-ი-ეს თელასი" კონსტიტუციას დაარღვევს. "საკონსტიტუციო სასამართლომ უმრიცხველო აბონენტებისთვის დაწესებული ფიქსირებული გადასახადი სამი თვის წინ გააუქმა. ამასობაში "ეი-ი-ეს თელასს" შეეძლო, ეზრუნა დარჩენილი 30 ათასი აბონენტის გამრიცხველიანებაზე," – მიიჩნევს იგი. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი“ დროებითი სქემით ჩაირთო. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, რომ გრძელდება მუშაობა დაზიანებული ხაზის აღდგენაზე, რომელიც, სავარაუდოდ, ორ დღეში დასრულდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 12 აპრილს საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის ანგარიშის წარსადგენად ვაშინგტონში გაემგზავრება საქართველოს ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი. 12-13 აპრილს დაგეგმილ შეხვედრებზე განიხილება მისიის ბოლო მემორანდუმით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა და გადაწყდება, გააგრძელებს თუ არა ფონდი თავის პროგრამას საქართველოში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკავშირმა "ტასის"-ის პროგრამის ფარგლებში საქართველოს 28 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოუყო. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტს ევროკავშირში საქართველოს ელჩმა კოტე ზალდასტანიშვილმა აცნობა. წელს გამოყოფილი თანხა შარშანდელ დახმარებას 40 პროცენტით აღემატება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს ინფორმაციით, ელქტრომომარაგების შეფერხება ს/ს "ფეროში" დღეში 50-60 ათასი დოლარის, ხოლო ს/ს "ჭიათურმანგანუმში" - 15-18 ათასი დოლარის ზარალს იწვევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთის საზღვაო პორტში გრძელდება განაცხადების მიღება მე-3/4, მე-5 და მე-8 ტერმინალების იჯარაზე. 10 აპრილს სატენდერო კომისია გამოავლენს გამარჯვებულებს. ისინი 10 წლის ვადით ტერმინალების იჯარით აღების უფლებას მიიღებენ, ხოლო ტენდერის შედეგები 13 მაისს გამოცხადდება. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეწარმეთა პოლიტიკური გაერთიანება აღმასრულებელ ხელისუფლებას სთავაზობს შიდა ვალის სახელმწიფო ქონებით გასტუმრებას. როგორც გაერთიანების თავმჯდომარემ ბონდო ზარნაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მეწარმეები ეკონომიკურად დაზარალებული მოქალაქეებისთვის საკომპენსაციო ფონდის შექმნას აპირებენ, რომლის საწესდებო კაპიტალიც მთავრობის მიერ ფონდისთვის გაღებული სახელმწიფო საწარმოთა აქციებით შეივსება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საბაჟო კოდექსში ცვლილებები. აღნიშნული ცვლილებები ითვალისწინებს იმპორტირებულ საქონელზე დარიცხული საბაჟო გადასახადის ეროვნული ბანკის ანგარიშიდან ხაზინის ანგარიშზე გადარიცხვის აკრძალვას მანამ, სანამ საქონელი რეალურად არ გადმოკვეთს სახელმწიფო საზღვარს. **კავკას-პრესი**

სპს „დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე"
სამართლებრივი, საფინანსო და მართვის კონსულტაციები

ტელ.: 552151
ფაქსი.: 552101
ელ-ფოსტა: office@dvnk.ge
www.dvnk.ge

## მონიტორინგი

### პროგნოზები თვალისასახვევად

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ სახელმწიფო და ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზები შემცირებულია 9 მილიონი ლარით. შემცირდა არასაგადასახადო შემოსავლების პირველი კვარტლის პროგნოზი. ამის გამო გაუმჯობესდა შემოსავლების პროგნოზების შესრულების მაჩვენებელი. ბუნებრივია, ეს გაკეთდა შემოსავლების გეგმის უკეთ შესრულების მიზნით.

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**

ოპერატიული ინფორმაცია 31 მარტისთვის

მლნ. ლარებში

| დასახელება | წლის დავალება | კვარტლის დავალება | შესრულება | % წლის დავალებასთან | % კვარტლის დავალებასთან |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები | 1127.4 | 243.46 | 187.16 | 17% | 77% |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 833.7 | 177.38 | 132.90 | 16% | 75% |
| საგადასახადო შემოსავლები | 659.9 | 151.98 | 119.6 | 18% | 79% |
| არასაგადასახადო შემოსავლები | 78.4 | 26.7 | 6.36 | 8% | 24% |
| გრანტები | 95.4 | 7.7 | 6.95 | 7% | 90% |
| სოციალური ფონდი | 244.2 | 53.84 | 46.31 | 19% | 86% |
| საგზაო ფონდი | 49.5 | 12.23 | 7.94 | 16% | 65% |
| [illegible] | 239.8 | 75.17 | 52.35 | 22% | 70% |
| [illegible] | 8.5 | 2 | 1.96 | 23% | 98% |
| [illegible] | 22 | 13.5 | 8.43 | 38% | 62% |
| [illegible] | 40 | 27.24 | 19.51 | 49% | 72% |
| [illegible] | | 0 | 12.2 | | |
| [illegible] | 41.5 | 4.43 | 3.32 | 8% | 75% |
| [illegible] | 127.8 | 28 | 6.93 | 5% | 25% |

| დასახელება | წლის დავალება | კვარტლის დავალება | შესრულება | % წლის დავალებასთან | % კვარტლის დავალებასთან |
|---|---|---|---|---|---|
| საგადასახადო დეპარტამენტის | 511.7 | 122.95 | 108.28 | 21% | 88% |
| საბაჟო დეპარტამენტის | 389.1 | 89.86 | 60.61 | 16% | 67% |

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 26 მარტი - 1 აპრილის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UKJ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.6353 | 0.6852 | 0.0053 |
| US$ | 1.5741 | | 1.0784 | 0.0083 |
| Euro | 1.4587 | 0.9273 | | 0.0077 |
| Yen | 188.63 | 119.84 | 129.24 | |

**2003 წლის 1 აპრილიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3008 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3377 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5600 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1200 ლარი |
| თურქული ლირა | 10 | 1.2456 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0676 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4320 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3592 ლარი |
| უკრაინული გრივნა. | 10 | 3.9741 ლარი |

# „ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზს“ ორი კვირა მისცეს

სოფო კვინტრაძე

*"ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზმა" უკვე ოფიციალურად მიიღო შეტყობინება სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციისაგან რეისების განხორციელების ნებართვის ორი კვირით (15 აპრილამდე) გაგრძელების შესახებ. ამას გარდა, "ბრითიშ ეარვეიზის" ფრანჩიზული პარტნიორისაგან მოითხოვენ რეისების რაოდენობის შემცირებასაც. ამ კვირაში ავიაკომპანიას ოთხშაბათისა და ხუთშაბათის, ხოლო მომავალ კვირაში ორშაბათისა და სამშაბათის რეისების გაუქმება მოუწევს. "ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზის" წარმომადგენელი აცხადებს, რომ ორი კვირის ვადა ძალიან მცირეა შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*რიჩარდ კანი პრობლემების მოგვარებას შეეცდება.*

საქართველოს პარლამენტმა არ შეცვალა 27 თებერვლის დადგენილება და ბრიტანულ ავიაკომპანიას რეისების განხორციელების ნებართვა არ გაუგრძელა. "ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზს" მხოლოდ ორი კვირის ვადა მიეცა, რათა ქართულ მხარესთან შქმნილი პრობლემები მოაგვაროს. როგორც ცნობილია, საგადასახადო დეპარტამენტი ავიაკომპანიას გადასახადების დამალვაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ "ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზს" 13 მილიონი ლარი მართებს სახელმწიფოსი. აღნიშნულთან დაკავშირებით პირველი კომენტარი ავიაკომპანიის მარკეტინგისა და გაყიდვების გენერალურმა მენეჯერმა რიჩარდ კანმა "24 საათთან" გააკეთა. ბატონი კანი უარყოფს საგადასახადო დავალიანების არსებობას და აცხადებს, რომ "ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზი" ყველა ქვეყანაში (მათ შორის – საქართველოშიც) გადასახადებს კანონმდებლობის თანახმად იხდის. **"ჩვენ მსოფლიოს 12 ქვეყანაში ვახორციელებთ ფრენებს და მსგავსი პრობლემები არსად გვქონია"** – აცხადებს რიჩარდ კანი და საქართველოში შექმნილ სიტუაციას გაუგებრობას უწოდებს.

როგორც ცნობილია, ქართული მხარე ბრიტანული ავიაკომპანიისაგან ნორმატიული აქტების წესრიგში მოყვანას მოითხოვს. საქმე ეხება ბრიტანეთსა და საქართველოს შორის "საავიაციო გადაზიდვების შესახებ" დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც მხოლოდ პარაფირებულია და პარლამენტის მიერ რატიფიცირებული არ არის. რიჩარდ კანი კი აცხადებს, რომ ხელშეკრულება ორი ქვეყნის მთავრობის მიერაა ხელმოჭრილი, რაც ბრიტანული მხარისათვის ამ დოკუმენტის ძალაში შესვლას ნიშნავს. **"ეს არის ის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლითაც 1994 წლიდან რეგულირდება ბრიტანული ავიაკომპანიის საქმიანობა საქართველოში,"** – ამბობს ბატონი კანი. "ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზის" წარმომადგენლის თქმით, ამ ხელშეკრულებაში არსად არის ნათქვამი, რომ ბრიტანულმა კომპანიამ ქართულ ფლაგმან ავიაკომპანიას საკომპენსაციო თანხა უნდა გადაუხადოს. როგორც ცნობილია, ქართული მხარე კომპანიისაგან კომერციული ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვს, რომლის მიხედვითაც, "ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზმა" "აირზენას" საკომპენსაციო თანხა უნდა გადაუხადოს, რადგან იგი საქართველოს საავიაციო ბაზარს ცალმხრივად ითვისებს. რიჩარდ კანი აცხადებს, რომ ამგვარი გარიგება კომერციულად წამგებიანია კომპანიისათვის, რომელიც იმავე სიდიდისაა, როგორც "აირზენა" და ამიტომ გაუძნელდება ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს მეორე კომპანიას. ამას გარდა, არც ერთი ავიაკომპანია არ შემოვიდოდა ქვეყანაში, სადაც მას მსგავს მოთხოვნებს წაუყენებდნენ.

"ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზის" მარკეტინგისა და გაყიდვების მენეჯერი რიჩარდ კანი აცხადებს, რომ დარჩენილ ორ კვირაში კომპანია მაქსიმუმს გააკეთებს, რათა პრობლემები მოგვარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ავიაკომპანია იძულებული გახდება, ფრენები შეწყვიტოს, რადგან "ბრითიშ მედითერანეან ეარვეიზს" ულიცენზიოდ ფრენა არ სურს.

# „ლუკოილი“ ირანთან მჭიდრო კავშირებს ამყარებს

*რუსეთის ნავთობგიგანტი "ლუკოილი" ირანული ბაზრის ათვისებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. კომპანიამ თეირანთან "შავი ოქროს" გრძელვადიანი მიწოდების თაობაზე ეს-ეს არის წინასწარ შეთანხმებას მიაღწია. ამას წინ უძღოდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარიგება, რომლის მიხედვითაც "ლუკოილი" დღეში 45 ათას ბარელს მიაწვდის ირანს. ეს უკანასკნელი პროექტი ჩინური კომპანიების მეთვალყურეობით ხორციელდება და იგი 167 მილიონ დოლარადაა შეფასებული. ნავთობი თეირანსა და თავრიზში გადამუშავდება.*

თორნიკე შარაშენიძე

რაც შეეხება ახალ შეთანხმებას, იგი "ლუკოილსა" და ირანის ეროვნულ ნავთობკომპანიას შორის უნდა გაფორმდეს და ამ შეთანხმების მიხედვით, რუსული გიგანტი "ბოროტების ღერძის" ერთ-ერთ წარმომადგენელს ყოველწლიურად ერთ მილიონ ბარელ ნავთობს მიაწვდის. რუსული კომპანიის პრეზიდენტი დიმირ დოლგოვი აცხადებს, რომ მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ "ლუკოილი" ნავთობის მიწოდებისათვის უკვე მზადაა. "შავი ოქრო" ასტრახანიდან და ვოლგოგრადიდან ირანის ჩრდილო რეგიონებში, კერძოდ კი, კასპიის პორტ ნექაში გადაიზიდება, იქიდან კი ნექასარის ნავთობსადენით გადაიქაჩება. ეს ნავთობსადენი შარშან ჩინური კომპანიების "ჩაინა პეტროლიუმისა" და "ჩაინა პეტროლიუმ ენდ ქემიქალის" თაოსნობით აიგო. ირანელთა განცხადებით, ნავთობსადენის გამტარობა დღეში 500 ათას ბარელს შეადგენს. ნექა-სარის ამოქმედება პირველი ნაბიჯია სამფაზიან პროექტში, რომლის მეშვეობითაც ირანი კასპიური ნავთობის საფუძვლიან ათვისებას და ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ინფრასტრუქტურის გაფართოებას გეგმავს. ახლა გეგმაშია დღეში 115 ათას-ბარელიანი გამტარობის ნავთობსადენის მშენებლობა, რომელიც სარის ვერესკთან დააკავშირებს. ეს უკანასკნელი კი დღეში 270 ათას-ბარელიანი მილსადენით რეის უნდა დაუკავშირდეს.

"ლუკოილმა" გასული წლის ნოემბერში უკვე განახორციელა პირველი მიწოდება, რომლის მოცულობამაც 30 ათასი ტონა შეადგინა. ახლა კომპანია ირანს ყოველთვიურად 100 ათას ტონას აწვდის. "ლუკოილის" გამოთვლებით, წელს მიწოდებებმა ერთი მილიონი ტონა უნდა შეადგინოს. კომპანიის ხელმძღვანელთა შეფასებით, ეს "ისტორიული" გარღვევაა კასპიურ ბაზარზე, სადაც რუსეთს ყაზახეთი და თურქმენეთი დიდ კონკურენციას უწევენ. კონკურენცია გასული წლის აპრილში გამძაფრდა, როცა ირანის პრეზიდენტმა მუჰამედ ხათამიმ, ყაზახეთიდან თურქმენეთის გავლით, ირანისკენ ნავთობსადენის მშენებლობის თაობაზე სერიოზული მსჯელობა წამოიწყო. ეს პროექტი 1,2 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. თუკი რუსეთი ამ პროექტს მიღმა დარჩება, ნავთობსადენის სიგრძე, დაახლოებით, 1500 კილომეტრს შეადგენს, აქედან 700 კილომეტრი ყაზახეთზე მოვა, 240 - თურქმენეთზე, 500 კი – ირანზე.

# სიგარეტისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელის რეკლამა იკრძალება

სოფო კვინტრაძე

დღეიდან ძალაში შედის ცვლილება საქართველოს კანონში რეკლამის შესახებ, რომელიც ტელევიზიითა და რადიოთი სიგარეტისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელის რეკლამას კრძალავს. როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა არმაზ თავაძემ განმარტა, აკრძალვა არ შეეხება ღვინის, შამპანურისა და ლუდის რეკლამას. ასევე, ჯერჯერობით, ისევ ნებადართულია სიგარეტისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების რეკლამა გაზეთებში და ქუჩებში არსებულ სარეკლამო ბილბორდებზე. კანონის დამრღვევ მედია საშუალებას ჯარიმად დაეკისრება გაშვებული რეკლამის ღირებულების შვიდმაგი საფასური. ტელეკომპანიებმა და რადიოსადგურებმა შეტყობინება უკვე მიიღეს კანონში შეტანილი ცვლილების შესახებ.

სიგარეტისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელის რეკლამაზე გარკვეული შეზღუდვები აქამდეც არსებობდა; კერძოდ, მათი რეკლამირება მხოლოდ ღამის 11 საათის შემდეგ იყო ნებადართული. როგორც სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ის სარეკლამო სამსახურის უფროსი ლევან ჩერქეზიშვილი აცხადებს, საეთერო პრაიმთაიმში, რომელიც საღამოს რვიდან თორმეტ საათამდე გრძელდება, სიგარეტისა და მაგარი ალკოჰოლური სასმელების რეკლამა მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში იყო დაშვებული. ამდენად, ამ პროდუქციიდან მიღებულ თანხებს არც თუ ისე დიდი წილი ეჭირა სარეკლამო შემოსავლებში. **"მიუხედავად ამისა, მათი აკრძალვა შეამცირებს ელექტრონული მედიის შემოსავლებს, მაგრამ ნაკლებსავარაუდოა, რომ ამან სიგარეტისა და ალკოჰოლური სასმელის მოხმარება შეამციროს,"** – აცხადებს ლევან ჩერქეზიშვილი. "რუსთავი 2"-ის სარეკლამო სამსახურის უფროსს მიაჩნია, რომ აღნიშნული აკრძალვა უარყოფითად იმოქმედებს იმ ბრენდებზე, რომლებიც ბაზარზე ჯერ არ დამკვიდრებულან, ეს განსაკუთრებით ეროვნულ წარმოებას შეეხება.

# ქართული საფინანსო სისტემა სრული ავტომატიზაციისთვის ემზადება

გაერო-ს განვითარების პროექტის - "საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზაცია" - პირველი ეტაპი დასრულდა, რომლის ფარგლებშიც ფინანსთა სამინისტროში 249, ხოლო სახელმწიფო ხაზინაში – 155-წერტილიანი ლოკალური კომპიუტერული ქსელი შეიქმნა. ფინანსთა სამინისტრო 100-მდე, ხოლო ხაზინა 110 კომპიუტერით აღიჭურვა. 10-მდე კომპიუტერი აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროებს გადაეცა. ფინანსთა სამინისტრო და ხაზინა ერთმანეთს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით დაუკავშირდა.

"საქართველოს საფინანსო სისტემის მოდერნიზაციის პროექტი გრანტის მეშვეობით ხორციელდება და მისი საერთო მოცულობა 1 მლნ დოლარს აღემატება.

როგორც გაერო-ს განვითარების პროგრამის კონსულტანტმა, მიხეილ გვარჯალაძემ თქვა, პროექტის ფარგლებში შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდი w, რომელიც საზოგადოების ინფორმირებასა და "სამინისტროს იმიჯის ამაღლებას მოემსახურება".

პროექტი სამი ეტაპისაგან შედგება და 2003 წლის ოქტომბრამდე გაგრძელდება. მეორე ეტაპზე აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების საინფორმაციო სისტემები ერთმანეთს უნდა დაუკავშირდეს, შემდეგ შეუერთდებიან ხაზინას, ეროვნულ ბანკს, ფინანსთა სამინისტროს და ხაზინის 10 რეგიონულ დეპარტამენტს. ხოლო მესამე ეტაპზე ერთიანი საინფორმაციო სისტემა - პარლამენტს, სახელმწიფო კანცელარიას, სტატისტიკის დეპარტამენტს, კონტროლის პალატას და თბილისის სახელმწიფო უწყებათშორის ქსელს დაუკავშირდება.

*"ახალგაზრდა ექსპერტთა ასოციაცია".*

# მოქალაქე "ელექტროკავშირის" წინააღმდეგ

კომუნიკაციების ეროვნული კომისია ადგილობრივ სატელეფონო ოპერატორ "საქართველოს ელექტროკავშირსა" და მოქალაქეს შორის დავის განხილვას იწყებს. ამგვარი განხილვის დანიშვნა მარეგულირებელი კომისიის არსებობის მანძილზე პირველი შემთხვევაა, ამ დრომდე იგი, ძირითადად, ორ ოპერატორს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებს აგვარებდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დავის მიზეზი მოქალაქისთვის ტელეფონის მომსახურების სატრანზიტო გადასახადის დაკისრება გახდა.

დავა, სავაურაუდოდ, აპრილის დასაწყისში დაიწყება. **"კომისიას ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია"**, - აცხადებს იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი, ელისო ასანიძე. მისივე თქმით, ამ პროცესის დაწყებას კომისიაში ახლადშექმნილ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურთან კავშირი არ აქვს, თუმცა შესაძლოა, დავის განხილვის პროცესში ისიც აქტიურად ჩაერთოს.

*"ახალგაზრდა ექსპერტთა ასოციაცია".*

# ქისტ განსასჯელთა პროცესი კვლავ გადაიდო

თეა ხოფერია

*საზღვრის დამრღვევ ჩეჩნებთან ერთად, 2002 წლის აგვისტოში დაპატიმრებული ორი დუისელი ქისტის სასამართლო პროცესი, გუშინ საოლქო სასამართლოში კიდევ ერთხელ გადაიდო. ამის მიზეზი ბრალდების მხარის, პროკურორ ედიშერ ქარჩავას სურვილი გახდა. მან მოწმეთა ჩვენებების სამართლებრივი შეფასებისათვის მოსამართლეს დრო სთხოვა. პროცესი 7 აპრილს გაიმართება.*

ბრალდებულთა ადვოკატები - კახა არაბიძე და რამაზ მაღრაძე - ბრალდების მხარის მოთხოვნას პროცესის ხელოვნურად გაჭიანურების მცდელობად მიიჩნევენ. თუმცა, ისინი მაინც დარწმუნებულნი არიან, რომ მოსამართლე განაჩენს ქისტების სასარგებლოდ გამოიტანს და მათ დარბაზიდანვე გაათავისუფლებს. კახა არაბიძის თქმით, თუ ეს ასე არ მოხდა, განაჩენს აუცილებლად გაასაჩივრებენ სასამართლოს ზემდგომ ინსტანციაში. **"უფრო მეტიც, ჩვენ მოსამართლის პასუხისგებლობის საკითხს დავაყენებთ,"** – აცხადებს ადვოკატი. კახა არაბიძე ირწმუნება, რომ ქისტები უდანაშაულონი არიან. როგორც ცნობილია, განსასჯელები - რობინზონ მარგოშვილი და გიორგი კუშტანაშვილი - 2002 წლის აგვისტოში, ხუთ ჩეჩენთან ერთად, თუშეთის ტერიტორიაზე, მწყემსთა საზაფხულო სადგომში დაჭრილები და შეიარაღებულები ნახეს. ქისტების თქმით, ისინი საზღვართან, გირევის საგუშაგოსთან ახლოს, ცალ-ცალკე მწყემსავდნენ ცხვარს. ამ დროს საზღვართან სროლა ამტყდარა. რუსი სპეცრაზმელები ჩეჩნებს მოსდევდნენ. შედარებით მსუბუქად დაჭრილი გიორგი კუშტანაშვილი დანარჩენ დაჭრილ ჩეჩნებს დახმარებია და მწყემსთა სადგომში მიუყვანია. იქ მისულ კუშტანაშვილს მეორე ქისტი - რობინზონ მარგოშვილი დახვედრია.



ქისტი განსასჯელები განაჩენს ელოდებიან.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თვითმხილველისა და გუშინდელი სასამართლო პროცესის ერთ-ერთი მოწმის, მესაზღვრე მანუჩარ ცხელიძის თქმით, საგუშაგოზე ყოფნისას მას თუშეთის რაიონის ერთ-ერთმა მწყემსმა მიუტანა ამბავი, რომ სადგომში დაჭრილი ჩეჩენი იყო და დახმარება სთხოვა. მანუჩარ ცხელიძე, როგორც თუშეთის ტერიტორიაზე სასაზღვრო დეპარტამენტის ოპერატიული თანამშრომელი, ვალდებულიც კი იყო ამგვარი ინფორმაციის მიღებისას დანიშნულების ადგილზე მისულიყო. **" ჩვენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და უშუალოდ მწყემსებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ისინი საზღვრის გაკონტროლებაში გვეხმარებიან, ანუ ყველანაირ ინფორმაციას გვაწვდიან, თუ რა ხდება რეგიონში,"**- აცხადებს მანუჩარ ცხელიძე. ადგილზე მისულს შვიდი შეიარაღებული პიროვნება დახვედრია, უმეტესობას სამხედრო ფორმა ეცვა და დაჭრილები იყვნენ. მოწმე მანუჩარ ცხელიძე აცხადებს: რადგანაც სადგომში ერთი დაჭრილი ჩეჩენი ეგულებოდა, ამიტომაც სადგომში იარაღის გარეშე მივიდა. შვიდივე დაჭრილსა თუ დაშავებულს იარაღი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლისათვის უპრობლემოდ ჩაუბარებია.

ერთი სიტყვით, ქისტების სასამართლო ორშაბათს განახლდება და, სავარაუდოდ, მოსამართლე მათ განაჩენს გამოუტანს.

# გრიგოლ ხურცილავა ჩვენებას მომავალ პროცესზე მისცემს

გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გუშინ პირველი ჩვენება უნდა მიეცა გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულს. თუმცა, განსასჯელის ადვოკატის საპატიო მიზეზით პროცესზე გამოუცხადებლობის გამო, განსასჯელის დაკითხვა ვერ მოხერხდა და სასამართლო სხდომა ოთხი დღით გადაიდო.

გრიგოლ ხურცილავა აქამდე კატეგორიულ უარს აცხადებდა ჩვენების მიცემაზე და მოწმეთა დაკითხვის დასრულებას უცდიდა. პროკურორებმა მტკიცებულებების გამოქვეყნება და ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მოწმეთა და ექსპერტ-სპეციალისტთა დაკითხვა წინა სასამართლო სხდომაზე დაასრულეს. წინა პროცესზევე მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა განსასჯელს კიდევ ერთხელ შესთავაზა ჩვენების მიცემა, მაგრამ ხურცილავასგან კვლავ კატეგორიული უარი მიიღო : "მზად არ ვარ, ჩვენებას მომდევნო პროცესზე მივცემ სასამართლოს" - ასეთი იყო განსასჯელის პასუხი. ერთი სიტყვით, ხურცილავას პროცესის განახლებისთანავე დაკითხავენ.

მომდევნო სხდომებზე, განსასჯელის დაკითხვის გარდა, ხურცილავას უფლებების დამცველის შუამდგომლობებიც განიხილება და მტკიცებულებები გამოქვეყნდება. მხარეთა კამათის შემდეგ კი, მოსამართლე ნანა გუგუნაშვილი, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულს განაჩენს გამოუტანს.

# პოლიციასა და ძებნილს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა

რამდენიმე თვის წინ ხაშურის რაიონის პოლიციაში შეტყობინება შევიდა - რესტორანში ერთ-ერთი მოქალაქე ცეცხლსასროლ იარაღს ისვრისო. შემთხვევის ადგილზე გასულ სამართალდამცველებს შეიარაღებულმა პიროვნებამ წინააღმდეგობა გაუწია, ცეცხლი გახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოგვიანებით დადგინდა, რომ დამნაშავე გიორგი ორაშვილი წარსულში ორჯერ იყო ნასამართლევი. პირველად იგი 1991 წელს, ერთ-ერთი სახლის ძარცვის დროს, ბინის პატრონის მკვლელობისთვის დააკავეს. მეორედ კი, რამდენიმე წლის წინ მოქალაქეები გაძარცვა რესტორანში. ხაშურის რაიონის პროკურორის ანზორ ხიჯაკაძის თქმით, იმ დროს, პოლიციისადმი გაწეული წინააღმდეგობის გამო, ორაშვილის მიმართ ხაშურის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ძებნა გამოცხადდა.

გუშინ ხაშურის რაიონის სამართალდამცველებმა კვლავ მიიღეს შეტყობინება, რომ ძებნილი გიორგი ორაშვილი სოფელ აგარების რესტორანში "სტიმულში" შეიარაღებული იმყოფებაო. ვიდრე პოლიცია აღნიშნულ ადგილზე გავიდოდა, ძებნილმა და მისმა მეგობარმა მიხეილ სვანიძემ მანქანით გაქცევა მოახერხეს და დადევნებულ პოლიციელებს იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. საპასუხო ცეცხლი გახსნა პოლიციამაც, რაც დაახლოებით 10 წუთს გაგრძელდა. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი ორაშვილი პოლიციას დანებდა და იგი დააკავეს. ორმხრივი სროლის დროს პოლიციის მხრიდან არავინ დაშავებულა. დაიჭრა ძებნილის მეგობარი სვანიძე, რომელიც ხაშურის რაიონის საავადმყოფოში გადაიყვანეს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

## მოსკოვის მეტროში თავდასხმის შემთხვევები გახშირდა

მოსკოვის მილიციის სტატისტიკური მონაცემებით, საგრძნობლად გახშირდა მგზავრებზე თავდასხმები, ძარცვა, ხულიგნობა და მასობრივი შეტაკებები. მილიციამ, მეტროში არსებული საგანგაშო კრიმინალური სიტუაციის გამო, მგზავრებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა.

მეტროსადგურ "ნოვოსლობოდსკაიაში" გუშინ მილიციასა და კრიმინალთა ჯგუფს შორის შეტაკება მოხდა. წესრიგის დამცველის გაფრთხილებას ერთ-ერთი თინეიჯერი, რომელიც მგზავრს ძარცვავდა, არ დაემორჩილა. მილიციელის მორიგ გაფრთხილებას და მცდელობას დაეკავებინა იგი, თინეიჯერ-მძარცველთა ჯგუფის თავდასხმა მოჰყვა, რაც სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა. 25-მა მცირეწლოვანმა ბოროტმოქმედმა დაამსხვრია ვაგონის ფანჯრები, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები, სკამები და სხვა ნივთები. მილიციამ მხოლოდ 2 ხულიგნის დაკავება მოახერხა.

მოსკოვის მილიციის ინფორმაციით, გუშინ სხვადასხვა მეტროსადგურში თავდასხმის 5 ფაქტი მოხდა. აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში თავდამსხმელებმა მგზავრები უმიზეზოდ, სასტიკად სცემეს.

## პატიმართა ბუნტის მსხვერპლი ბადრაგი გახდა

ეკვადორის ქალაქ კიტოს საპატიმროს "გარსია მორენოს" ციხეში მომხდარი ბუნტისას ქალმა ტუსაღებმა მძევლად აიყვანეს 2 ბადრაგი და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობის რეზინის შლანგით გაკოჭეს.

ეკვადორის შინაგან საქმეთა მინისტრის მარიო კანესას ინფორმაციით, პატიმართა ბუნტის მიზეზი გახდა ხელისუფლების მიერ კანონის შეუსრულებლობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ტუსაღებს კანონით კუთვნილი შეღავათების ამოქმედებაზე უარი განუცხადეს. ბუნტის მონაწილეთა შორის 123 ქალი და 33 მამაკაცი პატიმარი იყო. შს მინისტრის განცხადებით, პატიმართა საპროტესტო აქციას მსჯავრდებული ქალები ხელმძღვანელობენ, მათი პრეტენზიები საათში ერთხელ იცვლება. "ჩვენ ვცდილობთ, პატიმრებთან დიალოგი გავმართოთ, მაგრამ არ გამოდის. მე ციხის რამდენიმე ბუნტის მომსწრე ვარ, მაგრამ მსგავს სიტუაციაში არასდროს აღმოვჩენილვარ, თითქმის შეუძლებელია ქალ ტუსაღებთან კონტაქტის დამყარება. ისინი ყოველ წუთს ცვლიან მოთხოვნებს, საათში ერთხელ ახალ ულტიმატუმებს გვიყენებენ," – აცხადებს მარიო კანესა, რომელიც ფიქრობს, რომ ჯგუფი, რომელიც პატიმრებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, ქალებით დააკომპლექტოს, "მათ ერთმანეთის ენა ესმით და უკეთესად გაუგებენ ერთმანეთს," – ამბობს მინისტრი.

## "ნორდ-ოსტის" საქმის ადვოკატი ჟურნალისტს უჩივის

"ნორდ-ოსტის" ტერაქტის მსხვერპლთა ადვოკატმა იგორ ტრუნოვმა ტელეწამყვან მიხაილ ლეონტიევს სასამართლოში უჩივლა. ადვოკატის ბრალდებით, ჟურნალისტმა მისი ღირსება შეურაცხყო. ადვოკატი მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ტელეჟურნალისტს 320 ათას რუბლს სთხოვს.

ადვოკატის განცხადებით, პროგრამა "Свобода слова"-ს ერთ-ერთი გადაცემისას ლეონტიევმა მას მაროდიორი უწოდა. გარდა ამისა, განაცხადა, რომ ტრუნოვი რეკლამას იკეთებს ტერაქტის მსხვერპლთა სისხლსა და უბედურებაზე. ტრუნოვის სარჩელის განხილვა 7 აპრილს დაიწყება.

## დეპუტატს პირადი დაცვის წევრები თავს დაესხნენ

რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატის გაჯი მახაჩევის თავდასხმაში ბრალდებულნი არიან მისი პირადი დაცვის ყოფილი წევრები, რომლებიც დეპუტატმა არაპროფესიონალიზმის გამო დაითხოვა სამსახურიდან. მოსკოვის მილიციამ თავდამსხმელები რამდენიმე დღის წინ დააკავა. სამართალდამცველთა ვერსიით, პირადი დაცვის სამსახურიდან დათხოვნილებმა ქილერობას მიჰყვეს ხელი.

თავდასხმის ფაქტზე მილიცია თავდაპირველად 2 ვერსიას ამუშავებდა. ერთის მიხედვით, მახაჩევზე თავდასხმას პოლიტიკური მოტივი ჰქონდა, მეორე ვერსიით კი, დეპუტატს, რომელიც თავის დროზე საკმაოდ ცნობილი ბიზნესმენი იყო, ფულის გამოძალვის მიზნით დაესხნენ თავს. დანაშაულში ეჭვმიტანილთა დაკავების შემდეგ დადგინდა, რომ დანაშაულს მართლაც ეკონომიური საფუძველი ჰქონდა; ოღონდ, ეს იყო შეკვეთილი მკვლელობის მცდელობა, რომელიც დეპუტატის ყოფილმა პარტნიორმა შურისძიების მოტივით შეუკვეთა.

# საქართველოს საზღვრის დამრღვევ თურქულ ეკიპაჟს სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს

*თურქეთის გემების მხრიდან საქართველოს საზღვრის დარღვევის ფაქტების შესახებ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წევრები ხშირად მიუთითებენ. ძირითადად, თურქულ გემებს აფხაზეთში სიგარეტი და სურსათ-სანოვაგე შეაქვთ, სანაცვლოდ კი, ქვანახშირსა და ხე-ტყეს ეზიდებიან. ქართველმა მესაზღვრეებმა საზღვრის უკანონოდ დამრღვევი თურქული გემების დაკავება მხოლოდ ორჯერ შეძლეს.*

ბექა სისაური
ქუთაისი

2001 წლის 11 სექტემბერს თურქული კომპანიის კუთვნილი გემი "ილდიზლი-1" დააკავეს. აღნიშნულმა გემმა აფხაზეთში თურქული წარმოების მაკარონი, მარგარინი და სიგარეტი შეიტანა. უკან დაბრუნებისას კი 918 ტონა ქვანახშირით დაიტვირთა და 4 თურქი ეროვნების მოქალაქეც წამოიყვანა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლემ მამუკა მამალაძემ საქართველოს საზღვრის უკანონოდ დამრღვევ გემის კაპიტანს, ჰალილი მეჩინს, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, დანარჩენ პირებს კი ერთი წლითა და 6 თვით პატიმრობა შეუფარდა. აღნიშნული სასჯელები უზენაესმა სასამართლომ მოგვიანებით მნიშვნელოვნად შეამცირა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს საზღვრის დარღვევისთვის უცხო ქვეყნის სანაოსნოს წარმომადგენლები დაისაჯნენ.

2002 წლის 19 ნოემბერს მესაზღვრეებმა საქართველოს საზღვრის უკანონოდ დამრღვევი კიდევ ერთი თევზსაჭერი სეინერი "შექერ ბაბა" დააკავეს. აღნიშნული გემი ფოთის სასამართლომ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დარღვევისა და უკანონო თევზჭერის გამო, 265 ათასი ლარით დააჯარიმა. თურქულმა მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის საოლქო სასამართლოში გააპროტესტა.

გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ 2002 წლის 18 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავმა საზღვაო სეინერმა "შექერ ბაბამ" საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დაარღვია, რაც იმავე დღესვე საქართველოს სასაზღვრო ძალების ტექნიკური საშუალებების მეშვეობით აღმოაჩინეს. გემი სოხუმის ნავსადგურიდან დასავლეთის მიმართულებით მოძრაობდა. 18 ნოემბრის 22 საათზე სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადამკვეთი გემის დასაკავებლად სასაზღვრო დივიზიონის ბაზიდან სადარაჯო ხომალდი "გიორგი თორელი" და საპატრულო კატარღა "გენერალი მაზნიაშვილი" გავიდნენ. საქართველოს სასაზღვრო ძალების გემებმა სეინერი "შექერ ბაბა" ბიჭვინთის ტრავესზე, ნაპირიდან დაახლოებით 40 მილის მანძილზე აღმოაჩინეს. თურქული სეინერი სასაზღვო ძალების მოთხოვნას გაჩერებისა და შემოწმების თაობაზე არ დაემორჩილა. 4 საათის დევნისა და ქვემეხიდან მრავალჯერადი გასროლის შემდეგ გემი ბიჭვინთის ტრავესზე, ნაპირიდან 21 მილის მოშორებით დააკავეს. თევზსაჭერ სეინერზე კაპიტანი ათალაი ალვერდი და 15 მეთევზე იმყოფებოდა. ისინი საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზჭერას ფსკერული თევზსაჭერი ბადეებით აწარმოებდნენ, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია. გემზე აღმოჩენილ იქნა კანონდარღვევით დაჭერილი თევზიც.

2002 წლის 19 ნოემბერს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საზღვაო ძალების მეორე საზღვაო დივიზიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა შუბითიძემ და შავი ზღვის დაცვის კონვენციის ინსპექციის განყოფილების უფროსმა ჭანტურიამ, საქართველოს საზღვრის დარღვევისა და ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზჭერის გამო, "შექერ ბაბას" კაპიტნის, ათალაი ალვერდის მიმართ შეადგინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. 2002 წლის 22 ნოემბერს კი მასალები განსახილველად ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად ცნო ალვერდის მხრიდან საქართველოს საზღვრის დარღვევა, უკანონო თევზჭერის ფაქტი და იგი 265 ათასი ლარით დააჯარიმა. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებულ თევზს კი კონფისკაცია გაუკეთდა.

თურქულმა მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება ქუთაისის საოლქო სასამართლოში იმ მოტივით გაასაჩივრა, რომ, თურმე, თევზჭერას ისინი არა საქართველოს, არამედ რუსეთის ფერედაციის წყლებში აწარმოებდნენ. აღნიშნულის დასამტკიცებლად კი წარმოადგინეს "შექერ ბაბას" მარშრუტის სავახტო ჟურნალის ქსეროასლები.

რამდენიმე დღის წინ, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა მამალაძემ, მასალების შესწავლის შემდეგ მიიჩნია, რომ ალვერდის მხრიდან, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უკანონო თევზჭერას და საზღვრის დარღვევის ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი და ფოთის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. ამრიგად, თურქულ კომპანიას საქართველოს საზღვრების დარღვევისთვის საქართველოს ბიუჯეტში 265 ათასი ლარის გადახდა მოუწევს.

# მამა-შვილი საკუთარ სახლში ჩაცხრილეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

გორის რაიონის სოფელ არცევში მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმას მამა-შვილის - გურამ და შალვა საბაშვილების სიცოცხლე შეეწირა. შვიდი ნიღბიანი ყაჩაღი საბაშვილების მრავალწევრიან ოჯახში გუშინწინ, გვიან ღამით შეცვივდა. მათ ფული და ძვირფასეულობა მოითხოვეს. სახლის ჩხრეკისას ოჯახის წევრებმა შეიარაღებულ თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწიეს. მცირეწლოვანი ბავშვებისა და მოხუცების თანდასწრებით ყაჩაღებმა ოჯახის უფროსი და მისი ვაჟი ჩაცხრილეს. საბაშვილების სახლი ბოლომდე გაჩხრიკეს და იქ ნაპოვნი ნადავლიანად გაუჩინარდნენ.

მამა-შვილი გორის საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ყაჩაღობისა და მკვლელობის ღამეს ოჯახის წევრთა დაკითხვა სამართალდამცველებმა ვერ მოახერხეს, რადგან მცირეწლოვანი ბავშვები და მოხუცები სასტიკად იყვნენ ნაცემი.

**"მათი დაკითხვა დღესაც საკმაოდ გაჭირდა, რადგან გარდა იმისა, რომ დაზიანებები აქვთ, შოკურ მდგომარეობაშიც იმყოფებიან. მათი ჩვენებებიდან ირკვევა, რომ თავდამსხმელებმა საბაშვილების ოჯახიდან დაახლოებით 3 ათასი დოლარი და 650 ლარი გაიტაცეს. გარდაცვლილებს უკვე ჩაუტარდათ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გურამ და შალვა საბაშვილებს სასიკვდილო ჭრილობები "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან გასროლილი ტყვიებით აქვთ მიყენებული; თუმცა, დაკითხულები ირწმუნებიან, რომ ყაჩაღები ავტომატებითაც იყვნენ შეიარაღებულნი"**, - განაცხადა "24"საათთან საუბრისას გორის რაიონის პროკურორმა რომან გვიშიანმა.

სამართალდამცველებს მომხდართან დაკავშირებით ჯერ არავინ დაუკავებიათ. როგორც ისინი აცხადებენ, არ არის გამორიცხული, საბაშვილების ოჯახზე განხორციელებულ თავდასხმაში კონფლიქტის ზონაში მოქმედი შერეული, ქართულ-ოსური კრიმინალური დაჯგუფების წევრები მონაწილეობდნენ და მათ უკვე თავი შეაფარეს არაკონტროლირებად ტერიტორიას.

სოფლის მოსახლეობა სამართალდამცველებისგან დაუყოვნებლივ ითხოვს დამნაშავეთა ვინაობის დადგენას და დაკავებას. **"როგორც კი ცნობილი გახდება მკვლელების ვინაობა, მათ განაჩენს ჩვენვე გამოვუტანთ – ლინჩის წესით გავასამართლებთ"**, - აცხადებენ სოფელ არცევის მცხოვრებლები.

# კონტრაბანდასთან ბრძოლა, ან ბრძოლის იმიტაცია

თამარ კაციტაძე

ქვეყანა რომ კონტრაბანდის ჭაობშია და მის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, ქართველ სამართალდამცველებს პრეზიდენტის განკარგულების შემდეგ ახსენდებათ ხოლმე. მაგალითად, მიმდინარე წლის დასაწყისში შევარდნაძემ შინაგან საქმეთა, ფინანსთა და უშიშროების სამინისტროებსა და საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს ქვეყნის ტერიტორიაზე აღურიცხავი საქონლის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ოპერატიული ღონისძიებების გატარება მოსთხოვა. მართლა გააქტიურდა, თუ არა ქვეყანაში აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლა, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ბოლო პერიოდში ოთხივე უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციებით თუ ვიმსჯელებთ, გატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო. შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული მონაცემებით, 12 მარტიდან დღემდე საბაჟოს მიერ კონტრაბანდული ტვირთის დაკავების შედეგად ბიუჯეტში შესულია ხუთი მილიონი ლარი, თუმცა სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული თანხები უახლოეს მომავალში ცხრა მილიონამდე გაიზრდება. ორი კვირის განმავლობაში მარტო "წითელი ხიდის" საბაჟოდან ბიუჯეტში შეტანილია 100 ათასი ლარი. "ეს არის იმ ტვირთებიდან ამოღებული თანხა, რომელიც ხალხს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებითა და, ხშირ შემთხვევაში, საბაჟო წესების დარღვევით საზღვარზე ხელით გადმოჰქონდა და ბიუჯეტში სავალდებულო საბაჟო გადასახადებს თავს არიდებდა," – ამბობენ შს სამინისტროში.

საინტერესო მონაცემები დაუგროვდა მცხეთა-მთიანეთის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილებასაც. აღნიშნული განყოფილების უფროსის მიშა გუგბარიძის ინფორმაციით, მარტის დასაწყისიდან აღნიშნულ რეგიონში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებულია უკანონოდ შემოტანილი 23400 ლიტრი დიზელის საწვავი, ათასი ლიტრი სპირტი, 800 ლიტრი ბენზინი და ა.შ.

ვერ გეტყვით, რამდენად შთამბეჭდავია ზემოთ დასახელებული ციფრები, მაგრამ ფაქტია, სამართალდამცველები მიღწეული შედეგებით აშკარად კმაყოფილები არიან.

მიშა გუგბარიძე კმაყოფილია იმითაც, რომ გუშინ, ნატახტარის საგუშაგოზე დააკავეს ავტომანქანა, რომლის პატრონსაც, გარდაბანში მცხოვრებ ახმად გუმთათოვს, რუსეთის ტერიტორიიდან შემოვლითი გზით შემოჰქონდა სხვადასხვა დასახელების ქსოვილი, რომლის ღირებულებაც 40 ათასი ლარია. გუშინვე სამართალდამცველებმა აღნიშნულ საგუშაგოზე დააკავეს ორი სატვირთო ავტომანქანა, რომლითაც საქართველოდან გაჰქონდათ ბორჯომის ხეობაში დამზადებული 22 კუბური მეტრი ფიცარი.

## მოკლედ

**თბილისი.** ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროსა და ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა მარნეულში დააკავეს 26 წლის ემირ შარიფოვი, რომელსაც აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 1,45 გრამი ჰეროინი. შარიფოვმა აღიარა, რომ მას ნარკოტიკებით ამარაგებდა მისი ახლო ნათესავი, სხვადასხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის ცხრაჯერ ნასამართლევი, 49 წლის რამიზ სამედზადე. შარიფოვი და სამედზადე სისტემატურად იძენდნენ ნარკოტიკებს აზერბაიჯანის ქალაქებში - ბაქოსა და შექში და საქართველოში ასაღებდნენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს ძებნის განყოფილების თანამშრომლებმა რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტვერში დააკავეს საგარეჯოს პოლიციის მიერ ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილი, 34 წლის მახრამ გაჯიევი. მზადდება მასალები გაჯიევის საქართველოში ექსტრადიციის მიზნით. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** შსს-ს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა მოსკოვში დააკავეს თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მიერ გადასახადების თავის არიდებისათვის ძებნილი, 51 წლის თეიმურაზ აბრამიშვილი, რომელმაც 1999 წლის ივლისში თავის სახელზე არენდით გამოყოფილი 1.945 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი 10.000 ლარად უკანონოდ მიჰყიდა თავის სიძეს. 10 დღის შემდეგ იგივე ნაკვეთი მიჰყიდა შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდაქტს" 20.000 ლარად, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში არ გადაიხადა 4.000 ლარი. მზადდება მასალები აბრამიშვილის საქართველოში ექსტრადიციისთვის. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ხონის კოლონიაში მყოფ ყოფილ მეომარ პატიმრებს სახალხო დამცველის რწმუნებული იმერეთის რეგიონში ქეთევან კანდელაკი მოინახულებს. 50-მდე მსჯავრდებულმა სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს წერილი გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ შეწყალების კომისიამ შეწყალებაზე უარი უთხრა და, მიუხედავად პარლამენტის დადგენილებისა, მათზე შეღავათი არ ვრცელდება. პატიმრები შიმშილობის დაწყებას აპირებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 23 მარტს ისანი-სამგორის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ გვარდიის სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტი კრიმინალური ამბიციებისა და კრიმინალური განზრახვის გამოვლინებად შეაფასა და განაცხადა, რომ ინციდენტის მონაწილეებს პატიების იმედი არ უნდა ჰქონდეთ. "დანაშაული განხორციელდა და მომზადდა იმ კრიმინალური ჯგუფის მიერ, რომელიც უკმაყოფილოა იმით, რომ საქართველო აღარ არის ძარცვა-გლეჯისა და ყაჩაღობის ასპარეზი," - განაცხადა პრეზიდენტმა. "ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის – გულმოწყალებასაც. მათ, ვინც გაახარა ჩვენი ქვეყნის ავისმოსურნეები, პატიების იმედი არ უნდა ჰქონდეთ," - ამბობს პრეზიდენტი. **ინტერ-პრესი.**

## მოკლედ

**თბილისი.** ვანო ზოდელავა საკრებულოს მიერ შემოთავაზებული მამასახლისის ინსტიტუტის ნაცვლად, სადარბაზოს მამასახლისების თანამდებობის შემოღებას აპირებს. მისი მითითებით, არჩევნები დაუყოვნებლივ დაიწყება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "თუკი ფიქსირებული გადასახადის გაუქმების გამო, "ეი-ი-ეს თელასი" 2 აპრილიდან გაუმრიცხველიანებელ უბნებს ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს, ამით საქართველოს კონსტიტუციას დაარღვევს", - აცხადებენ სემეკში. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტში "თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონპროექტის ჩაგდებას საქართველოს პრეზიდენტმა "სამწუხარო ფაქტი" უწოდა და განაცხადა, რომ ამ საკითხის მოწესრიგება მას თავისი ბრძანებითაც შეუძლია. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ვეტერინარიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, ფინანსების უქონლობის გამო, თბილისში უპატრონო მაწანწალა ძაღლების თავშესაფრისა და კრემატორიუმის გახსნა, გვიანდება. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ფუნიკულორის აღდგენას შპს „თბილბაგირტრანსი" წელსაც ვერ შეძლებს, რადგან ამისთვის აუცილებელი თანხა დედაქალაქის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან დედაქალაქში ცოფთან ბრძოლის ორთვიური იწყება. უნდა აიცრას ყველა პატრონიანი და მიკედლებული ძაღლი. ამისთვის, მათმა მფლობელებმა სახელმწიფო ვეტერინარულ სამკურნალოებს უნდა მიმართონ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერია ქალაქის ათ საშუალო სკოლაში სოციალურად დაუცველი ბავშვების გამოკითხვას აწარმოებს. შედეგად, შესაძლოა, ამ კატეგორიის მოსწავლეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი სპეციალური პროგრამა შემუშავდეს. **მედია-ნიუსი.**

## სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.

2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*

*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25 000 | 46 | 900 |
| 16 | 25 000 | 47 | 800 |
| 17 | 25 000 | 48 | 700 |
| 18 | 25 000 | 49 | 600 |
| 19 | 25 000 | 50 | 500 |
| 20 | 20 000 | 51 | 400 |
| 21 | 20 000 | 52 | 300 |
| 22 | 20 000 | 53 | 200 |
| 23 | 20 000 | 54 | 100 |
| 24 | 20 000 | 55 | 90 |
| 25 | 20 000 | 56 | 80 |
| 26 | 20 000 | 57 | 70 |
| 27 | 19 000 | 58 | 60 |
| 28 | 18 000 | 59 | 50 |
| 29 | 17 000 | 60 | 40 |
| 30 | 16 000 | 61 | 30 |
| 31 | 15 000 | 62 | 28 |
| 32 | 14 000 | 63 | 26 |
| 33 | 13 000 | 64 | 24 |
| 34 | 12 000 | 65 | 22 |
| 35 | 11 000 | 66 | 20 |
| 36 | 10 000 | 67 | 18 |
| 37 | 9 000 | 68 | 16 |
| 38 | 8 000 | 69 | 14 |
| 39 | 7 000 | 70 | 12 |
| 40 | 6 000 | 71 | 10 |
| 41 | 5 000 | 72 | 8 |
| 42 | 4 000 | 73 | 6 |
| 43 | 3 000 | 74 | 4 |
| 44 | 2 000 | 75 | 2 |
| 45 | 1 000 | | |




# "ძველი ქალაქი" ქართულ პოლიტიკას ემსხვერპლა

თამარ დვალი

*28 მარტს, საღამოს 10 საათზე ქუთაისში რუსთაველის გამზირისა და მიმდებარე ქუჩების მოსახლეობამ რადიო "ძველი ქალაქის" გადამცემი ანძა დააზიანა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ "თავისუფლების ინსტიტუტმა" პრესკონფერენცია მოაწყო. მათ მომხდარი დაგმეს, ინციდენტის მოტივად კი მოახლოებული არჩევნები და გარკვეული პოლიტიკური ძალები დაასახელეს.*

**"ჩვენ ვგმობთ ნებისმიერ ამგვარ ქმედებას და შეშფოთებულები ვართ, რომ ამაზე საჯარო განცხადება არ გაუკეთებია ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს. ეს კონკრეტული ინციდენტი კიდევ ერთი ეპიზოდია იმ რეპრესიული კამპანიისა, რომელსაც ხელისუფლება, მოახლოებული არჩევნების ფონზე, თავისუფალი მედიის წინააღმდეგ მიზანმიმართულად ახორციელებს. სამართალდამცავები არც იმ დღეს აქტიურობდნენ და დღემდე გულგრილობას იჩენენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი პასიურობა მომხდარის წაქეზებასაც ნიშნავს,"** - განაცხადა ლევან რამიშვილმა.

რადიოსადგურსა და მოსახლეობას შორის 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა. რადიოს დირექტორის, ირაკლი მაჩიტიძის განაცხადებით, მოსახლეობამ მათი ოფისი რამდენჯერმე დაარბია. ამჯერად, დაახლოებით, ოცამდე ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა ანტენა ნაჯახით დაამტვრია



შეხვედრა "თავისუფლების ინსტიტუტში"

და ხუთსართულიანი შენობის სახურავიდან გადმოაგდო. მათ პრესის სახლის და "მაგთი ჯ.ს.მ."-ის თანამშრომლებსაც სცემეს. **"მიმაჩნია, რომ რადიო "ძველი ქალაქის" ირგვლივ წარმოქმნილი დავა მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება და იგი მაშინ დასრულდება, როცა არჩევნები ჩაივლის. ბევრს არ აძლევს ხელს, წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩეველმა თავისუფალი და დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია,"** - ამბობს მაჩიტიძე.

მისივე თქმით, მოსახლეობას სასამართლოსთვის რამდენიმე ხნის წინათ მიუმართავს - რადიომაუწყებლობის შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე გადაწყვეტილება გამოუტანია და რადიოსადგურისთვის მაუწყებლობის უფლება შეუჩერებია. **"ჩვენ გავასაჩივრეთ ეს გადაწყვეტილება და იმას მივაღწიეთ, რომ მოვიპოვეთ მაუწყებლობის უფლება. ამის შემდეგ სასამართლოს არსებითი განხილვა აღარ წამოუწყია. როგორც კი მოსახლეობაში გაჩნდა ეჭვი, რომ გადამცემი ჯანმრთელობისათვის საზიანო იყო, მოვიწვიეთ ექსპერტები და შედეგები მოსახლეობას გავაცანით. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს მხოლოდ საბაბია და ამ საქმის უკან გარკვეული ძალები დგანან,"** - აცხადებს მაჩიტიძე.

მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ, ვახტანგ აბაშიძემ "24 საათთან" საუბრისას განაცხადა, რომ სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, რადიოსადგურისთვის მაუწყებლობა შეეჩერებინა. მან თქვა: **"არ მინდა, ეს საკითხი პოლიტიკას დავუკავშირო, მაგრამ საქმის ვითარებაში გარკვევის შემდეგ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ, პოლიტიკურის გარდა, სხვა მოტივაცია არ არსებობს. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, ნებისმიერი ტექნიკური საშულება, რომელსაც ევროპულ ქვეყნებში აქვს სერთიფიკატი მიღებული, საქართველოში ახალ სერტიფიცირებას აღარ საჭიროებს. რადიო "ძველ ქალაქს" სწორედ ასეთი აპარატურა აქვს – რეგისტრირებული და ლიცენზირებული. სასამართლომ გადაწყვეტილება ექსპერტის დასკვნის საფუძველზე უნდა გამოიტანოს. (მაგალითად, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული სანიტარული სამსახურის ექსპერტების). ყველა არსებული დოკუმენტი ადასტურებს, რომ რადიოსადგურის ანძა ადამიანების ჯანმრთელობას არანაირ საფრთხეს არ უქმნის. ასე რომ, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება, შეეჩერებინა მათთვის მაუწყებლობა. ლიცენზიის გაუქმება მხოლოდ კომისიის უფლებამოსილებაა."**

"თავისუფლების ინსტიტუტი" მომხდარზე პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებს და მოითხოვს, კომპანიას მიყენებული ზარალი აუნაზღაურდეს; იმ პოლიციელებს კი, რომლებმაც თანამდებობრივი გულგრილობა გამოიჩინეს და დანაშაული არ აღკვეთეს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს.

# სამინისტრო საყაიმო სვლის გაკეთებას ცდილობს

### "საბჭოები", "ორხელისუფლებიანობა", "სამეულები" - საქმე კი..... სკოლებს ეხება

გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისია ჟურნალისტებმა რეკვით "აიკლეს": მათ განათლების სამინისტროს თხოვნის ცესკოსეული შეფასება აინტერესებდათ. განათლების სამინისტრომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თხოვნით მიმართა, რომ საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულებები ამოღებულ იქნას იმ ობიექტთა ნუსხიდან, რომლებშიც განთავსებული იქნება საარჩევნო ყუთები.

დალი კუპრავა

ტრადიციულად, საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო უბნები და, შესაბამისად, საარჩევნო ყუთები საგანმანათლებლო დაწესებულებებშია განლაგებული.

"სწორედ ამით უნდა აიხსნას ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ბოლო ორი თვის განმავლობაში განსაკუთრებული, მანამდე კი ნაკლებად გამოხატული, ინტერესი სასკოლო განათლების სისტემის მიმართ,"- ნათქვამია განათლების სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ პრესრელიზში.

განათლების მინისტრი ფიქრობს, რომ "სწორედ საარჩევნო და არა საგანმანათლებლო ინტერესი უბიძგებს ზოგ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომ სასკოლო პრობლემით განსაკუთრებულად დაკავდეს."

მუნიციპალური სკოლების მომხრე პოლიტიკური გაერთიანებები განათლების მინისტრს სახელისუფლებო პარტიის საარჩევნო ინტერესების დაცვას ურჩევენ და მინისტრის უპარტიობისა არ სჯერათ.

ამასობაში სკოლებში არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი - სკოლის დირექტორებიდან დაწყებული მშობლებით დამთავრებული, ყველას აინტერესებს, ვის დაუჯერონ, ანუ ვის დაემორჩილონ? სკოლებში სასწრაფოდ, პირველ ივნისამდე ჩაატარონ არჩევნები, თუ ჩვეულებისამებრ გააგრძელონ შფოთვა - მოახლოებულ სასწავლო წლის ბოლოს რომ სჩვევია.

დღეს "ორხელისუფლებიანობად" სახელდებულ სასკოლო სიტუაციას განათლების მინისტრმა კიდევ ერთი პრეისტორიული ტერმინიც მიუსადაგა - "სამეულების" სისტემა.

"დირექტორის მოხსნის პრეროგატივა, მუნიციპალური დებულების მიხედვით, სამეურვეო საბჭოს სამ წევრზეა დამოკიდებული და 2005 წლამდე გამოცხადებული მორატორიუმი ამ მუხლებსა და პუნქტებს ვერ აბათილებს,"- ამბობს განათლების მინისტრი. ამდენად, ის ვარაუდობს, რომ "მორატორიუმი" სწორედ ის ნაბიჯია, რომელიც თავდაპირველ მუნიციპალურ დადგენილებას "ძვრას ვერ უზამს".

საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიკისგან გასამიჯნად და ამ გაუგებრობის გასარკვევად განათლების მინისტრმა გუშინ პრესკონფერენციაზე განცხადება გააკეთა:

"რადგან საპარლამენტო არჩევნების მოახლოების კვალდაკვალ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების მიმართ "ინტერესი", სავარაუდოდ, არათუ შემცირდება, არამედ კიდევ უფრო გაიზრდება, ... სამინისტრომ გადაწყვიტა, თხოვნით მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები იმ ობიექტთა ნუსხიდან ამოიღოს, რომლებშიც საარჩევნო ყუთები იქნება განთავსებული."

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა, გია ზესაშვილმა განაცხადა, რომ კომისია მხოლოდ შემსრულებელია და ნუსხიდან ობიექტების ამოღება მის უფლებამოსილებას სცილდება - ეს მმართველობისა და თვითმმართველობის საქმეა.

# იდეები - მცირე მეწარმეებისაგან

ეთერ მამულაშვილი

*პოლიტიკურ არენაზე ახალად გამოჩენილი "საქართველოს მცირე მეწარმეთა კავშირი" ხელისუფლებისგან ხუთი წლის წინათ მის მიერვე აღიარებული შიდა ვალის - მილიარდ ორასი მილიონი ლარის გასტუმრებას მოითხოვს. კავშირის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ეს თანხა თანაბრად უნდა გადაუნაწილდეთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სახელმწიფოსგან დაზარალდნენ. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კავშირის რამდენიმე წევრი ხვალ სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს, გიორგი ისაკაძეს ხვდება.*

"მეწარმეთა კავშირის" გამოთვლით, საქართველოში მილიონ სამასი ათასი ოჯახი უნდა იყოს დაზარალებული. დღეისათვის მოსახლეობის სულ თერთმეტი ასეთი კატეგორიაა, მათ შორის არიან სახელმწიფო შემნახველი სალაროსა და კომერციული ბანკების მეანაბრეები, კოოპერატიული ბინათმშენებლობის მონაწილენი, "თბილტრანსის" დაზარალებული მძღოლები და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანების მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა სახელმწიფომ 1998 წელს საკუთარ თავზე აიღო, დღემდე დაზარალებულთა ანგარიშზე ერთი თეთრიც კი არ ჩარიცხულა. უფრო მეტიც, ყოველი წლის ბოლოს, როცა მომავალი წლის ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონი მტკიცდება, მიუხედავად "მეწარმეთა კავშირის" ძალისხმევისა და არაერთგზის შეხსენებისა, ბიუჯეტი არფერს არ ითვალისწინებს. ასე მოხდა წელსაც; თუმცა, იმედი, რომ დაზარალებულთათვის წელს მაინც, შესაძლოა, რამე გაკეთდეს, კავშირის მტკიცებით, ჯერ კიდევ არის.



სახელმწიფოსგან დაჩაგრულებს მცირე მეწარმეები ესარჩლებიან

"საქართველოს მცირე მეწარმეთა კავშირი" დაზარალებულთა საკომპენსაციო ფონდის შექმნის ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ იგი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს სახელმწიფო მინისტრთან. ხვალ საღამოს კავშირის აქტივისტები მინისტრის მოადგილეს, გიორგი ისაკაძეს ხვდებიან. კავშირის წევრები ხვალინდელ შეხვედრაზე კატეგორიულად მოითხოვენ ფონდის შექმნის საკითხის დაყენებას. ისინი მთავრობას ერთ უცნაურ ულტიმატუმსაც წაუყენებენ: **"ან შეასრულებთ ჩვენს მოთხოვნას, ან, თქვენს ნაცვლად, ამას ხელისუფლების რიგი ოპოზიციური პარტიები შეასრულებენ. საკითხის ასე დაყენებით, ვფიქრობთ, შესაძლებელი გახდება, ხელისუფლება ვაიძულოთ, რომ დაზარალებულმა ხალხმა საკომპენსაციო თანხა მიიღოს; არა და, ჩვენ ვიცით, რამდენიმე პოლიტიკური პარტია, ვინც წინასაარჩევნოდ ამ საქმეს დიდი სიამოვნებით მოჰკიდებდა ხელს და ბევრ საჭირო ქულასაც ჩაიწერდა,"** - ასეთია "მცირე მეწარმეთა კავშირის" თავჯმდომარის, ბონდო ზარნაძის ლოგიკა.

"მეწარმეთა კავშირი," დაზარალებულთა საკომპენსანციო ფონდის შექმნის გარდა, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან წლევანდელი ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანასაც მოითხოვს - ბიუჯეტში დაზარალებულთათვის ყოველწლიურად 900.000 ლარის გათვალისწინებას.

რეალურად, ჩვენი მწირი ბიუჯეტის პირობებში, დაზარალებულთა თერთმეტივე კატეგორიის სრულად დაკმაყოფილება ათეული წლების განმავლობაშიც კი შეუძლებელია – მითუმეტეს, რომ ექსპერტთა ერთი ნაწილის შეფასებით, სახელმწიფოს შიდა ვალი ათჯერ მეტია, ვიდრე მილიარდ ორასი მილიონი ლარი.

ამიტომაც, "მეწარმეთა კავშირი" დამატებით კიდევ ერთი ინიციატივით გამოდის. მათი მოთხოვნით, სახელმწიფოსგან დაზარალებულ მოქალაქეებს უნდა დაურიგდეთ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რენტაბელური სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების აქციათა გარკვეული ნაწილი. ბონდო ზარნაძის აზრით, ასეთ დაწესებულებათა ნუსხაში შედის "საქრთველოს რკინიგზა" და 31-ე საავიაციო ქარხანაც, რომელთა წლიური შემოსავალი, კავშირის გამოთვლით, სამას მილიონ ლარს აჭარბებს.

www.24hours.ge
24
B

ნომრის პერსონა

# "სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ"

## ხელისუფლებას არჩევნების მოთხოვნით გამოსული ხალხისთვის სროლა უფრო გაუჭირდება, ვიდრე შევარდნაძის წასვლის ლოზუნგით გამოსულისთვის

*საზოგადოებას დღემდე აინტერესებს, რატომ მაინცდამაინც 31 მარტს დაემთხვა პირველი და ჯერჯერობით, ერთადერთი რეფერენდუმი. დღეს ვერც ძველი, ეროვნული ძალების წარმომადგენლები ამბობენ ზუსტად, საგანგებოდ დაემთხვა თუ არა ეს თარიღი პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეს. რაც უნდა გააკეთოს ახლა "სახალხო ფრონტის" ლიდერმა ნოდარ ნათაძემ - ის უკვე არის ისტორიული პიროვნება. მის ოჯახში ასეთი ისტორიულები კიდევ არიან. ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის პირველ აქტს ამშვენებს პაპამისის, გრიგოლ ნათაძისა და მისი ძმის, ლეო ნათაძის ხელმოწერა. დამოუკიდებლობის მეორე აქტს კი ბატონმა ნოდარმა და მისმა დამ მოაწერეს ხელი. თუმცა, ნოდარ ნათაძეს ეს ფაქტი ოჯახური ტრადიციების რიცხვში არ ჩაუწერია, რადგან მისი წინაპრების შემთხვევაში ყველაფერი ცუდად დამთავრდა.*

მაია ჭალაბანიძე

**- დადგა თუ არა ის დრო, რომ ობიექტურად გადაფასდეს უკანასკნელი რეფერენდუმიდან განვლილი 12 წელი?**

- მე გადაფასება არ მჭირდება. აზრი არ შემიცვლია...

მცირედ მემუარულ შესავალს გავაკეთებ. მაშინ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გივი გუმბარიძე იყო. ეროვნული ძალების მისამართით ის ირონიულ შენიშვნებს იძლეოდა. გუმბარიძე თვალშისაცემად ჭკვიანი კაცი იყო და, ალბათ, ახლაც არის. შევარდნაძეზე ბევრად უფრო ჭკვიანი... როდესაც ირაკლი შენგელაიამ ფედერალიზმზე დაიწყო საუბარი, ჩაეკითხა - თქვენ, ქართულ ეროვნულ მოძრაობას გესმით, რას ნიშნავს ეს ფედერალიზმი?! მას ესმოდა, რომ ეს საქართველოს სიკვდილი იყო. ირაკლი შენგელაიას კი - არ ესმოდა. საქართველოს ფედერალიზაცია რუსების პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი იყო. 1989 წლის დასასრული იყო, გუმბარიძემ მკითხა - დარწმუნებული ბრძანდებით, რომ რეფერენდუმში გაიმარჯვებთ და საქართველოს მოსახლეობა მხარს დაუჭერს ქვეყნის დამოუკიდებლობასო?! ჰო-მეთქი, ვუპასუხე. მაგრამ, მთლად ეგრეც არ იყო. 31 მარტს რეფერენდუმის დანიშვნა ძალზე სარისკო ნაბიჯი გახლდათ. ამ რეფერენდუმში გამარჯვებამ ჩვენი პრინციპების, იდეოლოგიისა და სულისკვეთების უდიდესი ძალა გამოავლინა.

**- იმიტომ იყო სარისკო, რომ ეროვნული მოძრაობის აქტიურობა ახალი დაწყებული იყო?**

- ისე, როგორც დღეს, მაშინაც რუსული აგენტურა იყო მომძლავრებული, რომელსაც ამ საქმის ჩაშლა შეეძლო. მადლობა ღმერთს, მათ ეს ვერ მოახერხეს. რეფერენდუმს ჩვენი დღევანდელი პოლიტიკოსთვისაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

შევარდნაძე 1992 წელს, აფხაზეთში მარცხის შემდეგ, დიდი გულწრფელობითა და გატაცებით ამბობდა - ჩვენ ვკითხავთ ხალხს, უნდა თუ არა რუსეთისთვის ზურგის შექცევა და ვნახოთ, რას გვეტყვისო... მას თავისი მოკლე ჭკუით, განათლებითა და უფრო მოკლე ინტუიციით, იმედი ჰქონდა, რომ ხალხისგან სასურველ პასუხს მიიღებდა. ანუ, ეს შეშინებული, მორალურად გატეხილი ხალხი უპასუხებდა, რომ დამოუკიდებლობა აღარ სურდა. მას ამის იმედი ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ რუსებმა შეისწავლეს ვითარება და უთხრეს, რომ ეს აღარ გამოვიდოდა.

**- რას ნიშნავს გულწრფელობა პოლიტიკოსისთვის?**

- გულწრფელობა ნორმალური, საშუალო ადამიანის თვისებაა. შევარდნაძე მაშინ ნორმალურ ადამიანად იგულისხმებოდა. მას თვითონაც არ ესმის, მაგრამ მინისტრად ის ერთი რამის გამო აიყვანეს: რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ იცოდა, რომ ქვეყანას წინ საგარეო კაპიტულაციათა გრძელი სერია ელოდა და უნდოდა, რომ ეს "ნაცმენისთვის", ანუ არარუსისთვის გადაებრალებინა. რუსებს ქართველების ლიდერობის ტრადიცია ჰქონდათ - პეტრე პირველიდან დაწყებული, სტალინითა და ბერიათი დამთავრებული... ამ დანიშვნით საშუალება ექნებოდათ ეთქვათ, "გამყიდველი ქართველის ბრალია ყველაფერიო"...

ძველად იყო ერთი ბრწყინვალე ფეხბურთელი, ავთო ჭკუასელი. რუსებმა ის საერთაშორისო მატჩში "ცდკ"-ს (შემდგომში, "ცსკა") შემადგენლობაში ათამაშეს. მათ 2:0 წააგეს, რის გამოც ავთო გასახდელში კოლექტიურად გალახეს. მას продажный грузин უძახეს... ასეთივე განტევების ვაცად სჭირდებოდათ შევარდნაძეც. უკვე საუბრობენ კიდეც, რომ საგარეო დამარცხებები, საბჭოთა კავშირის დაშლის ჩათვლით - შევარდნაძის "დამსახურებაა".

შევარდნაძის არაოფიციალური საუბრებიდან ერთი რამ დავასკვენი - თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მასშტაბურ ზენიტად მას სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრობა მიაჩნია და არა დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურობა. ეს სიმახინჯეა, პათოლოგიაა. ეს არა მხოლოდ გულის ბოროტებაზე და ქართველი ერის სიძულვილზე მეტყველებს, არამედ გონებისა და ფანტაზიის სივიწროვეზეც. მას არ ესმის, რომ სუვერენული სახელმწიფოს მეთაურობა ღვთით ცხებულის როლში ყოფნაა. საგარეო საქმეთა მინისტრობა კი რაგინდარა დიდი ქვეყნისაც უნდა იყოს - მოხელეობაა და სხვა არაფერი. ამას მისი გონება ვერ მისწვდა.

**- პირველ პარლამენტში, ურთულეს წლებში, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იყავით. როგორ მუშაობდა მაშინ ეს სტრატეგიული მნიშვნელობის კომიტეტი? შეეხო თუ არა თქვენს კომიტეტს მარცხი აფხაზეთში?**

- ჩვენს კომიტეტს ომი არც ნომინალურად და არც პრაქტიკულად ეხებოდა. სხვათა შორის, ჯაბა იოსელიანი ამბობდა ხშირად - სად გაგონილა, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციონერი იყოსო. მაგრამ, ჩემს საქმიანობას წარმატებულად მივიჩნევ. ჩვენ გავიტანეთ დადგენილება, რომელიც სამი პუნქტისგან შედგებოდა: 1. საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნა 1921 წლის თებერვლის დაპყრობის აქტის მექანიკური გაგრძელებაა და არავითარი იურიდიული საფუძველი დღემდე არ გააჩნია. 2. რუსეთის უკანასკნელი სამხედრო მოსამსახურე საქართველოდან არაუგვიანეს 1993 წლის 31 დეკემბრისა უნდა გავიდეს. 3. გაკეთდეს სათანადო წარდგინება რუსეთის ხელისუფლების წინაშე... მაშინდელმა სპიკერმა, ვახტანგ გოგუაძემ, რომელიც იყო და არის რუსეთის აგენტი და არც არასდროს მალავდა ამას - ეს დადგენილება გადამალა. ტექსტი მხოლოდ "სახალხო ფრონტის" გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნდა. ეს დადგენილება თავის გამოყენებას მაშინვე ჰპოვებს, როცა საქართველოდან ეს ხროვა წავა და ნორმალური ხელისუფლება მოვა... მესამე პუნქტი კი არ განახორციელეს და არ წარუდგინეს რუსეთს. თავად მივედი მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიკვაიძესთან და ძლივს გავაგზავნინე ცალსახად ფორმულირებული ტექსტი.

**- ეს დადგენილება დღემდე განუხორციელებელია...**

- როცა სახელმწიფოს მეთაური და საპარლამენტო უმრავლესობა რუსეთის აგენტია, ის პრაქტიკულად ვერ განხორციელდება. ის, რომ უმრავლესობამ და სახელმწიფოს მაშინდელმა მეთაურმა ეს არ გააკეთეს - იქნება ერთ-ერთი პუნქტი იმ საბრალდებო დასკვნისა, რითიც მათ სასჯელის უმაღლესი ზომა მიესჯებათ. ეს გარდაუვალია.

საქართველოში დღეს რესტავრირებული რუსული სოციალიზმის მმართველობის ხანაა. რეალურად, გარდამავალი ხანა არჩევნების შემდეგ დაიწყება. დღეს ჩვენ რუსული სოციალიზმის, ცეკა, ტეკა, ალკკ-ს დიქტატურის პერიოდში ვართ.

**- დღეს რა საკითხი დადგებოდა რეფერენდუმზე?**

- ჩავებათ თუ არა ამერიკელების სამხედრო აქციაში... ეს ხალხის გადასაწყვეტია, რადგანაც ხალხმა უნდა იცოდეს, რომ გადაწყვეტილების შედეგი საკუთრად მისი დამსახურებაა. ხალხი ძირეულ პრობლემებზე მუდმივ ფიქრსა და საკუთარი აზრის ქონას უნდა შეეჩვიოს...

ერთ ამბავს გიამბობთ. სოციოლოგი იტალიელებისა და ავსტრიელების საკამათო ზონაში - ტიროლის ალპებში მიდის. აინტერესებს, რამდენად მწვავეა ეს საკითხი მოსახლეობაში. როგორ გგონიათ, რას აკეთებს? ორივე მხარის გლეხებს ეკითხება - რა გინდა შენი თემისთვის? ის რთავს წამზომს. თუ გლეხმა თავი მოიფხანა, ფიქრი დაიწყო და ამას ერთი ან ერთნახევარი წუთი მოუნდა, იმას ნიშნავს, რომ თემის ბედი ფეხზე ჰკიდია. თუ იმავე წამს უპასუხა და ტყვიამფრქვევივით მიახალა, იმას ნიშნავს, რომ ეს კაცი, მართლაც, დაინტერესებულია...

**- ქართველებს რომ ჩავურთოთ წამზომი?**

- ვფიქრობ, რომ იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც გამოკვეთილი პასუხი აქვს, 25 პროცენტს არ გასცდება. დანარჩენებისთვის ეს საუბრის აბსტრაქტული თემაა.

**- როგორი იყო ეროვნული მოძრაობის მოლოდინი, როდესაც რეფერენდუმზე დგებოდა დამოუკიდებლობის საკითხი და რამდენად გამართლდა ეს მოლოდინი?**

- მოლოდინი საუკეთესო იყო. ღელვის გარეშე ამას არც ერთი შეგნებული ადამიანი არ მოჰკიდებია. მადლობა ღმერთს, სრული გამარჯვება მოვიპოვეთ.

**- შემდგომ რა უნდა მოჰყოლოდა ამ რეფერენდუმს?**

- ინტენსიური პოლიტიკური განვითარება, სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება, სახელმწიფოს მობილიზაცია, კადრების ზრდა... ამის ნაცვლად შინაგანი შფოთი და ძალაუფლებისთვის ბრძოლა მოჰყვა.

**- სახელმწიფოებრივ პროგრესს ბევრად გაუსწრო საზოგადოების განვითარებამ. ამას ელოდით?**

- რა თქმა უნდა. დღეს საქართველოში კომუნისტების დროინდელი კლასიკური ვითარებაა. როდესაც მოსახლეობა თავისი არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ ინტელექტუალური დონითაც რამდენიმე თავით აღემატება მთავრობას. კომუნისტების დროს მინისტრებს ნარკომები ერქვათ (სახალხო კომისარი). ესენი იყვნენ სიხარბის, ულმობელობისა და უტვინობის განსახიერება. რაიკომის მდივნები დადიოდნენ კარტუზებით და კიტელებით - ეს მათი ფორმა იყო - და იყვნენ ტლუები. დღეს საქართველოში იგივე ვითარებაა. პარლამენტში ვიტალი ხაზარაძეს რომ დაინახავ, მის საუბარს რომ მოისმენ, იფიქრებ, რომ ეს უმაღლეს განათლებულთა კრებულია?!

**- ვერ იფიქრებ, მაგრამ არსებობენ მისგან განსხვავებული ახალი თაობის დემოკრატიული მიდრეკილებების პოლიტიკოსები...**

- ერთი კაცის ციტირება მინდა მოვიყვანო - მან არაპატრიოტი ახალგაზრდების შესახებ თქვა, რომ ესენი დედიმათის რძიდან დედიმათის სხვა რაღაცაზე არიან გადასულებიო... კამოს დიეტა იგულისხმა.

ცდუნება დიდია - მუხტი არ ერჩით, დიდი ვაჟკაცობა და ჭკუა არ ერჩით და კარგი ცხოვრება კი უნდათ... ამგვარი ადამიანების ხელში სახელმწიფო ამოცანების ჩაგდება არაფრით შეიძლება.

**- ეროვნული ძალები ორი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენის სულისჩამდგმელნი იყავით - დამოუკიდებლობა და საყოველთაო რეფერენდუმში გამარჯვება. რატომ ვერ შეინარჩუნეთ ხელისუფლება?**

- ცალსახად გიპასუხებთ. რუსებმა, რომელთაც 5 საუკუნოვანი იმპერია აქვთ - 1991-1992 წლების მიჯნაზე ორგანიზაციულად მოგვიგეს.

**- რა ძალა უნდა დახვედროდა საქართველოში, ეს რომ არ მომხდარიყო?**

- ის ძალა, რომელიც მათ უნდა დახვედროდა, საქართველოში ბოლო ორი თაობის მანძილზე არ შეიქმნა და ჩვენი დანაშაული ეს არის. სტალინის სიცოცხლეში ეს შეუძლებელი იყო, მაგრამ დამოუკიდებლობამდე ოცი წლით ადრე მაინც უნდა შექმნილიყო, ინფორმაციის შემგროვებელი, დამმუშავებელი, დამზვერავი, სამხედრო საქმის განმასახიერებელი და დამსჯელი იატაკქვეშა ორგანიზაციები. ისევე, როგორც ისრაელის სახელმწიფოს შექმნას უსწრებდა წინ მოსადის - საიდუმლო სამსახურის შექმნა.

**- მაგრამ, ისრაელის ხელისუფლებაში ბოლშევიკები არ იყვნენ. სსრკ-ს ტერიტორიაზე და მათ შორის, საქართველოშიც იატაკქვეშა, დისიდენტური ორგანიზაციები არსებობდნენ...**

- საქართველოში იყო ასეთი ორგანიზაციები, მაგრამ თავისი მასშტაბით და მიზანდასახულობით იყო სისხლიანი ხარკი, რომელსაც ქართველი ხალხი საკუთარი თავის პატივისცემის შესანარჩუნებლად კეთილსინდისიერად იხდიდა. ეს იყო არაპროფესიულად აწყობილი ორგანიზაციები.

**- ხალხი დღესაც უკმაყოფილოა ხელისუფლებით. დღეს რაღა უნდა გააკეთონ არასაპარლამენტო ოპოზიციურმა ძალებმა და რა ბერკეტები აქვთ მათ იმისთვის, რომ გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ მოვლენებზე?**

- თქვენ პროგრამული შეკითხვა დამისვით და მეც ასევე გიპასუხებთ. საპარლამენტო ამოცანებისადმი ყურადღებისა და ძალისხმევის შეუსუსტებლად საჭიროა დაუყოვნებლივ და ძალიან ფართოდ შეიქმნას ალტერნატიული აღმასრულებელი სტრუქტურები. არა მხოლოდ მთავრობის მასშტაბით, არამედ - დარგობრივი მასშტაბითაც. უნდა შეიქმნას ზუსტი ალგორითმები, კადრები და სტრუქტურა. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ საჭეზე ხელის დადებისთანავე იცოდე, როგორი უნდა იყოს ეს ხელი და საით უნდა მიატრიალო ეს საჭე...

**- დღეს ამ გზაზე დგახართ?**

- სასურველისგან ძალზე შორს ვართ.

**- რატომ ვერ პოულობთ თანამოაზრეებს?**

- როგორ ვერ ვპოულობთ. დღეს ქართველი ერის პოტენციალის ძირითადი ნაწილი არ არის პოლიტიკაში ჩართული. ამ პროცესებში 25-30 ათასი ადამიანი მაინც უნდა იყოს ჩართული ორგანიზებულად.

**- ეროვნულ მოძრაობაში გაცილებით მეტი ხალხი იყო ჩაბმული... იქნებ, დააკონკრეტოთ, როგორ გადაუნაწილდებათ ფუნქციები ამ 30 ათას ადამიანს.**

- მოძრაობა სხვაა და ორგანიზებულად ფუნქციონირება - სხვა. ვიღაც ჯარისკაცი იქნება, ვიღაც - ასმეთაური, ვიღაც ათასისთავი, ვიღაც ჯანდაცვის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, განათლების და ა.შ. ვიღაც ქუთაისის პოლიციის უფროსობისთვის იქნება განკუთვნილი და ვიღაც - წყნეთის პოლიციის.

**- და ეს ადამიანები დაელოდებიან თავის ჯერს?**

- არა. იმუშავებენ ამოცანების განსაზღვრაზე, სიტუაციის შესწავლასა და მუდივი ზემოქმედების მცდელობაზე. მაგალითად, იცი, რომ აქ ვიღაც ნარკობარონი ცხოვრობს და ქვეყანას წამლავს. სანამ უფლებამოსილება გექნება, ვინმესთან მიხვიდე და ის აიყვანო, მანამდე უნდა თხოვო ადგილობრივ პოლიციას, რომ დააპატიმროს. თუ არადა, თავად უნდა მიხვიდე და აიყვანო. მოქმედების ტაქტიკა მხოლოდ ეს არის. დღეს რუსეთის სადაზვერვო სამსახური საქართველოში ნავარდობს და მათ წინააღმდეგ სახელმწიფო არ მუშაობს. აი, ამ ალტერნატიულმა ხელისუფლებამ უნდა იმუშაოს მათ წინააღმდეგ...

**- სანამ ეს მოხდება, "სახალხო ფრონტის" საარჩევნო გეგმებზე ვისაუბროთ.**

- ჩვენ სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებთ, ნორმალური, რეალისტური საარჩევნო კანონისთვის. სხვაგვარად, ამ არჩევნებს აზრი არ ექნება.

**- და შეეცდებით, ჩაშალოთ?**

- ვნახოთ.

**- ისედაც საუბრობენ არჩევნების ჩაშლასა და გადადებაზე.**

- პირდაპირ გეტყვით - არჩევნების ჩაშლის მიზნით შევარდნაძე სამოქალაქო ომს აწყობს. უკეთესი ფორმა პრორუსული გადატრიალებაა და ამასაც ცდილობს.

**- საარჩევნო კანონმდებლობისთვის თქვენი ბრძოლა - მანიფესტაციები და დემონსტრაციები ხომ არ ასხამს წყალს ხელისუფლების წისქვილზე, რომელსაც ხალხის მასების სათავისოდ გამოყენება კარგად ეხერხება.**

- არა. დემონსტრაციები მხოლოდ და მხოლოდ ნორმალური საარჩევნო კანონის მოთხოვნით გაიმართება. ხელისუფლებას კი არჩევნების მოთხოვნით გამოსული ხალხისთვის სროლა უფრო გაუჭირდება, ვიდრე შევარდნაძის წასვლის ლოზუნგით გამოსული ხალხისთვის. მას ბევრი მსროლელი ჰყავს გამზადებული - ე.წ. სიკვდილის ესკადრონები, ჰონდურასში რომ იყო... ის ხალხი, ვინც 1992 წლის 3 იანვარს ხალხი დახვრიტა - არსად გამქრალა. ისინი სადღაც არიან, ალბათ, ფსიქოლოგიური ტრენინგები უტარდებათ და რაც მთავარია, მრავლდებიან. გარდა ამისა, შევარდნაძეს საქართველოში კაზაკთა არმია ჰყავს. თბილისის მეთაური ყოფილი მილიციის მაიორი, ამჟამად კი კაზაკთა გენერალ-ლეიტენანტი რომული ჯაფარიძეა. თუთიყუშივით ფორმა აცვიათ და სამხრეები აკერიათ. ეს რომული ქუჩაში ვნახე და მითხრა კიდეც, სადაც არის მათი ერთ-ერთი შტაბ-ბინა. ფული გვაქვს, იარაღი ჯერ არაო - მითხრა. 6000 კაცი ვართო. ისინი პირადად შევარდნაძის დაქვემდებარებაში არიან. გარდა ამისა, შევარდნაძეს მუსულმანური რაზმებიც ჰყავს.

**- როდის გამოიყენებს მათ პრეზიდენტი. ის ხომ ორ წელიწადში ისედაც მიდის? ხომ არ აჯობებს, მშვიდობიანად გავაცილოთ?**

- ჯერ ერთი, მან არ იცის, რა პრობლემა შეექმნება ამ ორი წლის მანძილზე. როგორც მშვიდობიანად წავა, ასევე მშვიდობიანად დაჯდება ბრალდებულის სკამზე, სადაც დიდი განაჩენი ელოდება...

**- თქვენი კომიტეტის თავმჯდომარეობისას, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზევე დაიწყო საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესახებ საუბარი. დღეს ეს რეალური გახდა...**

- ნატო-ში საქართველოს ყოფნა კარგია. დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის გლობალურობა - ფაქტია. ტექნოლოგიურად, სხვადასხვა ქვეყნებს შორის განსხვავებაა. ჩვენ ყველასთან გაერთიანება არ შეგვიძლია. რომელიმე ბლოკში ყოფნა ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ეს ერთადერთი ბლოკი - ნატოა.

ქართულ პოლიტიკაში ბევრს არ ესმის, რა განსხვავებაა ნატო-ს საქართველოში შემოსვლასა და საქართველოს ნატო-ში შესვლაში. აქ ორმხრივი ვალდებულებები უნდა იყოს. რაც შევარდნაძემ გააკეთა, ეს - რუსული დავალებაა. ჰუსეინი არის აბრა რუსული იარაღისთვის (ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და სხვა) და რაც ყველაზე უარესია - რუსული ქმედებისთვის. შევარდნაძემ, იმის მაგივრად, რომ ჩუმად შეეთავაზებინა ამერიკისთვის თავისი შესაძლებლობები, ჰუსეინის დემონსტრატიული "განაწყენებით" რუსებს საშუალება მისცა ჰუსეინის სახელით ნებისმიერი მასშტაბის დივერსიები მოახდინონ საქართველოში... მაგალითად - გაგვირცელოს შავი ჭირი და თუ საქმე გასკდა, ეს სადამ ჰუსეინს გადააბრალოს. შევარდნაძის განცხადებები რომ არ ყოფილიყო, ისინი ამ საშუალებებს მოკლებულნი იქნებოდნენ. არ არის აუცილებელი, რომ დაიჯეროთ, მაგრამ საბაბი აქვს. მე მგონი, შევარდნაძის ასეთი ბრიყვული პოლიტიკა რუსების ნაკარნახევია.

**- ერაყის ომის დასრულების შემდეგ ცხადია, მსოფლიო სხვა, ახალი ენით ალაპარაკდება. თქვენი აზრით, რამდენად ხმამაღლა ისაუბრებს საქართველო ახალ მსოფლიოში?**

- ამ ახალი წესრიგის ელემენტი იქნება ის, რომ რუსეთს კიდევ ერთი საფეხურით ჩამოაქვეითებენ. ახლა B და C კლასს შორისაა. გადავა სადღაც, C და D კლასს შორის.

ჩვენ კი, თუ წესიერი და ერთგული მთავრობა გვეყოლება - ძალზე სწრაფად წავალთ წინ.

**- ცხადია, ეს კარგი მთავრობა კარგი საარჩევნო კანონით უნდა მოვიდეს. ხომ არ ფიქრობთ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანებას? მცირერიცხოვან პარტიებს საარჩევნო ბარიერის გადალახვა უჭირთ.**

- გაერთიანება აუცილებელია. რვა წელია ვმუშაობთ, რომ ეროვნული და დემოკრატიული მიმართულების ძალები არჩევნებში ერთად ვიყოთ.

**- პარლამენტში თუ ხედავთ თქვენს პარტნიორს?**

- ამას შეგნებულად ვერ მოგახსენებთ. ერთს გეტყვით - გაერთიანება პლატფორმის გარშემო მოხდება. შესაძლებელია არა ერთი, არამედ ორი ბლოკი იყოს - ერთში შევლენ ისინი, ვინც ეროვნულიცაა და დემოკრატიულიც, მეორეში კი - მხოლოდ დემოკრატიული, თუმცა, ზოგჯერ ეროვნულსაც ირქმევენ. ამ ეტაპზე უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

**- დღეს თქვენ სამგორის სამხედრო ნაწილში მომხდარის გამო პრესკონფერენციას მართავთ. რა გაქვთ სათქმელი ჟურნალისტებისთვის?**

- სწორი მეთოდოლოგია გამოძიების ობიექტურობას მოითხოვს. სასამართლო პროცესზე არ შეგვიშვეს, თუმცა, სხდომა დახურულად არ გამოუცხადებიათ.

ზუსტ შეფასებას ამ ფაქტს ვერ მივცემ, რადგან დეტალებს არ ვიცნობ. მინდა დავაფიქსირო შემდეგი შესაძლო მოტივები, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს განხილული: 1. შევარდნაძის მხრიდან მზადდება პრორუსული, წითელი გადატრიალება. 2. ამიტომ, რუსული თემისგან დამოუკიდებლად დატრიალდება შეთქმულების თემა. 3. ეს იყო უშუალოდ რუსული სპეცსამსახურების დავალებით. 4. ხომ არ არის შეგნებულად მოწყობილი ვეტერანების ასე ხაზგასმულად, გამომწვევად დაჩაგრული და უგულებელყოფილი მდგომარეობა იმისთვის, რომ ანტისახელმწიფოებრივი ქმედების სტიმულირება მოახდინონ. ამის მომწყობი და მასტიმულირებელი კი მხოლოდ ხელისუფლებაა. თუმცა, არ მოველი, რომ სასამართლო ამ საკითხებს განიხილავს.

**- 12 წლის წინ ჩვენი პირველი ამოცანა დამოუკიდებლობა იყო და ეს რეფერენდუმით დადასტურდა. დღეს რა არის საქართველოს პირველი ამოცანა?**

- სახელმწიფოს აშენება. რუსეთის მხრიდან შევარდნაძისა და მისი ხროვის ძირითადი დავალება სიტუაციის იმგვარად წარმართვაა, რომ საქართველო ვერშემდგარი სახელმწიფო იყოს. ეს ტერმინი თავად მოწმობს დავალების რუსულ წყაროს. ინგლისურად, სადაც ეს ტერმინი წარმოიშვა, სხვაგვარად ჰქვია - failed state - ხელმოცარული სახელმწიფო, მარცხი სახელმწიფო. თავად ამ ტერმინის წარმოშობა მეტყველებს მის რუსულ წყაროზე.

**- როდის დგება ქვეყანაში რეფერენდუმის საჭიროება?**

- როდესაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი დგება, რომლის გადაწყვეტის მორალური უფლება მხოლოდ ერთხელ არჩეულ დელეგატებს არ აქვთ. როცა აზრი ხალხს უნდა ჰკითხონ.



ნოდარ ნათაძე

## New Century - ახალი საუკუნე

*"ახალი საუკუნე" მათთვისაა განკუთვნილი, ვინც ლიტერატურაში შვებას ეძებს, ვისთვისაც წიგნი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პური და ჰაერი...*




ქართული ლიტერატურის უცხოელ მოყვარულებს დიდი სიამოვნება ელით: გამოქვეყნდა ჟურნალი New Century-ის ("ახალი საუკუნის") ინგლისური ვერსია, რომელიც ინგლისურენოვან ქვეყნებში ქართული კულტურის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ეს ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოვა. შარშანდელმა, საშემოდგომო ნომერმა უკვე შეიძინა მკითხველთა წრე, ძირითადად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისევე, როგორც წინა ნომერი, ჟურნალის საგაზაფხულო გამოშვებაც ბატონ გიორგი ჭანტურიასა და კომპანია G.I.O.G.-ს მხარდაჭერით დაისტამბა, რისთვისაც მას არამარტო ჟურნალზე მომუშავე შემოქმედებითი ჯგუფი, არამედ მკითხველებიც მოახსენებენ მადლობას.

ჟურნალის რედაქტორის, რეზო თაბუკაშვილისა და სარედაქციო კოლეგიის წევრების, ზაალ სამადაშვილისა და შალვა კაპანაძის მიერ შერჩეულ ნაწარმოებებსა და მათ ავტორებს ქართველი მკითხველი კარგად იცნობს. ჩვენი თანამედროვეების ლექსების, მოთხრობების და პიესის გარდა, "ახალ საუკუნეში" ქართული ლიტერატურის კლასიკოსების – გიორგი ლეონიძის, გურამ რჩეულიშვილის, ნიკო სამადაშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებებიცაა შესული.

ჟურნალში გამოყენებულია თეონა მამფორიას, ირაკლი ფარჯიანისა და თემო ჯაფარიძის გრაფიკული ნამუშევრები, გარეკანის დიზაინი კი გურამ წიბახაშვილს ეკუთვნის.

# კლასიკური ლიტერატურის დიდი ალბომი

### ეროვნულ გალერეაში მამია მალაზონიას გამოფენა გაიხსნა

ანა კორძაია-სამადაშვილი

მამია მალაზონიას "ვეფხისტყაოსანი" რამდენიმე წლის წინათ "TMS გალერეაში" იყო გამოფენილი. მანამდე ამავე გალერეაში მისი "იესო ქრისტეს ცხოვრებაც" ვიხილეთ, რომელიც წიგნადაც გამოიცა. პირადად მე უკანასკნელ წლებში მხოლოდ ამ ორ გამოფენაზე გახლდით – 2000 წელს ამსტერდამის საერთაშორისო კულტურის ცენტრში. რა გამოფენა იყო, ვერ გეტყვით. უბრალოდ, მაშინ ბედმა გამიღიმა, თავად ბატონ მამიასთან სახლში მოვხვდი და ამაყად შემეძლო იმის თქმა, რომ მის შემოქმედებას უკეთ ვიცნობდი, ვიდრე მრავალი სხვა ჩემი თანამემამულე.

მაგრამ გამოფენაზე, რომელიც გუშინ ეროვნულ გალერეაში გაიხსნა, ბატონ მამიას შემოქმედება შეუდარებლად უკეთ, შეიძლება ითქვას, სრული სახითაა წარმოდგენილი. ამ გამოფენაზე, ახლებთან ერთად, ადრე შესრულებული ნამუშევრებიცაა გამოტანილი, ფერწერულ-გრაფიკული ციკლი, რომელსაც "კლასიკური ლიტერატურის დიდი ალბომი" ჰქვია.

ამ ციკლზე მუშაობა მხატვარმა 1976 წელს დაიწყო, და დღესაც განაგრძობს. "ალბომში", ქართულ კლასიკასთან ერთად, მსოფლიო ლიტერატურის შედევრებიცაა დასურათებული: იაკობ ხუცესიდან – გალაკტიონამდე, ბოკაჩოდან – ნაბოკოვამდე...


*მამია მალაზონია გამოფენაზე*

მაგრამ "ვეფხისტყაოსანი" მაინც გამორჩეულია. მიუხედავად იმისა, რომ ის მრავალმა შესანიშნავმა მხატვარმა დაასურათა, ბატონმა მამიამ სრულად განსხვავებული სამყარო შექმნა, პირადად ჩემთვის უფრო ახლობელი და "ვეფხისტყაოსნური". განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მიხაი ზიჩის მიერ დახატული და, რატომღაც, ერთხელ და სამუდამოდ უცვლელად დარჩენილი სიუჟეტების ნაცვლად, ბატონმა მამიამ სულ სხვა, ზღაპრული ნახატები შექმნა – თუნდაც, ქალაქის თავზე მოსასხამგაშლილი გრძნეული რად ღირს... 1999 წელს, როდესაც ჩვენი სამშობლო "ვეფხისტყაოსნის" იუბილეს ზარზეიმით აღნიშვნას გეგმავდა, ბატონ მამიას მიერ ილუსტრირებული "ვეფხისტყაოსნის" გამოცემაზე რამდენიმე დასავლურ გამომცემლობასთან იყო საუბარი, და მახსოვს შეხვედრაზე სრულიად განსაცვიფრებელი პასუხი გამცეს: "ეს ჩვენი გამომცემლობისთვის მეტისმეტად კარგი მხატვრობააო". ალბათ, დამიჯერებთ, რომ ამბიციური ქართველი საშუალო დონის გამომცემლობაზე არ შევაჩერებდი არჩევანს.

"კლასიკური ლიტერატურის დიდი ალბომის" გარდა, ეროვნული გალერეის დარბაზებში სპექტაკლების დეკორაციების და კოსტუმების ესკიზებიცაა გამოფენილი, რადგან ბატონ მამიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის დიდი ნაწილი თეატრსა და კინოს უკავშირდება. ის მიხეილ ჭიაურელთან, ვახტანგ ტაბლიაშვილთან, დიმიტრი ალექსიძესთან, მიხეილ თუმანიშვილთან, გიგა ლორთქიფანიძესთან, რობერტ სტურუასთან თანამშრომლობდა და არამარტო მხატვართა, არამედ კინემატოგრაფისტთა და თეატრალურ მოღვაწეთა კავშირების წევრიცაა.

ვერნისაჟს უამრავი ადამიანი ესწრებოდა, და გალერეის შესასვლელშივე გამაფრთხილეს, ავტორამდე ნამდვილად ვერ მიაღწევო. ამიტომ ჩვენი გაზეთის მეშვეობით ვეცდები მისთვის მადლობის გადახდას და ყველა თბილისელისთვის ამ მშვენიერი გამოფენის გახსნის მილოცვას.

# ღირსების პრინციპით ღირსების ორდენის გარეშე

### აკაკი ბაქრაძის კვირეული

ნათია ვადაჭკორია

ვერ გავკადნიერდები და ვერ დავიწყებ ბატონი აკაკი ბაქრაძის მოღვაწეობის შეფასებას თუ მისი საქმიანობის განხილვას. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბატონი აკაკი მომღიმარი, ყოვლად უპრეტენზიო, კეთილმოსურნე და თავის საწერ მაგიდასთან მუდამ წიგნებში ჩაფლული მემახსოვრება. აკაკი ბაქრაძეს არ ჰქონია არანაირი რეგალიები, არც დოქტორი ყოფილა და არც პროფესორი, არც ღირსების ორდენოსანი, უბრალოდ, ღირსების პრინციპით ცხოვრობდა, თუმცა, მას ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ჰქონდა – ხალხის სიყვარული.

29 მარტს აკაკი ბაქრაძეს 75 წელი შეუსრულდებოდა, ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სათანადო ბრძანებულება გამოსცა აკაკი ბაქრაძის თხზულებათა რვატომეულის გამოცემის და მისი კვირეულის ჩატარების შესახებ, თუმცა, ვინც მას კარგად იცნობდა, სპეციალური კვირეულის გარეშეც მუდამ ემახსოვრება იგი.

ქალაქის მერიის კეთილი ნებით, მის სახლთან – ლესელიძის ქ.18-ში გაიხსნა აკაკი ბაქრაძის მემორიალური დაფა წარწერით –"ამ სახლში ცხოვრობდა XX ს-ის დიდი ქართველი მოქალაქე და მწერალი აკაკი ბაქრაძე", რომელიც საზეიმოდ გახსნეს პრეზიდენტის მრჩეველმა კულტურისა და განათლების დარგში კობა იმედაშვილმა და რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა მიხეილ ქურდიანმა. იმავე დღეს შედგა აკაკი ბაქრაძისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც ყოველგვარ პომპეზურობას და სენსაციებს იყო მოკლებული. საღამოზე შეიკრიბა იმ ადამიანთა ვიწრო წრე, ვისაც დიდი სიახლოვე აკავშირებდა მასთან, მისი საქმეების თანამონაწილე და თანამებრძოლი იყო. მიხეილ ქურდიანის, თამაზ გამყრელიძის, გურამ საღარაძის, კარლო საკანდელიძის, ლამზირა ჩხეიძის, გიგა ლორთქიფანიძის და სხვათა მოსაგონარ სიტყვებს ფონად გასდევდა ანსამბლ "მთიების" მიერ შესრულებული "ქართველო, ხელი ხმალს იკარ" და "მრავალჟამიერი". აკაკი ბაქრაძის ახლობლები აღნიშნავდნენ, რომ ბატონმა აკაკიმ ქართველი ერისთვის გააკეთა ის, რაც ძალიან ცოტას თუ გაუკეთებია XX საუკუნეში –შექმნა იდეოლოგია, რომლის ღალატი არაფრით არ შეიძლება, რადგან მის მიერ შექმნილი იდეოლოგია ეფუძნება ყველაზე მთავარ პრინციპს – ღირსების პრინციპს. მისი თანამშრომლები იხსენებდნენ, როგორ სიყვარულს თესავდა ბატონი აკაკი ყველგან, სადაც არ უნდა ყოფილიყო, რუსთაველის თეატრში, კინოსტუდიაში, გელათის აკადემიაში, ხელნაწერთა ინსტიტუტში, უნივერსიტეტში თუ სხვაგან.

და ბოლოს, ეს მცირე მოგონება მინდა თავად ბატონი აკაკის სიტყვებითვე დავასრულო –"მოყვასის სიკვდილი უდიდესი და უმძიმესი ტანჯვაა. ტანჯვა კი აფხიზლებს ადამიანის დაძინებულ გონებას."

იქნებ ერთი კვირით მაინც გამოაფხიზლოს ჩვენი გონება აკაკი ბაქრაძის კვირეულმა, რადგან არა მგონია საქართველოში რაიმე თემატიკა არსებობდეს ისეთი, რასაც იგი არ შეხებია, იქნებოდა ეს ენის საკითხი, თეატრი, კინო, პოლიტიკა თუ სხვა რამ.

# რასაც სხვა პოეტი ვერ მოგიძღვნით

### გიგა მიქაბერიძის ახალი კლიპის პრემიერა

ვერა ნეფარიძე

ახალ-ახალი კლიპების პრემიერები განსაკუთრებული სიახლე ნამდვილად აღარაა. ცალკეულ მათგანზე ყურადღების შეჩერება არც კი ღირს და ამიტომაც მათზე მსჯელობით თავს ნაკლებად შევაწყენთ ხოლმე. ეს, ერთის მხრივ, ამ ვიდეოკლიპების არასახარბიელო დონის გამო ხდება. გამონაკლისის სახით, თუ რომელიმე ჯგუფის ან ცალკეული შემსრულებლის ახალ ნამუშევარზე მაინც ვამახვილებთ ყურადღებას - იმ მიზეზით, რომ უმეტესად დამოუკიდებელი მუსიკოსების შემოქმედებას ვაშუქებთ, რომელთაც საკუთარი ძალებით უხდებათ გადაჭრან შემოქმედებითი პრობლემები: ჩაწერონ სიმღერები, გადაიღონ კლიპები, მოაწყონ კონცერტები და ა.შ. თითქოს, პარადოქსულია, მაგრამ მიზერული ფინანსებითა თუ მხარდაჭერით გადაღებული (თუ ჩაწერილი) ვიდეორგოლები და სიმღერები ხშირად უფრო საინტერესოა, ვიდრე – არანჟირების ოსტატების, რეჟისორების, იმიჯმეიკერების მთელი არმიისა და პრომოუტერული გაერთიანებების ერთობლივი ნაღვაწი.

ამჯერად კიდევ ერთი დამოუკიდებელი (რომელიც არც ერთ საპროდიუსერო ცენტრში არაა გაერთიანებული) მუსიკოსის, გიგა მიქაბერიძის ახალი ვიდეორგოლის პრემიერის შესახებ გვინდა გაცნობოთ - ჩვენი მაყურებელი ამ კლიპს პირველად ხვალ იხილავს ქართული მუსიკალური ტელეარხის ეთერში, რის შემდეგაც, ალბათ, ეს ნამუშევარი მუსიკალურ მიქსებს შორის სრულუფლებიან ადგილს დაიკავებს.


*გიგა მიქაბერიძე*

სიმღერის სახელწოდებაა "სხვა პოეტი ვერ მოგიძღვნის", რომელსაც მსმენელი სხვა ვერსიით უნდა იცნობდეს. საქმე ისაა, რომ გიგა მიქაბერიძემ ეს სიმღერა თავიდან "მწვანე ოთახის" ერთ-ერთ წევრთან, თამარ მალალაშვილთან ერთად საკუთარ საოჯახო სტუდიაში ჩაწერა. ამ ვერსიას "პირველი რადიო" ატრიალებდა; რამდენიმე თვის წინათ ავტორმა თემა ახლებური ინტერპრეტაციით დაამუშავა (განსხვავებული ჰარმონიით, ცვლილებაა ტექსტშიც) და მასზე კლიპის გადაღებაც გადაწყვიტა. ვიდეორგოლი საკმაოდ ადრე უნდა დამზადებულიყო, მაგრამ, მოგეხსენებათ, დამოუკიდებელი მუსიკოსები ასეთი წამოწყებების თანმხლებ პრობლემებს ადვილად ვერ უმკლავდებიან. "თავიდან ამ სიმღერაზე კლიპი სხვაგვარად მესახებოდა. მინდოდა, გადამეღო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მარტო ვერ გავწვდებოდი სამუშაოს. ამიტომ, გადავწყვიტე ანიმაციური კლიპი შემექმნა, მარტოს ეს უფრო გამიიოლდებოდა", - ამბობს სიმღერის ავტორი გიგა მიქაბერიძე. ასე შეიქმნა ეს ანიმაციური კლიპი.

ვიდეორგოლის დამზადებას ორთვენახევარი დასჭირდა და მუსიკოსისთვის, მართლაც, შედარებით იოლი აღმოჩნდა, თუ არ ჩავთვლით, რომ მას საამისოდ კომპიუტერული გრაფიკის სათანადო დონეზე შესწავლა მოუხდა. სცენარის იდეა, რეჟისურა და კომპიუტერული დამუშავება მუსიკოსს ეკუთვნის. კლიპის დამზადებაში მას მხოლოდ მხატვრები - ირაკლი ალავერდაშვილი და თათა იობიძე, დაეხმარნენ. ასე რომ, კლიპიც ("სხვა პოეტი ვერ მოგიძღვნის") და, საერთოდ, მუსიკოსის მთელი რეპერტუარი, ავტორის სახლშია გაკეთებული.

გიგა სამომავლო გეგმებზე ერთგვარი სიფრთხილით საუბრობს, რადგანაც რეალურ პირობებში უჭირს რაიმეს დაგეგმვა... და მაინც, უახლოეს ხანში მუსიკოსი დუეტის ჩაწერას აპირებს; გიგა მიქაბერიძესთან ერთად ერთ-ერთი ტელეწამყვანი ამღერდება. ამის შესახებ მეტად აღარ დავკონკრეტდებით და მუსიკოსის მორიგ პროექტს მოულოდნელობის ეფექტს არ დავუკარგავთ.

## კალენდარი

### 1 აპრილი



ფრანგი მწერალი, ანტუან ფრანსუა დ`ეკზილ პრევო (1697-1763), ლიტერატურის ისტორიაში რომან "კავალერ დე გრიესა და მანონ ლესკოს ამბის" ავტორად შევიდა. ჩვეულებრივ, მას აბატ პრევოდ იხსენიებენ ხოლმე.

მომავალმა მწერალმა განათლება იეზუიტებთან მიიღო, თუმცა სამხედრო სამსახურის გამო ორჯერ მოუწია სწავლის შეწყვეტა.

დაახლოებით შვიდი წელი პრევომ ინგლისსა და ჰოლანდიაში გაატარა, ხოლო სამშობლოში დაბრუნებულმა დააარსა ჟურნალი "მომხრე და მოწინააღმდეგე", რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ინგლისის ლიტერატურას ეთმობოდა.

თავად დე კონტის კაპელანობის ჟამსაც პრევო გულისამაჩუყებელი, მელოდრამატული რომანების წერას განაგრძობდა, თან რამდენიმე ჟურნალთან თანამშრომლობდა და ინგლისურ რომანებსაც თარგმნიდა. "მანონ ლესკოს" გარდა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში არცერთი მისი ნაწარმოები არ შესულა.

თავისი რომანის, "დიდებულის ჩანაწერები და თავგადასავლების" დასამთავრებლად ბენედიქტელთა ორდენის წევრი პრევო პარიზის სენ ჟერმენ დე პრეს სააბატოდან გაიქცა. სწორედ ამ რომანის ბოლო ტომი გახლავთ "მანონ ლესკო", უბრალოდ დაწერილი და ვნებით სავსე ამბავი, რომელშიც ცრუ საზოგადოებრივი მორალის მიერ დევნილი ძლიერი, თავისუფალი ადამიანის სიყვარულის ისტორიაა გადმოცემული.

პირველად წიგნი 1731 წელს ჰოლანდიაში დაისტამბა. წიგნი "დიდებულის ჩანაწერების" მეშვიდე ტომის სახით იქნა გამოქვეყნებული, თუმცა მის შესავალში ავტორი თავად აღიარებს, რომ მას "ჩანაწერებთან" არანაირი კავშირი არა აქვს.

ფრანგ მკითხველამდე "კავალერ დე გრიესა და მანონ ლესკოს ამბავმა" მხოლოდ ორი წლის შემდეგ მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ წიგნი რუანში დაბეჭდეს, მის თავფურცელს წარწერა "ამსტერდამი" ამშვენებდა.

მას შემდეგ "მანონ ლესკო" უამრავ ენაზე უთვალავჯერ გამოიცა – ცნობილი მხატვრების მიერ მდიდრულად ილუსტრირებულ წიგნებად თუ მასობრივ, იაფფასიან გამოცემებად, ბიბლიოფილებისთვის განკუთვნილი მცირე ტირაჟებით თუ წინასიტყვაობითა და კომენტარებით შევსებული აკადემიური ტომების სახით... და როგორიც არ უნდა ყოფილიყო თავად წიგნი, ის ყოველთვის – დღესაც – ერთ-ერთ ყველაზე სულშიჩამწვდომ სიყვარულის ამბად რჩება.

"მანონ ლესკოს" ავტორი, **აბატი პრევო**, დაიბადა 1697 წლის 1 აპრილს.

## კითხვარი

# თბილისს სარეველა შეერია

თამაზ ყურაშვილი
*მუსიკოსი*

**1. თქვენი აზრით, რაზეა დამოკიდებული კულტურის აქტივობა, რა არის ყველაზე გამომწვევი (სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან) ფაქტორი კულტურისთვის, რით შეუძლია მას უპასუხოს ამგვარ გამოწვევებს?**

**2. როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა რაიმე ქართულ კულტურაში ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის მიჯნაზე? იქნებ დაგვისახელოთ უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა.**

**3. ამჟამად რას კითხულობთ, რას უსმენთ, რომელ გამოფენას ეწვიეთ ან რომელი სპექტაკლი თუ ფილმი ნახეთ ბოლო დროს?**

1. ჩემი აზრით, კულტურის აქტივობა, უპირველეს ყოვლისა, კულტურის ყველა წარმომადგენლის ცხოვრებაში უნდა იყოს გამოხატული, მის დამოკიდებულებაში საკუთარი პროფესიის მიმართ. ადამიანი, რომელიც თავის პროფესიას არ სცემს პატივს, საქმეშიც უვარგისია. ალბათ, ესაა არაპროფესიონალიზმის მიზეზი; ჩვენს უკულტურობას, დუხჭირი ცხოვრება, საოცარი უსაქციელობაც განაპირობებს. ამას კი ჩვენს ე.წ. მთავრობას, ე.წ. პარლამენტსა და კულტურის სფეროში მოღვაწე პირების პასუხისმგებლობას უნდა ვუმადლოდეთ. ალბათ, ეს იწვევს დღეს კულტურის "აქტივობას". რატომ დაეტყო ჩვენს ქალაქს უკულტურობა? მას სარეველა შეერია. სარეველები კი ჩვენი ქვეყნის უკულტურო, გაუნათლებელი, ერთუჯრედიანი წარმომადგენლები არიან, რომლებსაც ჰგონიათ, რომ რაღაცას წარმოადგენენ, სინამდვილეში ასე არ არის - ისინი მხოლოდ დღეს ცხოვრობენ, ხვალ... ცოტა რადიკალური ვარ, მაგრამ...



**2.** ქართულ კულტურაში არაფერი არ შეიცვლება. ის თავისით ვითარდება - სტიქიურად, ჩვენ საკუთარი ძირძველი კულტურა გვაქვს, რომელიც განვითარების საუკუნოვან ტრადიციას ითვლის. რადგან დღემდე მოვიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს ეს კულტურა. მას მხოლოდ ერთი რამ, ჩვენი დღევანდელი, საოცრად წარუმართველი ქვეყანა ამუხრუჭებს, რომელიც, არ ვიცი, საერთოდ, არის თუ არა უკვე ქვეყანა. უკანასკნელი წლების მნიშვნელოვან მოვლენად რა შემიძლია დავასახელო? მიხარია, რომ ანსამბლ "სუხიშვილების" მსოფლმხედველობა სიახლისკენაა მიდრეკილი და საინტერესო ცვლილებებს გვთავაზობს. მიხარია ანსამბლ "ერისიონის" გამონათება და წარმატება. სიამოვნებით ველი ჩემი ფირფიტების გამოცემას, რომელიც ამ სამი წლის განმავლობაში გამართული, ჩემი ცოცხალი კონცერტების დროს ჩაიწერა.

**3.** რაც შეეხება იმას, თუ რას ვკითხულობ, რას ვუსმენ და ა.შ .- ვკითხულობ ყოველთვის საინტერესო პროზას და პოეზიას; რაც ხელში ჩამივარდება ყველაფერს ვკითხულობ. მე და ჩემს თაობას წიგნების კითხვა ყოველთვის გვიყვარდა. ვუსმენ ყველაზე კარგ მუსიკას, თუ რამ არსებობს; თუ რაიმე კარგი ფილმია, ინტერესი მაქვს რომ ვუყურო, ვნახო და შევიგრძნო ისევე, როგორც ლიტერატურა, მუსიკა და ა.შ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# ჩივაძე გადადგა

## შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებს დაემშვიდობება

აკა ტონია

ყველაფერი ძალიან მოულოდნელად მოხდა: გუშინ, 18 საათსა და 30 წუთზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, ვალერი ჩოლარიამ სასწრაფოდ მიგვიპატიჟა პრესკონფერენციაზე. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე კვირა ქართული ფეხბურთისთვის დაძაბულია და განსახილველიც უამრავი საკითხია, პრესკონფერენციის თემა მაინც უცნობი იყო. ფედერაციის ოფისში ჟურნალისტებს ბატონი ვალერი შეგვეგება, შემდეგ კი გადავინაცვლეთ საკონფერენციო დარბაზში, სადაც სფფ-ს პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანიაც შემოგვიერთდა.

ცოტა ხანში ყველაფერი ცხადი გახდა. "რამდენიმე საათის წინ შევხვდი ბატონ საშა ჩივაძეს, რომელმაც თავისი გადაწყვეტილების შესახებ მამცნო. ბატონი საშა საქართველოს ეროვნული ნაკრების პოსტიდან გადადგა", - გვითხრა ჟორდანიამ. სფფ-ს პრეზიდენტის თქმით, საქართველოს ნაკრები ჩვეული რიტმით ემზადება ხვალინდელი მატჩისთვის. შვეიცარიის წინააღმდეგ გუნდს კვლავ ჩივაძე უხელმძღვანელებს, ამის შემდეგ კი ნაკრებს დაემშვიდობება. მერაბ ჟორდანიამ განაცხადა, რომ, ბატონი საშას თქმით, შვეიცარიასთან მატჩის შედეგი მის გადაწყვეტილებაზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს – მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. "ბატონ საშასთან გადადგომის მიზეზებზე არ გვისაუბრია. შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ ამისთვის საკმარისი დრო გვექნება და ყველაფერს გავაანალიზებთ", - გვითხრა ჟორდანიამ. სფფ-ს პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ჩივაძის შემცვლელზე ფედერაციას ჯერ არ უფიქრია: "ბატონი საშას გადაწყვეტილება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ შემცვლელზე ფიქრის დროც არ გვქონია. ამ თემასთან დაკავშირებით დღეს ვერაფერს გეტყვით. 30 აპრილს რუსეთთან ვთამაშობთ და ახალი მწვრთნელის მოსაძებნად არცთუ ისე დიდი დრო გვრჩება".

გუშინდელი საუბარი ირლანდიასთან მატჩზე მომხდარ ინციდენტსაც შეეხო. თამაშის დროს გულშემატკივრებმა მოედანზე ბოთლები, ხურდა ფული და გახსნილი დანაც კი ისროლეს. მერაბ ჟორდანიას განცხადებით, მომხდართან დაკავშირებით UEFA-ს დისციპლინარული კომიტეტი უახლოეს დღეებში სხდომას მოიწვევს. "მსგავსი ინციდენტი ხშირად ხდება მთელ მსოფლიოში, მაგრამ საქმეს ის ართულებს, რომ გულშემატკივრებმა მოედანზე დანა ისროლეს. სავარაუდოდ, აპრილის პირველ ნახევარში გახდება ცნობილი, თუ რა სანქციებს დაგვაკისრებს UEFA", - განაცხადა ჟორდანიამ. ცნობილია, რომ შაბათის მოვლენების გამო, ჩვენი მომავალი მეტოქე, რუსეთის ნაკრები, კიდევ უფრო დიდი დაჟინებით მოითხოვს, 30 აპრილის მატჩი ნეიტრალურ მოედანზე გაიმართოს. ამ მოთხოვნას რუსები ჯერ კიდევ მაშინ უყენებდნენ UEFA-ს, როდესაც 12 ოქტომბრის


ალექსანდრე ჩივაძე ნაკრებს ემშვიდობება

მატჩისას "ლოკომოტივის" სტადიონზე ელექტროენერგია გაითიშა. მაშინ მერაბ ჟორდანია ამბობდა, რომ უშუქობის გამო არავინ დაგვსჯიდა და ასეც მოხდა. მაგრამ უკანასკნელ მატჩში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სფფ-ს პრეზიდენტი აღარ არის ასე ოპტიმისტურად განწყობილი: "იმის გარდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დიდი ფულადი ჯარიმა დაეკისრება, შესაძლოა, UEFA-მ სხვა სანქციებიც გამოიტანოს. სავსებით მოსალოდნელია, რუსეთის წინააღმდეგ, მართლაც, ნეიტრალურ მოედანზე გვათამაშონ", - განაცხადა ჟორდანიამ.

სფფ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თუ ნეიტრალური მოედანი გადაწყდება, ქართულ მხარეს ჯერ არა აქვს შერჩეული ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზე თამაშიც ჩვენთვის ყველაზე სასურველი იქნება.

ასე რომ, დაველოდოთ UEFA-ს გადაწყვეტილებას. მანამდე კი შვეიცარიის წინააღმდეგ გველის თამაში – უკანასკნელი საშა ჩივაძისთვის...

# რივალდო "ლივერპულზე" ოცნებობს

ადამიანის ყველაზე ცუდი თვისება გაუმაძღრობააო, ტყუილად არ არის ნათქვამი. როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონი რივალდო სწორედ ამ სენით – გაუმაძღრობით და დაუკმაყოფილებლობითაა დაავადებული. ბრაზილიელს არ ჰყოფნის ის, რაც აქვს და მაინცდამაინც ის უნდა, რაზეც ხელი არ მიუწვდება.

წესით, რივალდო უკმაყოფილო არ უნდა იყოს – ბოლოს და ბოლოს, ევროპის ერთ-ერთ გრანდში, სილვიო ბერლუსკონის "მილანში" თამაშობს და დიდ ანაზღაურებასაც იღებს. "მილანი" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტთა შორისაა და, თუ ძალიან მოინდომებს, იქნებ "სკუდეტოსაც" გამოჰკრას ხელი. რივალდოს კი ეს ყველაფერი აღარ აკმაყოფილებს და სურს, პრემიერლიგას გაუსინჯოს გემო.

ბრიტანული გაზეთის "News of the world"-ის კორესპონდენტთან საუბარში რივალდომ განაცხადა, რომ "ლივერპულში" სურს თამაში, რითაც "მილანის" ტიფოზები გააოგნა. "კლუბის არჩევის შესაძლებლობა რომ მქონდეს, "ლივერპულში" თამაშს ავირჩევდი, თუ, რა თქმა უნდა, მერსისაიდელებსაც ენდომებოდათ გუნდში ჩემი აყვანა. ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა "ლივერპულის" მაისურის მორგება და მაიკლ ოუენის გვერდით თამაში. სანამ კარიერას დავასრულებ, ძალიან მინდა, ერთიორი სეზონი პრემიერლიგაში გავატარო. ინგლისურ კლუბებს შორის ყველაზე მეტად "ლივერპული" მხიბლავს", - ამბობს პრემიერლიგაზე მეოცნებე რივალდო.

# შევჩენკო დაშავდა

29 მარტს უკრაინის ნაკრებმა ესპანელებს ორი ქულა აართვა. "მილანის" ფორვარდს ანდრეი შევჩენკოს გოლის გატანით თავი არ გამოუჩენია, მაგრამ აქტიურად უტევდა ესპანელთა კარს, რის გამოც არაერთხელ მოხვდა სტუმართა მცველებისგან. "შევამ" მცირე ტრავმა მიიღო და ახლა, დამქანცველი უქმეების შემდეგ, ცოტა ხნით დაისვენებს.

საერთოდ, "მილანს", ალბათ, გაუმართლა, რადგან ლეგიონერებიდან მხოლოდ შევჩენკო დაშავდა მსუბუქად, დანარჩენები კი იოლად გადარჩნენ. კვლავ მწყობრში არიან რივალდო, რუი კოშტა, იონ დალ ტომასონი და დიდა. შაბათს "მილანი" "პარმას" წინააღმდეგ მართავს ურთულეს მატჩს, რომელსაც მხოლოდ შევჩენკო გამოტოვებს. უკრაინელი ფორვარდი მონაწილეობას ვერ მიიღებს ვერც ამხანაგურ შეხვედრაში, რომელსაც მისი ნაკრები ლატვიელებთან გამართავს.

# ჰიტცფელდი "ბაიერნში" რჩება

ცოტა ხნის წინ "ბაიერნის" ფანებს ლამის გულის შეტევა დაემართათ, როცა გერმანულმა "ბილდმა" გაავრცელა ესპანურ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, ოტმარ ჰიტცფელდთან მოლაპარაკების დაწყება "რეალს" და "ბარსელონას" უნდათო... ეს ჭორები თავად ჰიტცფელდმაც დაადასტურა, - ესპანელებისგან ასეთი წინადადება, მართლაც, მივიღეო. "კატენაჩოს გენერალი" "რეალში", რომელიც "ბაიერნის" დაუძინებელი მტერია? ბავარიელთა ყველა გულშემატკივარი აღშფოთებული იყო – ბოლოს და ბოლოს, "ბაიერნის" ბოლოდროინდელი წარმატებები ხომ, ძირითადად, ჰიტცფელდის სახელს უკავშირდება, რა იქნება "ბაიერნი" თავისი სტრატეგის გარეშე?

ამაზე მიუნხენური კლუბის ბოსებმაც ბევრი იფიქრეს და ჰიტცფელდს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზეს, რაზეც "ბაიერნის" თავკაცს უარი არ უთქვამს. "რეალში" ან "ბარსელონაში" წასვლას და ყველაფრის თავიდან დაწყებას გერმანელმა სპეციალისტმა ჩვეულ გარემოში დარჩენა ამჯობინა.

ახალი კონტრაქტით ჰიტცფელდი 2005 წლის ივნისამდე "ბაიერნის" თავკაცი იქნება. დროის ამ მონაკვეთში "ბაიერნი", სულ ცოტა, სამ ტიტულს მაინც მოიგებს. წლეულს ხომ ბავარიელებს ჩემპიონის წოდებას ველარავინ შეეცილება. მომავალ სეზონში კი მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფით დაბრუნებას გეგმავენ.

# "ლაციო" - ორი ახალი ფეხბურთელის მოლოდინში

როცა რომაელთა პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი კლუბის ადმინისტრაციულ დელეგატს ლუკა ბარალდის ბარსელონაში უშვებდა გაისკა მენდიეტასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ბარალდი ბრაზილიელ ფაბიო როშემბაკსაც გამოაყოლებდა ხელს.

ბასკი გაისკა მენდიეტა, რომელიც "ლაციოში" მაინცდამაინც არ ბრწყინავდა, "ბარსელონაში" კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, რის გამოც კატალონიელებმა მისი კლუბში დატოვება გადაწყვიტეს და "ლაციოს" ფულის ნაცვლად 21 წლის ფაბიო როშენბაკსაც სთავაზობს.

ბრაზილიელის გარდა, "ლაციოში", შესაძლოა, სტივ მაკმანამანიც გადავიდეს. "რეალს" ინგლისელი თავდამსხმელის შენახვა ძალიან ძვირი უჯდება. მაკმანამანს "სამეფო კლუბთან" 2004 წლის ივნისამდე კი აქვს კონტრაქტი, მაგრამ მადრიდელთა თავკაცი ვინსენტე დელ ბოსკე ფეხბურთელს აშკარად არ სწყალობს. მაკმანამანი ახალ მთვარესავით იშვიათად თუ გაიელვებს ხოლმე "რეალის" რიგებში, ფლორენტინო პერესი კი ინგლისელს ყოველწლიურად სამ მილიონ ევროს უხდის.

# "ლიდსის" პრეზიდენტიც წავიდა

ერთ დროს ჩემპიონთა ლიგის აღმოჩენად მიჩნეული "ლიდს იუნაიტედი" ახლა უკვე პრემიერლიგის სატურნირო ცხრილის ფსკერზეა დაშვებული. კლუბის ხელმძღვანელობაც კრიზისის წინაშე დგას. მთავარი მწვრთნელის, ტერი ვენეიბლზის წასვლის შემდეგ, "ლიდსი" პრეზიდენტმაც დატოვა.

ტერი ვენეიბლზი აცხადებდა, გუნდიდან არ წავალ, სანამ პეტერ რიდსდეილი "ლიდსის" პრეზიდენტი იქნებაო, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჯერ ერთმა დატოვა კლუბი, შემდეგ კი – მეორემ.

პეტერ რიდსდეილმა კლუბში ჯონ მაკენზი შეცვალა. ის "ლიდსისთვის" საკმაოდ კარგი პრეზიდენტი იყო. მისი მმართველობის ხანაში იორკშირელები ევროასპარეზზე წარმატებით გამოდიოდნენ. 2001 წელს დევიდ ოლირის გუნდი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც კი გავიდა. შემდეგ დაიწყო კრიზისი, რაც დღემდე გრძელდება და რასაც რიდსდეილის მოღვაწეობაც შეეწირა.

# შვეიცარიული "ნატი" საქართველოს ნაკრებისა და შიშის წინააღმდეგ

## შვეიცარიელებს ქართველი გულშემატკივრების ეშინიათ

ნინო პირველი

ირლანდიასთან გამართული სამარცხვინო მატჩის შემდეგ ქართველ ფანებს ევროპაში "ველურების" მეტად არასახარბიელო იარლიყი მიეკერათ. ბოთლები და კოკა-კოლას ქილები ვის არ უსვრია მოედანზე – იტალიის ჩემპიონატში თუ ინგლისურ პრემიერლიგაში ლამის ყოველი მეორე მატჩი გულშემატკივართა აგრესიული გამოხდომების ფონზე მიმდინარეობს, მაგრამ იმდენად ორიგინალური არავინ ყოფილა, რომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელისთვის გაშლილი დანა ესროლოს. ასეთი იშვიათი იდეები მხოლოდ ქართველებს თუ მოუვიდოდათ თავში...

ამ მატჩის შემდეგ შვეიცარიულ პრესაში ერთი ამბავი ატყდა: რა გვეშველება, ჩვენი "ნატი" (ასე უწოდებენ ეროვნულ ნაკრებს შვეიცარიაში) ველურებთან სათამაშოდ მიდის. "თითქოს ის არ კმაროდეს, რომ საქართველო ომის ზონასთან ახლოს მდებარეობს, ახლა ამას გულშემატკივართა აგრესიაც დაემატა. როგორ უნდა ითამაშონ ფეხბურთელებმა ასეთ სიტუაციაში? რაზე იფიქრონ – გამარჯვებაზე, თუ იმაზე, რომ ტრიბუნებთან ახლოს არ გაირბინონ, რადგან, შესაძლოა, ეს მათი სიცოცხლისთვის სახიფათოც კი აღმოჩნდეს?" – წერდა გუშინ შვეიცარიული გაზეთი "ბლიკი".

მოდი და ნუ გაბრაზდები! აქამდე საქართველოს ნაკრებს მხოლოდ მარად უიღბლოს იმიჯი ჰქონდა. მოწინააღმდეგეები შეთქმულებივით ერთ რამეს გაიძახოდნენ - ქართველებს კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიგებთო. და ასრულებდნენ კიდეც დანაპირებს. ახლა კი საქართველო გახდა ის ქვეყანა, სადაც სტუმარ ფეხბურთელებს უნდა ეშინოდეთ, ტრიბუნებიდან ვინმემ დანა არ გვესროლოსო. "რა დრო დაგვიდგა, რა ზნისანი ვართ!" - როგორც ციცერონი იტყოდა...

შვეიცარიელებს ჩვენი ეშინოდათ. და არა მარტო ფეხბურთელებს. შიში ადვილი ამოსაკითხი იყო იმ მცირერიცხოვანი, წითელ მაისურებში გამოწყობილი გულშემატკივრების სახეებიდანაც, რომლებმაც გაბედეს და "ველურების ქვეყანაში" ჩამოჰყვნენ თავიანთ "ნატის". აეროპორტში სტუმრებს სულ რამდენიმე ჟურნალისტი დახვდათ. ირლანდიელებისგან განსხვავებით, შვეიცარიელებთან გასაუბრებით დიდად არავის მოუკლავს თავი. ორი ტელეკამერა, რამდენიმე მიკროფონი და, ძირითადად, სპორტული გაზეთების წარმომადგენლები. საქართველოში ილუზიების უკვე აღარავის სჯერა, მათ შორის, არც ეროვნული ნაკრების აწ უკვე ექს-თავკაცს ალექსნადრე ჩივაძეს, რომლის სანაკრებო კარიერაც ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ დასრულდა. მაგრამ ეს უკვე ცალკე განსჯის საგანია...


შვეიცარიის ნაკრები თბილისის აეროპორტში

შვეიცარიელები მხნედ, გაბედული ნაბიჯით გამოვიდნენ აეროპორტიდან. ფეხბურთელებს ერთნაირი ნაცრისფერი კოსტიუმები ეცვათ და ძნელი გასარჩევი იყო, ვინ ეკუთვნოდა ახალგაზრდულ ნაკრებს და ვინ – მთავარ გუნდს. ოცდაერთწლამდელებს, ალბათ, არც ჰქონდათ ჟურნალისტთა ყურადღების იმედი. ისინი სწრაფად გამოვიდნენ გარეთ და პირდაპირ ავტობუსს მიაშურეს. გამოველაპარაკე ერთ-ერთ დაბნეულსახიან ქერათმიან ფეხბურთელს, რომელმაც თავაზიანად ამიხსნა, რომ ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო – ვინმე სახელგანთქმული არ გეგონოთო. რაიმე განსაკუთრებული არ უთქვამს, უბრალოდ, განაცხადა, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოვიგებთო.

ძირითადი "ნატის" წევრებიც ასე ფიქრობდნენ. გრძელთმიანი ჰაკან იაკინი ენაწყლიანი აღმოჩნდა. დაუზარებლად ილაპარაკა საქართველო-ირლანდიის მატჩის შესახებ, ქართველებთან ნათამაშევი პირველი შეხვედრაც გაიხსენა და იმედი გამოთქვა, მეორე თამაშსაც ადვილად მოვიგებთო. საჩოთირო საკითხზე საუბარს კი დელიკატურად აარიდა თავი – არ უნდოდა, რამე ეთქვა იმ გულშემატკივარზე, ვინც მეტოქეს ბოთლებს და დანებს ესვრის... იაკინმა ჩვენ არაფერი გვითხრა ამ თემის ირგვლივ, მშობლიური "ბლიკის" კორესპონდენტს კი განუცხადა, საქართველოს მსგავს ქვეყნებში დანების სროლა სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს შესანიშნავად მესმისო. ესმის, რადგან წარმოშობით თურქია და, გარეგნული კოპწიაობის მიუხედვადად, სულის სიღრმეში ისიც ქართველებივით "ველურია". ამიტომაც არ უკვირს მოედანზე დანების ტრიალი, მაგრამ ქართველების თანდასწრებით მაინც ვერ გაბედა ექსტრემისტი ფანების გაკრიტიკება. რა გასაკვირია – ეშინია, თავადაც ირლანდიელთა ბედი არ გაიზიაროს...

"ნატის" თავკაცმა იაკობ კუნმა ჟურნალისტების თავდასხმას ვაჟკაცურად გაუძლო და მოთმინებით უპასუხა თითქმის ყველა ბანალურ კითხვას: რა გეგმები გაქვთ, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს მატჩი, თქვენი აზრით, ქართველი ფეხბურთელებიდან ვინ არის საუკეთესო, ელოდით თუ არა, რომ ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდით და ასე შემდეგ. იაკობ კუნს ხან ინგლისურად უხდებოდა კითხვებზე პასუხის გაცემა და ხან – გერმანულად. ამის მიუხედავად, ოდნავაც არ უგრძნობინებია ჩვენთვის, რომ უჭირდა ერთი ენიდან მეორეზე გადახტომა... "საქართველოში ჩვენ თითოეული ქულისთვის ვიბრძოლებთ. ამ მატჩში მიღწეული ნებისმიერი შედეგი – გამარჯვებაც და ფრეც – ჩემთვის დადებითი იქნება. რაკი ალბანეთ-რუსეთის მატჩი ასეთი მოულოდნელი ანგარიშით დასრულდა და შვეიცარიის ნაკრები პირველ ადგილზე აღმოჩნდა, ახლა ყველა მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანია. ვერ ვიტყვი, რომ პირველი მატჩი ქართველებს იოლად მოვუგეთ, პირიქით, - ჩვენი მესამე და მეოთხე გოლი ალოგიკურადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. მაშინ ნამდვილად გაგვიმართლა. ვისურვებდი, რომ ახლაც ასე იყოს. ქართველი ფეხბურთელებიდან ვიცნობ გოჩა ჯამარაულს. კარგი ფეხბურთელები არიან დემეტრაძე, ქინქლაძე და ნემსაძე. მათ წინააღმდეგ სიფრთხილეა საჭირო", - განაცხადა შვეიცარიელთა ხელმძღვანელმა.

იმაზე კი არაფერი უთქვამს, მთელ შვეიცარიას იმედი რომ ჰქონდა, UEFA საქართველოს ერაყთან სიახლოვეს გაითვალისწინებს და მატჩს სადმე სხვაგან გამართავსო. არც სტადიონის დისკვალიფიკაციაზე უსაუბრია, რაც, ალბათ, ნამდვილად გვემუქრება ირლანდიელებთან გამოვლენილი ვანდალიზმის შემდეგ. მოკლედ, შვეიცარიელები ჯენტლმენები აღმოჩნდნენ, არაფერი გვაგრძნობინეს. გულის სიღრმეში კი, ალბათ, ყველა ქართველი ბარბაროსი ჰგონიათ და, ერთი სული აქვთ, როდის დააღწევენ თავს აქაურობას...

# რუსები საქართველოსთან განეიტრალებას ითხოვენ

*საქართველო-ირლანდიის დაპირისპირებამ რუსებს სალაპარაკო მისცა. ჩრდილოელი მეზობლებისთვის ერთგვარ კატალიზატორად იქცა ინციდენტი სახელწოდებით: ვინ გაარტყამს დანას კევინ კილბეინს. რუსებს არც აქამდე ვეხატებოდით გულზე. ისინი ყველანაირად ცდილობენ, 30 აპრილის საქართველო-რუსეთის მატჩი სადმე სხვაგან, საქართველოს ფარგლებს გარეთ, ნეიტრალურ ტერიტორიაზე გაიმართოს. UEFA-ს მოხელეებს კი ისე აჩვენებენ თავს, თითქოს თბილისის ხსენებაზე გული უკანკალებდეთ. თუმცა, ეს ყველაფერი ჩვენივე ბედოვლათობის ბრალია.*

გიგა გურასაშვილი

თუ აქამდე ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრის არსენალში "ბორჯომისა" და "კოკა-კოლას" ბოთლები, ხურდა ფული და სანთებელა, შიგადაშიგ კი ტუალეტის ქაღალდის რულონი შედიოდა (აღარაფერს ვამბობ თანამდევ სართულებიან მამაპაპურ გინებაზე), ირლანდიელებთან მატჩში "ლოკომოტივის" ტრიბუნიდან მოედნისკენ დანამაც გაიშხუილა. ბედად, "გულშემატკივარმა" მიზანს ააცილა, თორემ კევინ კილბეინს თბილისური დაპირისპირება, ალბათ, არასდროს დაავიწყდებოდა.

საქართველოს ნაკრებს კი საკუთარი გაჭირვებაც ეყოფა. გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო, ნათქვამია. სწორედ ასეთ დღეში ვართ. ნაკრები უთავკაცოდ დარჩა, ყოველ შემთხვევაში, შვეიცარიელებთან მატჩის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძე მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგება. ისე კი, რა მნიშვნელობა აქვს. ერთი ანეკდოტისა არ იყოს, ტროლეიბუსი დაბმული რას დადის და, რომ აუშვა, რას იზამსო. ისეა ჩვენი საქმე. ოღონდ – პირიქით. მწვრთნელის ხელში რას აკეთებდა ნაკრები და მერე რა იქნება, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს. ამასობაში კი ირლანდიასთან მატჩი "მოძმე" რუსებისთვის კატალიზატორად ქცეულა. უკვე დაჟინებით მოითხოვენ, 30 აპრილის საქართველო-რუსეთის მატჩი ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადაიტანონ. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა მზრუნველობითაც გამოიჩინეს თავი – სხვებსაც მოუწოდებენ, საქართველოს ტერიტორიაზე მარტო რუსეთის კი არა, ნებისმიერი გუნდის მიღება სახიფათოაო. მაგალითად კი ოქტომბრის ჩაბნელებული მატჩი და სხვა "ღირსშესანიშნაობები" მოჰყავთ. ფაქტია, მათი რეაქცია ირლანდიასთან მატჩმა უფრო გაამწვავა.

რუსეთის ფეხბურთის კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა თრაპ-რაჟუ-თან საუბრისას აღნიშნა კიდეც, რომ UEFA-ს გენერალურ მდივანთან გერჰარდ აიგნერთან გაგზავნილ წერილში საქართველო-რუსეთისა და შაბათს, საქართველო-ირლანდიის მატჩზე განვითარებული მოვლენებით შეშფოთებულია. რუსეთის ფეხბურთის მოხელეებს იმედი აქვთ, რომ UEFA-საც ადეკვატური რეაქცია ექნება.

"ვიაჩესლავ კოლოსკოვთან მოთათბირებისას გადავწყვიტეთ, UEFA-სთვის მიგვემართა. იქნებ, შეწუხდნენ იმით, რაც საქართველოში ხდება. ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში, უბრალოდ, შეუძლებელია. ალბათ, საქართველოს გარკვეულ სანქციებს დააკისრებენ. სავსებით შესაძლებელია, ევროპის მაღალჩინოსნებმა მოაწყონ საგანგებო სხდომა, სადაც საკითხს განიხილავენ", - აცხადებს როდიონოვი.

ბუნებრივია, გულხელდაკრეფილნი არც UEFA-ში არიან. საქართველო-ირლანდიის მატჩის კომისრის მიერ შეფებისთვის წარდგენილ მამხილებელ დოკუმენტში თუ მოხსენებაში, დანასთან ერთად, ჩვენთვის ბევრ სხვა არასასიამოვნო ფაქტზეცაა გამახვილებული ყურადღება. UEFA -მ საკუთარი დისციპლინარული გამოძიებაც წამოიწყო.

"UEFA ირლანდიასთან მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით საკუთარ დისციპლინარულ გამოძიებას იწყებს, - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის მაიკ ლის განცხადებას ვიგებთ UEFA -ს ოფიციალურ საიტზე. – უკვე შევისწავლეთ არბიტრის მოხსენება, რომელიც დანასთან დაკავშირებულ ეპიზოდს უკავშირდება. ამიტომაც ამ საქმეს, შემდგომი შესწავლის მიზნით, დისციპლინარულ ინსტანციას გადავცემთ".

ფეხბურთი

# კობი კუნი: "ჩივაძის გადადგომა საწყენია, მაგრამ რას იზამ, ასეთია მწვრთნელის ხვედრი"

### შვეიცარიის ნაკრებმა გუშინ საღამოსვე ივარჯიშა


შვეიცარიის ნაკრები გუშინდელ ვარჯიშზე


კობი კუნი

აკა ტონია

შვეიცარიის ნაკრები, რომელიც თბილისში საღამოს ხუთ საათზე ჩამოვიდა, სასტუმრო "მერიოტში" დაბინავდა და რვის ნახევარზე სავარჯიშოდ უკვე "ლოკომოტივის" სტადიონზე მივიდა. სტადიონზე, რომელზეც დირექციის წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების გარდა არავინ იყო, შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელები, მწვრთნელები და შვეიცარიელი ჟურნალისტებიც გამოცხადდნენ. ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა სასწრაფოდ გამოიცვალეს და მოედანზე გავიდნენ. თან ისიც თქვეს, გასახდელში ძალიან ციოდაო. სტადიონის დირექტორმა, ბატონმა გივიმ, წინადადება შემოიტანა, გასახდელი ელექტროქურებით გაეთბოთ. ერთი სიტყვით, შვეიცარიელთაგან გუშინ არავინ გაციებულა და ხვალინდელ მატჩში სრული შემადგენლობით წარუდგება ქართველ გულშემატკივარს. სიტყვამ მოიტანა და იმასაც გაცნობებთ, რომ ჩვენს სტუმრებს მხოლოდ ორი ფეხბურთელი დააკლდებათ – "ლივერპულის" მცველი ანშო და მეკარე შტილი. დანარჩენები მწყობრში არიან.

ვარჯიშის დაწყებისთანავე, შვეიცარიელთა თხოვნით, ჟურნალისტებმა მინდორი დავტოვეთ და ვარჯიშს ტრიბუნებიდან ვადევნებდით თვალს. მოედანზე დარჩენის უფლება მისცეს მხოლოდ ტელეოპერატორებსა და ფოტოკორესპონდენტებს. იმის მოლოდინში, რომ ვარჯიშის დასრულების შემდეგ შვეიცარიის ნაკრების წარმომადგენლებთან შევძლებდი გასაუბრებას, რამდენიმე შვეიცარიელი კოლეგაც გავიცანი და დახმარების ხელიც გავუწოდე. ჟურნალისტებმა იმ ადგილის ჩვენება მთხოვეს, რომელზეც დაეცა ტრიბუნებიდან ნასროლი დანა. ციურიხის გაზეთ Blick-ის რეპორტიორმა, მაქს კერნმა, თავის ფოტოგრაფს ეს ადგილი რამდენჯერმე გადააღებინა და დიდი მადლობა გადამიხადა. მკითხეს, იქნებოდა თუ არა გაძლიერებული დაცვა. შემდეგ გადავიდნენ საქართველოში არსებულ კორუფციაზე, პანკისზე, აფხაზეთზე. მოკლედ, ჩემი და შვეიცარიელი ჟურნალისტების საუბარი ერაყის ომსაც კი შეეხო. მეც ვისარგებლე და ჩემი კოლეგების მატჩისწინა განწყობით დავინტერესდი. "მას შემდეგ, რაც ირლანდიელებს გასვლითი მატჩი მოვუგეთ და ალბანელებმა რუსებთან გაიმარჯვეს, შვეიცარიაში, მართლაც, დიდი ოპტიმიზმია", - მითხრეს მათ. იმის გამო, რომ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშებში თითქმის ყველა ჩვენი მეტოქე 3 ქულას გეგმავს, მეგონა, შვეიცარიელებიც სწორედ ასეთ განწყობაზე იყვნენ. "ცხადია, მოგება გვინდა, მაგრამ რომ იცოდეთ, შვეიცარიაში არავინ ფიქრობს, რომ საქართველოს აუცილებლად მოვუგებთ. სურვილი ერთია, მაგრამ დარწმუნებული არავინაა", - მიპასუხეს ჟურნალისტებმა. ესეც კარგია, რომ დარწმუნებული მაინც არ არიან...

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელმა, კობი კუნმა ვარჯიში ერთ საათში დაასრულა. აღმოჩნდა, რომ ბატონმა კუნმა არაფერი იცოდა ალექსანდრე ჩივაძის გადადგომის შესახებ. ეს ამბავი მან სწორედ ჩემგან შეიტყო. "ძალიან დასანანია, მართლაც გული მწყდება. მე და ბატონ ჩივაძეს დიდი ხნის ურთიერთობა გვაკავშირებს. ჯერ კიდევ 30 წლის წინ შევხვდით ერთმანეთს მოედანზე. მას შემდეგ ხშირად ვხვდებოდით", - მითხრა კობი კუნმა. - "რას იზამ, ასეთია მწვრთნელის ხვედრი – თუ არ გაქვს შედეგი, უნდა წახვიდე".

როდესაც საქართველო ბაზელში პირველად შეხვდა შვეიცარიის ნაკრებს, მატჩის შემდეგ ბატონი საშა იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ პრესკონფერენციაზე აღარ დარჩა და კობი კუნი მარტო შეატოვა ჟურნალისტებს. ამის შემდეგ სულ მაინტერესებდა, რას იფიქრებდა შვეიცარიელთა მწვრთნელი. კობი კუნთან ხელმეორე შეხვედრით ვისარგებლე და მას ბაზელში მომხდარი ფაქტი გავახსენე. "არა, არა, რას ბრძანებთ, ჩივაძის საქციელი სრულიად არ მწყენია. მაშინ მე მას გავუგე. მეც ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში, როდესაც არავის დანახვა არ მინდოდა", - მითხრა ბატონმა კუნმა და ერთი დღით დამემშვიდობა. დღეს, დილის 11 საათზე, შვეიცარიის ნაკრები პრესკონფერენციას გამართავს სასტუმრო "მერიოტში", ხოლო საღამოს კვლავ ჩაატარებს ვარჯიშს "ლოკომოტივის" სტადიონზე.

იმედია, შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ ხვალინდელ მატჩში საქართველოს ნაკრები ისეთ შედეგს მიაღწევს, რომ ბატონი საშა ჩივაძე პრესკონფერენციის გუნებაზე იქნება და კობი კუნს მეორედ არ დატოვებს მარტო.

# ფრანც ბეკენბაუერი: "ეროვნულ ნაკრებში ბალაკი შეუცვლელია"

### იმედგაცრუებული გერმანელები რუდი ფიოლერის გუნდს ჯგუფში ჩარჩენას უწინასწარმეტყველებენ

ნინო პირველი


ფრანც ბეკენბაუერი

შაბათს გამართულმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მორიგმა მატჩებმა მხოლოდ ქართველი ან რუსი გულშემატკივრები როდი დატოვა გულნატკენი და იმედგაცრუებული. თავიანთი ეროვნული ნაკრებებისგან სასურველი შედეგი ვერც ესპანელმა ფანებმა მიიღეს, ვერც ჰოლანდიელებმა და ვერც გერმანელებმა. ბელგიაში ლამის გლოვა გამოცხადდა ხორვატიაში დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ. მუნდიალზე ყველაზე სწრაფად მოხვედრილმა პოლონეთის ნაკრებმა კი მხოლოდ ნულოვან ფრეს მიაღწია აშკარად პროგრესის გზაზე შემდგარ უნგრელებთან. მოკლედ, შაბათის მატჩების უმეტესობა მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ლოგიკური იყო მხოლოდ იტალიის, საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებების წარმატება.

29 მარტს ორი ქულის დაკარგვა ყველაზე მტკივნეულად გერმანიაში განიცადეს. ეს, ალბათ, არც არის გასაკვირი. სხვა თუ არაფერი, რუდი ფიოლერის გუნდი მუნდიალის ფინალისტია და ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ მოხვედრა გერმანელებისთვის, უბრალოდ, პრესტიჟის საკითხია. რატომ უნდა ამთავრებდეს მატჩს ფრედ ლიტველებთან ის ნაკრები, რომელსაც სულ ერთი წლის წინ მსოფლიო ჩემპიონატის მოგებაზე ჰქონდა პრეტენზია?

მუნდიალზე მიღწეული წარმატების გამო გერმანელი ფანები ეიფორიაში იყვნენ. გუნდი, რომლისგანაც არავინ არაფერს ელოდა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე პლეი-ოფიდან მოხვდა და რომლის თავკაციც მოკრძალებით ამბობდა, მეოთხედფინალში მაინც თუ გავედით, თავს ბედნიერად ჩავთვლიო, უეცრად ყველა ფავორიტზე ძლიერი აღმოჩნდა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს მაშინ, როცა მუნდიალის მთავარი ფავორიტები – საფრანგეთი და არგენტინა ჯგუფში ჩარჩნენ, უძლიერესი შემადგენლობით დაკომპლექტებული იტალიის ეროვნული გუნდი კი მერვედფინალიდან გამოვარდა. უვარსკვლავებო, უპრეტენზიო გერმანიის ნაკრებმა ყველა გააოგნა. როგორ მოხდა, რომ გერმანელები, რომელთაც გუნდში მხოლოდ ორი ტოპფეხბურთელი ჰყავდათ, ფინალში გავიდნენ? ვინ განაპირობა ბუნდესნაკრების ასეთი საოცარი წარმატება? როგორც შემდეგ გაირკვა, ამ საოცრების შემოქმედი იყო ორად ორი კაცი – ნაკრების მეკარე და კაპიტანი ოლივერ კანი და გუნდის ლიდერი მიხაელ ბალაკი. სწორედ ეს ორი ფეხბურთელი წარმართავდა ნაკრების თამაშს. გერმანელთა ფინალში გასვლაც მათი დამსახურება იყო. ჩემპიონის ტიტულზე მეოცნებე ოლივერ კანი ისე საიმედოდ იცავდა გერმანელთა კარს, რომ ფინალამდე მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გაშვებული, მიხაელ ბალაკი კი შეუდარებელი იყო მოედნის ცენტრშიც და თავდასხმაშიც. ნაკრები სწორედ მისი გოლების წყალობით ამარცხებდა მოწინააღმდეგეებს. ბალაკი და კანი – ორკაცა გუნდი! ფინალში ბალაკს დისკვალიფიკაცია ჰქონდა, კანს კი – ხელის ტრავმა და ბუნდესნაკრები უტიტულოდ დარჩა. გერმანელები პირველად დამარცხდნენ და ეს მარცხი ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდა.

დრო გავიდა. ეიფორია დაცხრა. ბურუსი გაიფანტა. ფეხბურთელებს გმირის შარავანდედი ნელ-ნელა შემოაცვდათ და ყველამ დაინახა, რომ რუდი ფიოლერს ერთი ჩვეულებრივი გუნდი ჰყავდა - საშუალოზე ოდნავ უკეთესი. იმდენად ჩვეულებრივი, რომ, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, თუ გერმანელ გულშემატკივრებს ისევ მოუწევდათ ნერვიულობისგან ფრჩხილების კვნეტა, ვაითუ, ჯგუფში ჩავრჩეთო, არც პლეი ოფში ოფლის დაღვრა გააკვირვებდა ვინმეს. ამ საშუალო დონის გუნდმა შაბათს საკუთარ მოედანზე ლიტველებს ვერ მოუგო, რადგან მიხაელ ბალაკს ტრავმა ჰქონდა და ვერ თამაშობდა. ბალაკი გერმანიის ნაკრებისთვის შეუცვლელი აღმოჩნდა...

ეს ფრე გერმანელებისთვის მეტისმეტად მტკივნეული იყო. უცებ ყველას დაეკარგა იმედი, რომ ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მოხვდება. რადიკალურად განწყობილი კრიტიკოსები იმასაც კი ამბობენ, ფიოლერის გუნდი მეორე ადგილსაც ვერ ეღირსებაო. ფრანც ბეკენბაუერი მთლად წყალს არ უწურავს ბუნდესნაკრებს, თუმცა, ძალიან გაბრაზებულია ფეხბურთელების თამაშის გამო. "ამ მატჩის შემდეგ ნაკრებისთვის მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თქვენთვის ჩვეულ გარემოში!" ისევ წაბორძიკება, ისევ წარუმატებლობა და ეს ჩვენთვის, სამწუხაროდ, ნორმალური მდგომარეობაა. ახლა ხომ ყველასთვის ცხადია, რომ მუნდიალი გამონაკლისი იყო. ჩვენ მხოლოდ ერთი მაღალი დონის ფეხბურთელი გვყავს მოედნის ცენტრში – მიხაელ ბალაკი. "ბაიერნში" მისი შეცვლა პრობლემა არ არის, იქ ოტმარ ჰიტცფელდს სხვა კარგი ფეხბურთელებიც ჰყავს, რუდი ფიოლერს კი, სამწუხაროდ, - არავინ. გერმანიის ნაკრებისთვის ბალაკი შეუცვლელია, შეუცვლელია საჭირო მომენტში გოლის გატანის ის საოცარი უნარი, რამაც ჩვენ მუნდიალის ფინალში გაგვიყვანა. თუმცა, ლიტვა ის მეტოქეა, რომელსაც საკუთარ მოედანზე აუცილებლად უნდა მოუგო, ბალაკის გარეშეც კი. ჩვენ დღეს სამი ქულა გავაჩუქეთ. ამ დანაკლისს ყველაზე მწარედ მაშინ ვიგრძნობთ, როცა შოტლანდია გაგვისწრებს. შესაძლოა, შოტლანდიელებს დიდი ვარსკვლავები არ ჰყავთ, მაგრამ მათ აქვთ ბრძოლის სურვილი, რაც ჩვენ გვაკლია. ჯერჯერობით დაკარგული არაფერია, მაგრამ თუ მომავალშიც ასე ვითამაშებთ, ლიტვასთან ფრე მოგონილი იქნება", - ასეთი გახლავთ "კაიზერ ფრანცის" ვერდიქტი.

ფიგურული სრიალი

# მსაჯობა რომ უფრო ობიექტური გახდეს...

ციგურების საერთაშორისო ფედერაციის (ISU) მიერ ფიგურული სრიალისთვის შემოღებული ახალი სამსაჯო სისტემა, რომელიც ბოლო დროს ბევრის უკმაყოფილებას იწვევს, მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სახეს შეიცვლის. ფედერაციაში აცხადებენ, რომ სპორტსმენთა შეფასების ახლებური მეთოდიკა ბევრად გამჭვირვალე გახდება.

"უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგიერთი ცვლილება საჭიროა და ამაზე ვმუშაობთ კიდეც. მსოფლიო ჩემპიონატების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მაყურებელი არ კმაყოფილდება მარტო იმით, რაც ასპარეზობისას ელექტროტაბლოზე ჩანს. მომავალ წელს ქულებთან ერთად ტაბლოზე სხვა სტატისტიკური ინფორმაციაც გამოჩნდება", - ვაშინგტონში ახლად დასრულებულ ფიგურული სრიალის მსოფლიო ჩემპიონატზე განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა, იტალიელმა ოტავიო ჩინკვანტამ.

მართლაც, მას შემდეგ, რაც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე წყვილთა თანრიგის ფინალურმა შეფასებამ სკანდალი გამოიწვია (2002 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ანტონ სიხარულიძისა და ნატალია ბერეჟნაიას ჩემპიონობა ბევრმა უსამართლოდ მიიჩნია – თვლიდნენ, რომ გამარჯვებას იმსახურებდნენ არა რუსები, არამედ ჟამი სალესა და დავიდ პელეტიეს კანადური წყვილი. რედ.), ფედერაციამ მოინდომა, საკუთარი წესებისთვის გადაეხედა. ამჟამად ფედერაციაში გამოსავალს ეძებენ, რათა მომავალში თავიდან აიცილონ გაურკვევლობა და მიიღონ ისეთი წეს-კანონები, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც სპორტსმენებსა და ოფიციალურ პირებს, ისე გულშემატკივარს.

"საჭიროა გამოვაცხადოთ იმ არბიტრთა ეროვნება, რომლებიც ქულებს ანიჭებენ (ბოლო დროს შეფასებები ანონიმურად კეთდებოდა. რედ.). ამის გარდა, სხვა წესების შემოღებასაც ვგეგმავთ, მაგრამ კონკრეტულად რის, ამის თქმა ჯერ არ შემიძლია", - განაცხადა ჩინკვანტამ.

ფორმულა 1

# ძმები შუმახერები და მათი ძაღლები

ალბათ, გახსოვთ, რა გახარებული იყო მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ახალი ძაღლის ყიდვის შემდეგ. იმის მიუხედავად, რომ მიხაელს და კორინას ისედაც ოთხი ძაღლი ჰყავდათ, მათ მაინც საჭიროდ ჩათვალეს, თავიანთი შვილების დასაცავად ბელგიური ნაგაზი, თორმეტი თვის "შივა" შეეძინათ.

ახლა მიხაელს ხუთი ძაღლი ჰყავს, მის უმცროს ძმას კი – არც ერთი, მიუხედავად იმისა, რომ უმცროს "შუმის" და მის მეუღლეს, კორასაც ძალიან უყვართ ადამიანთა ოთხფეხა მეგობრები. რალფს ზალცბურგში ჰყავდა ძაღლი, რომელიც ღამითაც იყეფებოდა, რაც შუმახერების მეზობლებს, ბოლოს და ბოლოს, ყელში ამოუვიდათ. მეზობლებმა არაფრად ჩააგდეს რალფის ავტორიტეტი და შუმახერებს ხუთჯერ დაასხეს თავს პოლიცია, - მშვიდად ძილის საშუალება არა გვაქვსო... რალფსაც რაღა ექნა, ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ, რაკი მეზობლების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო, იძულებული გახდა, ძაღლი ისევ იმ საწვრთნელ სკოლაში ჩაებარებინა, საიდანაც შეიძინა.

ასე დარჩა რალფ შუმახერი უძაღლოდ, რასაც, სხვათა შორის, ძალიან განიცდის და შურით შესცქერის უფროს ძმას, რომელსაც ერთდროულად ხუთი ძაღლი ჰყავს სახლში...

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 21 წლის წინათ...


1982 წლის 8 აგვისტო, ბუენოს აირესი, არგენტინა. ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო არმანდო მარადონა.



„ხალხის პირისპირ" – ეს არის გადაცემა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მიიღებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა მოხვდება სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაავსოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

1

2

3

4

5

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

ჩვენი კითხვის შედეგებისთვის:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება გარემონტებული არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა მეტრო მარჯანიშვილთან ახლოს (25 კვ.მ. 12 კვ.მ. 8 კვ.მ.). ფასი 10 5000 $. შესაძლოა განვადებაც. 94 14 51, 8(99) 51 87 64

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

იყიდება 1100 კვ.მ. აგარაკი ხეხილიანი ეზოთი ასურეთში, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლით, ელექტროგაყვანილობით, წყლით. 93 27 82, 8(93) 20 32 92

იყიდება ფოთში, მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი ციტრუსიანი 600 კვ.მ. ეზოთი, გამოდგება საგარაკედაც. 93 27 82, 8(93) 20 32 92

იყიდება ოროთახიანი ბინა ვორონცოვის მოედანთან, ვარციხის ქუჩაზე. 8500 $. ზალა - 31 კვ.მ. საძინებელი 14 კვ.მ. სამზარეულო 8 კვ.მ. ჰოლი 9 კვ.მ. სარდაფი 28 კვ.მ. 52 24 60 ნინო

სასწრაფოდ იყიდება 2-ოთახიანი მესამე მასივში ბ/აირით და ყველა პირობით. 72 25 03

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის № 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ან იცვლება 104 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ. 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 1000 კვ.მ. ხეხილიანი ნაკვეთი კოჯორში. მიყვანილია ბუნებრივი აირი, წყალი, დენი. 96 99 34 ნინო ან ნუკრი

იყიდება 240 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საზკვების ობიექტის ასაშენებლად მეტრო „ისანთან". 8(99) 18 27 74, 8(77) 40 02 42

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

ქირავდება 3-ოთახიანი ბინა საბურთალოზე, სამედიცინო ინსტიტუტთან, ცხელი წყლით, მუდმივი დენით. ტელ: 35-06-75 (საღამოს საათებში)

## მანქანები

სასწრაფოდ შევისყიდი ა/მანქანა ფორდ-ტრანზიტს წინასწარ 200 $-ის გადახდით. 66 52 30

## სწავლება

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559**

მოვამზადებ დაწყებითი სასკოლო ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში ჯგუფურად და ინდივიდუალურად. 37 13 60, 8(99) 90 27 33

ვასწავლი აკორდეონზე დაკვრას შეღავათიან ფასებში. 8(99) 94 65 75 ვანო

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 38-44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება მაღაზია და საცხობი ერთად ნაძალადევში, ზესტაფონის ქუჩა № 14. ფასი 8 000. 64 87 96

სამრეცხაო სალონი „კრისტალი" გთავაზობს თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა-დაუთოვებას, ქიმწმენდას. სოლოლაკი, მაჩაბლის 1. 98 36 34

ვისესხებ 15 000-ს. 95 29 90

იყიდება სარეცხი მანქანა „ცგპთკა-3". ნახევრად ავტომატური. ფასი 150 ლარი. 61 66 67 ვაჟა

გთავაზობთ სამუშაოს ნებისმიერი ასაკისა და პროფესიის მქონე პირებს. მიმდინარეობს შერჩევა. გასაუბრება უფასოა. 67 64 76, 8(93) 24 62 42 ნინო ჩოხელი

იყიდება ხეხილის ნამყენი ნერგები, ვარდები, ვაზები, ლეღვი, კაკალი, ბროწეული, ფიჭვი, კიპარისი, კედარი, ტუია და სხვა. 69 97 05, 8(99) 16 93 15 ამირანი

ვარ 24 წლის. პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებსაც. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური წარმოების მსხლის ფორმის ბროლის ჭაღი. 61 54 44

იყიდება მშენებარე საწარმოო ბაზა თბილისიდან 35 კმ-ში. მიწა 7 ჰექტარი, შენობა-ნაგებობები - 2500 კვ.მ. 8(93) 17 77 00

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ლაი-ლაიში ჩართული ნომერი. 8(93) 24 58 72

პროფესიული თარგმანი ქართულიდან და რუსულიდან ინგლისურად, აგრეთვე პირიქით. 60 98 90, 8(77) 44 89 04

იყიდება რუმინული კედელი „კრისტინა", კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 78 28 55, 35 38 77, 8(93) 30 40 79

შევიძენ 15 ტონიდან 100 ტონამდე სასწორს ავტომობილებისა და ჯართის ასაწონად. 70 60 99, 8(99) 55 91 70

იყიდება კომპიუტერის კატრიჯები იაფად. ალ. ყაზბეგის ქუჩა № 14. 91 18 81

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა.
ტელ: 22 06 22

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი
პროგრამაშია: ჩაიკოვსკი, ვიტალი, პროკოფიევი
სოლისტი გივი ნასარიძე
დირიჟორი უვე ბერკემერი (გერმანია)
დას: 19:00 სთ

### თეატრები

**პანტომიმის თეატრი**
"კრიმანჭული", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი
**თეატრალური სარდაფი**
"FM 90-იანი ადამიანის ხმა" რეჟ. ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**„ქარვასლა„**
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა
**უნივერსი**
ლეილა შელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა
**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვა
**ეროვნული გალერეა**
მამია მალაზონიას ნამუშევრების პესონალური გამოფენა

### კინოთეატრები

**"ამირანი"**
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 13:00; 19:00; 22:30 სთ; ფასი 6-9 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 17:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
**"რუსთაველი"**
"განძთა კუნძული"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 19:00; ფასი 5 ლარი
**"ელისო"**
"განძთა პლანეტა"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00 ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების კუპონი
[illegible]
1.04.03 N-89

## TV პროგრამა 1 აპრილი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.40 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
19.30 პერეკრესტოკი
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „მეორე ჭეშმარიტება" მთ. რ-ში: მიშელ მერსიე.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „დოყლაპია"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 „ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი „ერთი ცამეტში"
16.50 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.05 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
17.30 საქართველო და გარე სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.35 გასტი-ბუზუ
18.50 „და არს მუსიკა"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 „იპოლიტე"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „ექიეთ ქალი" მე-2 ს.

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „დიდი მამა"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 ქართული მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „დაქირავებული მკვლელები"
01.45 ფილმი ღამურა „ნამდვილი სიყვარული"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
20.45 ოქტაგონი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „შეიძლება"

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 „ბურთი და მოედანი"
10.50 მხ. ფილმი „ანგარებიანი ქორწინება"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „კოსმოსის ტყვეობაში"
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „ერთადერთი გამოსავალი"
22.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „უკანასკნელ მომენტში"
01.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში"
12.30 სალონი
14.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „სალონი"
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 სტუდია „ეკონომისტი"
23.30 მუსიკალური პაუზა
00.00 მხ. ფილმი „განდიდების მანია"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.50, 19.50, 21.55, 23.50 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.45 მხ.ფ. „ბავშვების გადასარჩენად"
14.20 „ტელემეტრი"
14.45 „მსოფლიო რაგბი"
15.10 მხ. ფილმი „გრძელი შაბათ-კვირა"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.15 მხ. ფილმი „ლეგიონი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „საათის მექანიზმი"

### იმედი

17.00, 01.00 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.55 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „ლაბირინთი"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი"
20.30 8 1-2 „ერთხელ ჰოლივუდში"
21.00 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი" მე-3 ნ. 1-ლი ს.
22.45 მძაფრსიუჟეტიანი კინო „:ჟანდარმი და უცხოპლანეტელები" (ლუი დე ფიუნესი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 სათავგადასავლო ფილმი „შერლოკ ჰოლმსი"
10.45 ფილმი-ფანტასტიკა „კაპიტანი ნემო" 2 ს.
12.10 კომედია „მოკლე ვადა"
14.00 დრამა „შეშფოთებული გულები"
16.10 მულტფილმი „ოლივერი და კომპანია"
17.25 ისტორიული ფილმი „ბენ-ჰური" 2 ს.
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30 „Пресс-папье"
19.40 მხატვრული ფილმი „შავი არწივი"
21.20 დოკუმენტური ფილმი
22.50 „Пресс-папье"
23.00 „რა არ ხდება"
23.10 დოკუმენტური ფილმი
00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.10 კომედია „მე-13 ვაგონის საიდუმლო"
03.20 აჭარის სახ. სიმფონიური ორკესტრი და კაპელა
03.40 მხატვრული ფილმი „იდუმალების საფარქვეშ"

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 „ბედნიერი ერი"
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია
10.50 კომპიუტერული თამაშები
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 მობილურები
12.45 „ბიორითმი" .
13.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.15 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა"
19.40 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.05 „პაემანი" - საქართველო - შვეიცარია
21.25 კომპიუტერული თამაშები
21.40 „ღამის კაპრიზი" - თემა
22.40 მობილურები
23.25 „კინოკლუბი" - „დოლარი გვამისათვის".
01.05 აუდიო-ვიდეო-ტელე
01.45 „ბიორითმი" .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 „Тайна Карибского залива"
12.05, 19.30, 01.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Переменка"
13.15 Комедия „СЕМЬ НЯНЕК"
12.35 „Непутевые заметки" с Дм. Крыловым
15.00 „Новый день". „Жестокие боги Вуду"
15.30 „Новый день". „Подводный мир А. Макаревича"
16.20 Док.сериал „Дикие штучки"
16.55 Комедия „СДВИНУТЫЙ" 1-я с.
18.00 „Большая стирка"
21.00, 22.40 „Кривое зеркало". Юмор. программа
22.00, 00.30 Время
01.10 „Новый день". „Короли смеха". В. Полунин.
01.40 „Новый день". „Великие мистификации". К. Прутков.
02.10 Апология
03.10 Сериал „Беглец"
04.05 Комедия „ПОДАРОК СУДЬБЫ"
06.05 „Там, за облаками". Спецрепортаж.
06.25 „Шутка за шуткой".

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Провинциалы"
10.45 Сериал „Кобра. Антитеррор"
11.45, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Колоссальное хозяйство
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15 „АГЕНТСТВО ОДИНОКИХ СЕРДЕЦ"
18.50, 03.50 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 День смеха. Премьера. „Кубок юмора"
00.00 „Вести +"
00.40 Худ. фильм „ЛИФТ УХОДИТ ПО РАСПИСАНИЮ"
02.05 „ДРАКУЛА. МЕРТВЫЙ И ДОВОЛЬНЫЙ"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.25 „Очная ставка"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Кулинарный поединок"
13.05 Сериал „Вечный зов"
14.30 „Снайперы". „Профессия-репортер"
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.30 „Принцип „Домино"
18.10, 21.50 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Док. драма „Преступление и наказание"
20.35, 00.20 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
23.00 „Страна и мир"
23.40 Сериал „Секс в большом городе"
01.30 Гордон 02.30 Сериал „Доктор"
03.15 Ночь

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

# ომი და მოგზაურობის ჟინი

## როგორ შეცვალა ბუშმა მოწოდებით მოხეტიალეთა გეგმები

თამარ ბაბუაძე



თვითმფრინავი ვაშინგტონს ტოვებს

11 სექტემბრის შოკი ამერიკელებმა, როგორც იქნა, დაძლიეს და უფრო თამამად იწყებენ ტურისტულ მოგზაურობებსო, - ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ასე ფიქრობდნენ ევროპული სასტუმროებისა და რესტორნების მფლობელები, გიდები და სუვენირებით მოვაჭრენი. თუმცა, მალევე გაირკვა, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა სადამ ჰუსეინის თვითნებობის ატანა, ბუშმა ერაყს ომი გამოუცხადა და ძლივს შემოტრიალებული სამოგზაურო ბიზნესიც ისევ საფრთხის წინაშე დადგა. უჩვეულოდ დაცარიელდა პარიზში, ეიფელის კოშკის ქვეშ მოთასვებული სუვენირების მაღაზია, ლონდონის ბიგ-ბენსაც მოაკლდა აღტაცებული ტურისტების მზერა...

აი, მაშინ კი, როცა ერაყის ტერიტორიაზე პირველი ბომბები ჩამოყარეს, ბიზნესმენები უკვე ბოლომდე დარწმუნდნენ, რომ დაუცველობის შეგრძნების გამო, სულით ტურისტებიც კი გაურკვეველი ვადით ცლიდნენ ზურგჩანთებს და აეროპორტებისკენ გახედვასაც არ აპირებდნენ. მოკლედ, ასი პროცენტით გამართლდა ძველი ინგლისური ანდაზა და ძალიან შეშლილ დედამიწაზე სახლი ადამიანებისთვის ნამდვილ ციხე-სიმაგრედ იქცა.

თუმცა, ამაში ახალი არაფერია. ტურიზმის ბიზნესს ე.წ. “შავი პერიოდი” ხომ ჯერ კიდევ 1991 წელს, სპარსეთის ყურის ომის დროსაც ედგა. **თუ მანამდე ლონდონს მხოლოდ ამერიკიდან ყოველწლიურად 2 მილიონი მნახველი ჰყავდა, კუვეიტში შეჭრის შემდეგ ტურისტების რიცხვმა ერთი მესამედით იკლო.** მდგომარეობა მთელი სამი წლის განმავლობაში არ გამოსწორებულა. ახლა კი, მოგზაურები უკვე დიდი ხანია, დაუცველობის შეგრძნებით ცხოვრობენ. დედამიწის გარშემო სახეტიალო გეგმები მათ ჯერ კიდევ შარშან, 11 სექტემბერს ბინ ლადენის გამო შეცვალეს.

მაინც რამდენად ვნებს ომი ტურიზმს? ვიტყოდი, პირველ რიგში, ის მოგზაურობისა და მშვიდობის მოყვარულ ადამიანებს ვნებს; მათ, რომლებიც გლობალურად აზროვნებენ, რომელთაც უყვართ დედამიწა და სურთ, მისი აღქმის საშუალება ყოველგვარი ცხელი წერტილებისა და ციდან ბომბების ცვენის გარეშე მიეცეთ. რამდენიმე მათგანს პირადად ვიცნობ. ციურიხელი პიტერ სუტერი ის კაცია, რომელიც დილას ადრე დგება, აწესრიგებს ველოსიპედს (და არა ავტომობილს. მართალია, “ფორდ ფოკუსი” ჰყავს, მაგრამ იშვიათად გამოჰყავს გარაჟიდან, რადგან არ სურს გარემოს დაბინძურების საქმეში საკუთარი წვლილი შეიტანოს) და მეუღლესთან ერთად გეზს ხან სამხრეთ ინგლისური პროვინციების მოსავლელად იღებს, ხანაც – ბუდაპეშტის გარეუბნების დასათვალიერებლად. გზადაგზა რამდენ საინტერესო ადგილს გადაეყრება კიდევ... წარმოიდგინეთ, როგორი ხელის შემშლელი ფაქტორია ასეთი ადამიანისთვის ცხელი წერტილების მომრავლება. ამიტომაც, შედარებით მშიშარებს ნუ გაუკვირდებათ, რომ პიტერ სუტერის მსგავსი ადამიანები ხშირად ივიწყებენ შიშს და სახეტიალოდ საომარ სიტუაციებშიც მიდიან.

წელს ნაწილობრივ სწორედ მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება. როგორც ჩანს, ტურისტებმა დაასკვნეს, რომ ბუშის გეგმებზე დამოკიდებულნი ვეღარ იქნებიან და ისეთ საშიშ რეგიონებშიც კი მოგზაურობენ, როგორიც აზიის ქვეყნებია. განსაკუთრებული სიმამაცით ბრიტანელი მოგზაურები გამოირჩევიან. ნატალი ფილდი, რომელიც ამჟამად დუბაიში ისვენებს, აცხადებს: **“თავს ძალიან უსაფრთხოდ ვგრძნობ. ომზე არავინ ლაპარაკობს. ბრიტანეთში რომ დავრჩენილიყავი, უფრო მეტად ვინერვიულებდი. აქ კი სრული სიმშვიდეა”.** პიტერსფილდელი ახალგაზრდები დროს წითელი ზღვის კურორტზე, შარმ ელ შეიხში ატარებენ. “აქაურობა სავსეა დაცვით. ტურისტების უსაფრთხოებაზე შეიარაღებული პოლიციელები ზრუნავენ. არაფერი გვახსენებს ომს”. არსებობენ კიდევ უფრო გაბედულებიც. მაგალითად, **ლონდონელი დერილ ედვარდსი სააღდგომოდ ირანში მიემგზავრება და სულაც არ ნერვიულობს იმის გამო, რომ ბუშის მიერ გამოცხადებულ “ბოროტების ღერძ” ქვეყნებში ირანიც შედის.** ბრიტანელ ტურისტებს მასპინძლობს ომანიც...



ნიუ-იორკის პრობლემა კვლავაც ტურიზმია



ომმა კუალა ლუმპურში მოგზაურთა რიცხვიც შეამცირა



რიო - შედარებით უსაფრთხო ქალაქი

თუმცა, როგორც ირკვევა, ამერიკელები ნაკლებ მამაცები არიან. მეტიც, დაუცველობის შეგრძნება ყველაზე მეტად სწორედ მათ აწუხებთ. იმ გარემოებამ, რომ ომის ინიციატორი ხშირ შემთხვევაში სწორედ ვაშინგტონია, ამერიკელებს კომპლექსებიც გაუჩინა, დაახლოებით ასეთი: **“მაშინ, როცა მსოფლიო ომის წინააღმდეგია, ჩვენ, როგორც ამერიკელებს, ალბათ, ცუდად მიგვიღებენ”. ამ ეჭვების გამო ამერიკელები ან შინ დარჩენას ამჯობინებენ, ანდა, თუ ევროპაში მოგზაურობა მაინც გარისკეს, თავს კანადელებად ასაღებენ.**

ასე მოიქცნენ ილინოისელი ჯერი და ჯუდი ვუდსებიც. ისინი მილანში ზუსტად ომის დაწყების დღეს ჩავიდნენ. როდესაც ერაყში პირველი ბომბები ცვიოდა, ისინი ლეონარდოს ქმნილებებს ათვალიერებდნენ. **თან, ომისადმი უარყოფითად განწყობილ მილანელებს შორის თავი უსაფრთხოდ და ამაყად რომ ეგრძნოთ, მკერდზე კანადის დროშები მიიმაგრეს.**

ტეხასელმა კრისტალ სამნერმა კი გარისკა და პარიზში მოგზაურობის დროს თავისი წარმოშობა მაინც გათქვა: “**საშინელებაა, როცა იმის გამო გიწევს ბოდიშის მოხდა, რომ ამერიკელი ხარ. თავიდან მეც დავაპირე, რომ თავი კანადელად გამესაღებინა, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, პარიზელები დამერწმუნებინა, რომ ყველა ამერიკელი არ უჭერს მხარს ომს”,** - განაცხადა მან. მაგრამ ეს ტეხასელი გოგონა ამერიკელებს შორის აშკარად გამონაკლისია. საფრანგეთში (ერაყში ომის იდეის ყველაზე დიდი ოპოზიციონერი ქვეყანა) ხომ სულ უფრო ნაკლები ამერიკელი ტურისტი ჩადის. თუ 2002 წელს 1.7 მილიონმა ამერიკელმა მოინახულა პარიზი, 2003 წლის იანვრიდან ამერიკელ სტუმართა რიცხვი კატასტროფულად შემცირდა.

თავადაც მიხვდებით, ვინ იზარალებს ყველაზე მეტად ტურისტების რიცხვის შემცირებით: უდიდესი ევროპული ავია-კომპანია “ბრითიშ ეარვეიზი” უკვე აცხადებს, რომ დააჩქარებს სამი ათასი სამუშაო ადგილის გაუქმების პროცესს, “ეარ ფრანსი” კი შვიდი ახალი ეარბუსის გამოშვებას გაურკვეველი მომავლისთვის გადადებს. უარეს პრობლემებშია ჩაფლული ამერიკული “იუ ეს ეარვეიზ” და “იუნაიტედ ეარლაინზ”. ორივე მათგანის გაკოტრების საქმეს კონგრესი იხილავს. ლონდონელებს კი ჯერაც ვერ დაუვიწყებიათ ტანკებით სავსე “ჰიტროუს” აეროპორტი – ეს მაშინ, როდესაც ბრიტანეთში ტერორისტულ თავდასხმას ელოდნენ. ახლა კი, როგორც “დეილი ტელეგრაფის” ჟურნალისტი ირწმუნება, ლონდონის მთავარ აეროპორტს ვერც იცნობთ: აღარავითარი რიგები სარეგისტრაციო პუნქტებთან და საშინელი სიჩუმე მეორე და მესამე ტერმინალებში.

ასე რომ, ფაქტია: მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ამტკიცებს, ზეცაში თავს უფრო უსაფრთხოდ ვგრძნობთ, ვიდრე ამ შეშლილ მსოფლიოშიო, ტურისტების უმრავლესობა ფრენაზე მაინც უარს ამბობს. ავიაკომპანიებმა კი აღარ იციან, რა ხერხებით შეინარჩუნონ კლიენტები. მაგალითად, “ბრითიშ ეარვეიზმა” გადადო კუვეიტისა და ისრაელის რეისები, შეამცირა დუბაის, ნიუ იორკისა და ჩიკაგოს რეისები (ამ მიმართულებით მგზავრების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა), ახლახან კი კლიენტებს იმის უფლებაც მისცა, რომ 14 თებერვლის შემდეგ დაჯავშნული ბილეთებზე თარიღი და მიმართულება შეცვალონ...

თუმცა, ომი ხომ სიცოცხლის შეწყვეტას არ ნიშნავს. ამიტომაც არც სოლიდურ ყოველდღიურ გამოცემებს გაუუქმებიათ თავიანთი სამოგზაურო განყოფილებები. “ნიუ იორკ ტაიმსი” მსურველებს კოსტა რიკასა და შოტლანდიაში იწვევს, “დეილი ტელეგრაფი” – არაგონსა და კატალონიაში. ისე, იმ მოხეტიალეებს, რომელთაც ყველაზე დიდი ვნება სამხრეთ ამერიკასთან აკავშირებთ, ვაცნობებთ, რომ ამ არეულ მსოფლიოში ყველაზე საყვარელ მიმართულებად სწორედ სამხრეთ ამერიკა რჩება. შტატებიდანაც ტურისტები ეგზოტიკურ აღმოსავლეთზე ოცნებას თავს ანებებენ და მექსიკის სანაპიროებზე გარუჯვასა და კარიბის ზღვაში ბანაობას არჩევენ. თანაც, იქ ხომ ახლა გაგანია სეზონია...

## – კალეიდოსკოპი –

### შვარცნეგერმა ტანკი იყიდა

ჰოლივუდური ბოევიკების გმირებმა, რომელთაც, ცხადია, ერაყის ომი უყურადღებოდ არ დარჩენიათ, სხვა მსახიობებისგან განსხვავებული აზრი გამოთქვეს: ისინი ანგლოამერიკული კოალიციის მხურვალე მხარდამჭერები არიან.

ასე, ბრიუს ვილისმა თეთრ სახლს ტერორისტებთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზა. მას არც არნოლდ შვარცნეგერი ჩამორჩა და ტანკი იყიდა. მართალია, უცნობია, სად აპირებს ამ მანქანით სიარულს – სპარსეთის ყურის რაიონში თუ ქუჩა-ქუჩა. ამჯერად ტანკი მისი რესტორნის, Shatzi-ს გვერდით დგას.

შვარცნეგერის მიერ შეძენილი სატრანსპორტო საშუალება ავსტრიული ტანკის, Pinzgauer-ის ერთ-ერთი სახეობაა – თავად მსახიობი ოდესღაც ავსტრიის ჯარში მსახურობდა.

თურმე, საკუთარ ტანკზე მსახიობი დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა. თებერვალში, ოჰაიოს შტატში ყოფნის დროს, მან სამხედრო მუზეუმში 47 ტონიან ტანკს მიაკითხა, რომელიც მუზეუმს 2000 წელს თვითონ აჩუქა. მსახიობმა მანქანას დაჯავშნულ გვერდზე ხელი მოუსვა და თქვა: “ხომ გითხარი, დავბრუნდებიმეთქი”. მისი ახლობლები ყვებიან, რომ მას შემდეგ მსახიობმა მოიწყინა, მაგრამ ახლა, საკუთარი ტანკის შეძენის შემდეგ, ის კვლავ ბედნიერად გრძნობს თავს.

### ძაღლი თუ კაცი

სალმა ჰაიეკი ამტკიცებს, რომ ძაღლი სჯობია. სალმას ორი ძაღლი ჰყავს და უკანასკნელი ორი წელი ედვარდ ნორტონს ხვდება.

ედვარდი პოპულარული მსახიობია, პირველად დეტექტიურ ფილმში, “პირველყოფილ შიშში” გამოჩნდა ეკრანებზე. ერთობ წარმატებული დებიუტი იყო: “ოსკარზეც” წარადგინეს და “ოქროს გლობუსიც” მიანიჭეს. ამის შემდეგ მან კიდევ რამდენიმე გახმაურებულ სურათში ითამაშა: “ყველა ამბობს, რომ მიყვახარ”, “ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ” და სხვ. როგორც ხედავთ, მთლად აბუჩად ასაგდები კაცი არაა.

მიუხედავად ამისა, მისი “ოსკაროსანი” სატრფო იმეორებს, რომ პარტნიორის არსებობა და სიყვარული სრულიად განსხვავებული ცნებებია. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა: “ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვილაცა ყოველთვის შენს მხარეზე იყოს. ეს ყოველთვის შეყვარებული როდია – ზოგიერთი ადამიანისთვის ძაღლიც კმარა. თან ეს უფრო იოლია, ვიდრე საყვარლის პოვნა”.

და მაინც, თუმცა ორი ძაღლი ჰყავს, სალმა არც ედვარდს ეშვება: “აღმოვაჩინეთ, რომ სიყვარულის დასამტკიცებლად ქორწინების მოწმობა სულ არაა საჭირო”.






# ვან გოგი საჰაერო ბურთით მოგზაურობს


ყველაზე დიდი ავტოპორტრეტი

30 მარტს, ვან გოგის დაბადების დღეზე, დიდი მხატვრის სამშობლოში გამვლელები გაოცებულნი შეჰყურებდნენ მსოფლიოში ყველაზე დიდ სამგანზომილებიან ავტოპორტრეტს - უზარმაზარ საჰაერო ბურთს, რომელზეც ვან გოგის ცნობილი ნახატი იყო გამოსახული. ეს უჩვეულო საჰაერო ბურთი, რომელიც ზანტად ირწეოდა ჰაერში, ინგლისის ქალაქ ბრისტოლში დაამზადეს და მხატვრის 150 წლის იუბილეზე ჩაიტანეს ჰოლანდიის პატარა სოფელში, ზუნდერტში, სადაც ვან გოგი დაიბადა. ვან გოგის გიგანტური ავტოპორტრეტი პარიზსა და არლსაც ესტუმრება, იმ ქალაქებს, სადაც ვან გოგი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და ხატავდა. საჰაერო ბურთის გაშვება იყო ნაწილი იმ დიდი აქციისა, ვან გოგის იუბილეს რომ მიეძღვნა. ეს აქცია ამსტერდამის ვან გოგის მუზეუმიდან დაიწყო, სადაც მხატვრის ნამუშევრების დიდი კოლექცია გამოიფინა. თავის სიცოცხლეში მხატვარი ვერასოდეს იფიქრებდა, რომ მის შემოქმედებას მსოფლიო აღიარება ხვდებოდა წილად.

იუბილეს აღნიშვნა ამით არ დამთავრებულა. 2003 წელი ვან გოგის წლად არის გამოცხადებული. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უამრავი საიუბილეო გამოფენა და კულტურული ღონისძიება დაგეგმილი.

# შვარცნეგერმა ტანკი იყიდა

ჰოლივუდური ბოევიკების გმირებმა, რომელთაც, ცხადია, ერაყის ომი უყურადღებოდ არ დარჩენიათ, სხვა მსახიობებისგან განსხვავებული აზრი გამოთქვეს: ისინი ანგლო-ამერიკული კოალიციის მხურვალე მხარდამჭერები არიან.

ასე, ბრიუს ვილისმა თეთრ სახლს ტერორისტებთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზა. მას არც არნოლდ შვარცნეგერი ჩამორჩა და ტანკი იყიდა. მართალია, უცნობია, სად აპირებს ამ მანქანით სიარულს – სპარსეთის ყურის რაიონში თუ ქუჩა-ქუჩა. ამჯერად ტანკი მისი რესტორნის, Shatzi-ს გვერდით დგას.

შვარცნეგერის მიერ შეძენილი სატრანსპორტო საშუალება ავსტრიული ტანკის, Pinzgauer-ის ერთ-ერთი სახეობაა – თავად მსახიობი ოდესღაც ავსტრიის ჯარში მსახურობდა.

თურმე, საკუთარ ტანკზე მსახიობი დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა. თებერვალში, ოჰაიოს შტატში ყოფნის დროს, მან სამხედრო მუზეუმში 47 ტონიან ტანკს მიაკითხა, რომელიც მუზეუმს 2000 წელს თვითონ აჩუქა. მსახიობმა მანქანას დაჯავშნულ გვერდზე ხელი მოუსვა და თქვა: "ხომ გითხარი, დავბრუნდებიმეთქი". მისი ახლობლები ჰყვებიან, რომ მას შემდეგ მსახიობმა მოიწყინა, მაგრამ ახლა, საკუთარი ტანკის შეძენის შემდეგ, ის კვლავ ბედნიერად გრძნობს თავს.

# ყველაზე სულელი ამერიკელი

"პოპის ყოფილი მეფე", მაიკლ ჯექსონი, თანამემამულეებმა ყველაზე სულელ ამერიკელად აღიარეს. გამოკითხულთა 80-მა პროცენტმა განაცხადა, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში მასზე მეტი და მასზე დიდი სისულელე არავის უთქვამს და ჩაუდენია.

ძირითადი ბრალდება რა იქნებოდა, ალბათ, თავადაც ხვდებით: ნოემბერში, ბერლინში ჩატარებული სასწაული აქცია – ბავშვის ფანჯრიდან გამოშვერა. მაგრამ ეს ამბავი, პედოფილიის ფაქტები, უამრავი, რატომღაც დაფარული ოპერაცია და სენტიმენტალური გამოსვლები კიდევ არაფერი. ამერიკელები განსაკუთრებით იმ ფაქტმა გაართო, რომ მაიკლ ჯექსონმა, სრულიად სერიოზულად, თავისი მტრების მოსაჯადოებლად აფრიკელ ჯადოქარს დიდძალი ფული გადაუხადა.

ჯექსონს აშკარად ცუდი დრო დაუდგა: მისი ყოფილი მეუღლე, ლაიზა მარია პრესლიც ალაპარაკდა. არადა, ისინი 1996 წელს დასცილდნენ ერთმანეთს, რაღა დროს ამის გახსენება იყო... "მაშინ მართლა შეყვარებული ვიყავი, რას ვიფიქრებდი, რა ჰქონდა ჩაფიქრებული," მოყვა ელვის პრესლის 35 წლის ქალიშვილი, რომელიც თავისი ახალი კომპაქტ-დისკის, To Whom It May Concern-ის წარმატებისთვის ზრუნავს. "კარგა ხანი დამჭირდა იმის მისახვედრად, რომ ის ყველაფერს ხალხის დასანახად აკეთებდა". ალბათ, ცოტა ხანში ლაიზა იმასაც მოჰყვება, რა დაუშავეს ნიკოლას ქეიჯმა, რომელთანაც სულ სამი თვე იცხოვრა, და მუსიკოსმა დენი კიოფმა, მისი შვილების მამამ.


მაიკლ ჯექსონი

თუმცა, სწორედ ის ხალხი, რომლის "დასანახადაც ჯექსონი ყველაფერს აკეთებდა", ამტკიცებს, ეს ქორწინება საერთოდ ფიქტიური იყო და ორივე მხარეს საკუთარი მიზნების მისაღწევად აწყობდაო: მაიკლს უნდოდა, თავის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის შესახებ ჭორები აღეკვეთა, ლაიზა მარიამ კი საზოგადოებას საკუთარი თავი შეახსენა. თუმცა, ამ წყვილის შესახებ ჭორები დღესაც დადის. მაგალითად, "გლოუბში" სულ ახლახანს გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯექსონის ახლანდელი მეუღლის, დები როუს მიერ გაჩენილი შვილი სინამდვილეში ლაიზა მარია პრესლის შვილია, ხელოვნური ჩასახვის გზით დაბადებული. ამის დამამტკიცებელ საბუთად პლასტიკური ქირურგიის ერთი ცნობილი სპეციალისტის სიტყვები მოჰყავთ, რომელიც ამბობს, ლაიზა მარია და პრინც მაიკლ უფროსი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, და ზუსტად ერთნაირი ცხვირი და შუბლი აქვთო. ლაიზა მარია ამ თეორიას სასტიკად უარყოფს, მაიკლი კი დუმს. ის ყოველთვის იმაზე ოცნებობდა, რომ მის შვილს მისი და ელვისის გენები ჰქონოდა.

## კროსვორდი



# კვლავ ორეულების შესახებ


ბრიტნი სპირსი

ლოს-ანჯელესში ახალი რეკლამის გადაღებები მიმდინარეობს. ერთმა იაპონურმა ჩაის კომპანიამ თავისი ახალი პროდუქციის, G.G.Tea-ს პოპულარიზაციისთვის ბრიტნი სპირსი დაპატიჟა. კლიპს მხოლოდ იაპონელები იხილავენ.

სწორედ იაპონიითა და იაპონელებით დაიწყო ბრიტნის ცხოვრებაში დიდი აურზაური, და სწორედ იაპონელის გამო გაეხვა 21 წლის პოპ-ვარსკვლავი ახალ სკანდალში.

Star-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ერთობ სახალისო ამბავია მოყოლილი: ლოს ანჯელესში, White Lotos Club-ში, საპირფარეშოსკენ ერთბაშად ორი ბრიტნი სპირსი გაემართა, ორივე – ერთნაირად დავარცხნილი, ერთნაირ ქუდებსა და ჯინსებში. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ბრიტნის ორეული გაუჩენია.

ორეულის "გაჩენა" ბრიტნის მაშინ გადაუწყვეტია, როცა იაპონელი თაყვანისმცემელი, 41 წლის მასაჰირო შიზავა "გადაეკიდა" – ამ ამბავთან დაკავშირებით დიდი სასამართლო პროცესიც იყო გამართული. შესაბამისად, ორეული ფოტოგრაფების დასაბნევად კი არა, მისი "ფანებისგან" დასაცავად არსებობს.

მომღერლის თანამშრომელმა პრესას გაუნდო, რომ ბრიტნი და მისი "ტყუპისცალი" ერთმანეთს მშვენივრად უგებენ. "ორეულისთვის ერთადერთი აკრძალვა არსებობს: იმ ბიჭებს, რომლებიც ბრიტნის მოსწონს, არ უნდა მიეკაროს."




## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთწვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.